ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 16 დეკემბერი 1999 №241 (1014) ფასი 50 თეთრი




**EXCLUSIVE**

## პაპა დინო საქართველოს ნაკრებზე

ტოკიოში ნაწილისყრევს იტალიელთა თავკაც დინო ძოფს კომენტარი ტელეფონით რომ ვთხოვეთ, ძილი მაცალეთო, ლაპარაკი იუარა. საქართველოს ნაკრების სახელოვანი მეტოქის ასევე სახელდაგდებულ მწვრთნელთან საუბარი, ცხადია, გულიდან არ ამოგვიღია და დინო ძოფს ევროპული ეტიკეტის დაცვით ჩამოვართვით ეს ინტერვიუ.

იხილეთ მეორე გვერდი

# მჯობნის მჯობნის გასარკვევად

ჟენევაში გამართულმა უეფას თასის მეოთხე ეტაპისა და მეოთხედფინალის კენჭისყრამ გასული გათამაშების გამარჯვებულს „პარმას" „ვერდერი" შეახვედრა. ამ წყვილის გამარჯვებული „არსენალსა" და „დეპორტივო ლა კორუნიას" შორის უმჯობესს გაეჯიბრება.

„ამ ეტაპზე იოლი მოწინააღმდეგე აღარ არსებობს. ყველას პატივს ვცემთ, შიშით კი არავისი გვეშინია" — განაცხადა პარმელთა გენერალურმა მენეჯერმა მიკელე უვამ.

ბოლო 10 წელიწადში თასის ორგზის მფლობელი „იუვენტუსი" „სელტასთან" გაარკვევს მეოთხედფინალისტის ვინაობას და იქ „ატლეტიკოსა" და „ლანსს" შორის გამარჯვებულს შეხვდება.

„რომა", რომელმაც მესამე ეტაპზე „ნიუკასლ იუნაიტედს" აჯობა, კიდევ ერთ ინგლისურ გამოცდას ჩააბარებს. ამჯერად მისი მეტოქე „ლიდს იუნაიტედია" — ამ წყვილიდან გასული „სლავია"— „უდინეზეს" გამარჯვებულს უნდა ეთამაშოს, ხოლო „დორტმუნდსა" და „გალათასარაის" შორის უკეთესი „მალიორკა" — „მონაკოს" წყვილთან დაიჭერს საქმეს.

„არსენალთან" შეხვედრა გვინდოდა. იგი პატივსაცემი გუნდია, რომელთანაც ორი დიდი მატჩი გველის, თუმცა, ეჭვი არ მეპარება, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება" — თქვა „დეპორტივოს" ვიცე-პრეზიდენტმა ლუის სანჩეს დოპორტომ.

მეოთხე ეტაპის შეხვედრები 2 და 9 მარტს გაიმართება, ხოლო მეოთხედფინალი 16 და 23 მარტს.

**უეფას თასი. მერვედფინალის წილისყრა**
I წრე — 2000 წლის 2 მარტი, II წრე — 9 მარტი
UEFA CUP

| | | |
|---|---|---|
| პარმა (იტალია) | I | ვერდერი (ბრემენი, გერმანია) |
| იუვენტუსი (ტურინი, იტალია) | II | სელტა (ვიგო, ესპანეთი) |
| რომა (რომი, იტალია) | III | ლიდს იუნაიტედი (ინგლისი) |
| მალიორკა (ესპანეთი) | IV | მონაკო (საფრანგეთი) |
| სლავია (პრაღა, ჩეხეთი) | V | უდინეზე (უდინე, იტალია) |
| ბორუსია (დორტმუნდი, გერმანია) | VI | გალათასარაი (სტამბოლი, თურქეთი) |
| ატლეტიკო (მადრიდი, ესპანეთი) | VII | ლანსი (საფრანგეთი) |
| არსენალი (ლონდონი, ინგლისი) | VIII | დეპორტივო (ლა კორუნია, ესპანეთი) |

**უეფას თასი. მეოთხედფინალის წილისყრა**
I წრე — 2000 წლის 16 მარტი, II წრე — 23 მარტი
UEFA CUP

| | | |
|---|---|---|
| IV გამარჯვებული | — | VI გამარჯვებული |
| VIII გამარჯვებული | — | I გამარჯვებული |
| II გამარჯვებული | — | VII გამარჯვებული |
| III გამარჯვებული | — | V გამარჯვებული |

## თქვენი მტერი ჩვენი მტერია!

მერაბ ჟორდანიამ მსაჯები დაამშვიდება

## რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

წარმოგიდგენთ ლაურეატებს



**ნანა იოსელიანი**

# ახალი ფედერაციის შექმნა უაზრობაა!



გუშინდელ პრესკონფერენციაზე საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა ამბოხებულ ქალებს დაფიქრება ურჩია

## ეს ქართულ ჭადრაკს კატასტროფამდე და ქაოსამდე მიიყვანს

ზურაბ აზმაიფარაშვილის ამ აზრს არ ეთანხმება სპორტის დეპარტამენტი, რომელიც უკვე განიხილავს ნონა გაფრინდაშვილის, ნანა ალექსანდრიას, ნანა იოსელიანისა და ნინო გურიელის განცხადებას ახალი ფედერაციის შექმნის თაობაზე

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი

ვლადიმირ გრომნიცკი
რომიდან საგანგებოდ
„სარბიელისთვის“

# დინო ძოფი: მე არც ბალაძის, არც არველაძის არ მეშინია



ამ კაცთან გასაუბრება ადრეც მსურდა, მაგრამ განსაკუთრებით მას შემდეგ დავინტერესდი, რაც მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის კენჭისყრის შედეგები შევიტყვე და გავიგე, რომ იტალიისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს ერთ შესარჩევ ჯგუფში მოუწევდათ თამაში. ბედმა გამიღიმა — რომის „ლაციოსა“ და ლონდონის „ჩელსის“ შეხვედრისას ვკიდე თვალი „პაპა დინოს“. მართალია, ის საპატიო სტუმართათვის განკუთვნილ ლოჟაში არ იჯდა, მაგრამ ჩემთვის უცნობ მეგზურთან ერთად საკმაოდ ძვირადღირებულ ადგილზე მოკალათებულიყო და ისე ადევნებდა თვალს გვიანი შემოდგომისგან გვარიანად გაფუჭებულ მოედანზე მიმდინარე მოვლენებს. თუმცა რაღა ფასზე და გართობაზეა ლაპარაკი, როდესაც ადამიანი სამუშაოდ მისულიყო და იქნებ მომავალი თამაშებისთვის გარკვეულ გეგმებსაც აწყობდა.

ძოფი თავაზიანად, თუმც რამდენადმე გადამეტებული ხელოვნური ღიმილით შემხვდა. ალბათ ჟურნალისტებთან ხშირად მოსაუბრენი ჩვენი პროფესიის ხალხს შორიდანვე ცნობენ და ამ შემთხვევაში არც ძოფი შემცდარა. მან ორიოდე სიტყვა თქვა მიმდინარე პაექრობის შესახებ, თუმც ინტერვიუსგან თავი შეიკავა, ახლა ამისთვის არ მცალიაო. ისე, რამდენიმე მშრალი კომენტარი მომავალი ჯგუფის შესახებაც წამოისროლა და მორჩა. სხვა განსაკუთრებული არაფერი თქმულა. ერთი ეგ იყო, დინო ძოფს სამომავლო საუბარზე მაინც შევუთანხმდი და ამითაც კმაყოფილი დავრჩი.

რამდენიმე დღეში კი მე და იტალიის ნაკრების თავკაცი უკვე საფუძვლიანად სასაუბროდ შევხვდით ერთმანეთს. გაგონილი მქონდა, რომ ძოფი დინჯი მოსაუბრე იყო და, თანამემამულეთაგან განსხვავებით, განსაკუთრებულ ემოციებს იშვიათად გამოხატავდა, თუმცა ჩემს შემთხვევაში ასე არ აღმოჩნდა. „პაპა დინო“ საკმაოდ ემოციურად მომესალმა, მაგრად ჩამომართვა ხელი და ჩვენი ინტერვიუც დაიწყო.

**— სენიორ ძოფ, უკვე ცნობილია კენჭისყრის შედეგები და დანამდვილებით იცით, შესარჩევ ჯგუფში ვისთან მოგიწევთ პაექრობა. რას იტყოდით ამასთან დაკავშირებით?**

— ჩვეულებრივი ჯგუფია, თუმცა კი საკმაოდ სოლიდური გუნდებით დაკომპლექტებული. ისე, უფრო ადვილში მოხვედრაც შეიძლებოდა, მაგრამ რაკი ფორტუნამ ასე ინება, რა მოხდა, აუცილებლად ვითამაშებთ.

**— და ალბათ შემდეგ ეტაპზეც გახვალთ, თანაც ყოველგვარი პლეიოფისა და გადათამაშების გარეშე.**

— იტალიის ნაკრებისთვის ეს პროგრამა მინიმუმიც კი არასდროისაა. ფინალურ ეტაპზე გასვლა ჩვენთვის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს. მე მგონი, არ არის საჭირო იმის ახსნა, თუ რატომ გვაქვს ასეთი განწყობა.

**— განა მოწინააღმდეგეებიც ასე არ ფიქრობენ?**



იტალიის ნაკრების ვარჯიშზე: კრისტიან ვიერი, დინო ბაჯო, ჯუზეპე პანკარო, ფილიპო ინძაგი და დინო ძოფი

— ალბათ, თუმცა არავის საწყენად არ ვამბობ და იტალიის ნაკრები სხვათაგან მაინც განსხვავდება. მე მხედველობაში მხოლოდ ტრადიციები კი არა, დღევანდელი რეალობა მაქვს.

**— ასეა, მაგრამ სწორედ ამ რეალობიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ იტალიის ნაკრებს ამჟამად საუკეთესო დრო არ უდგას.**

— ამას ნებისმიერი ევროპული ნაკრების მისამართით ვიტყვი და ნებისმიერს შევეკამათები.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ უაღრესად დაძაბულმა კალენდარმა ფეხბურთელები მეტისმეტად გადაღალა. შიდა პირველობას და თასების გათამაშებას თავი რომ დავანებოთ, მაგალითისთვის თუნდაც ჩემპიონთა ლიგის გაფართოება ავიღოთ. ყველაფერი ეს უარყოფითად მოქმედებს მოთამაშეთა ფუნქციონალურ მზადყოფნაზე. მათ უბრალოდ არ რჩებათ მთელი სეზონის თანაბრად ჩასატარებელი ძალა.

**— მაინც ვის თვლით უძლიერესად ჯგუფში?**

— იტალიას.

**— ეს თავისთავად. თქვენი გუნდის გარდა?**

— დიდი ფიქრი არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ რუმინელებიც ფავორიტები არიან.

**— სხვები?**

— სხვებს ამ ორზე ნაკლები და თანაბარი შანსები აქვთ. ის კი ცხადზე ცხადია, რომ ჯგუფში აშკარა აუტსაიდერი არავინ არის. დღეს სხვა ფეხბურთია. ხომ გახსოვთ, რა ამბავი აჟყდა, როდესაც 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ალჟირმა გერმანიას მოუგო? ახლა მსგავსი რამ ძალიან ხშირად ხდება და ეს უკვე აღარავის უკვირს.

**— გამოდის, რუმინეთის გარდა სხვებსაც ძალუძთ, პრობლემები შეგიქმნან...**

— დღევანდელ ფეხბურთში პრობლემების შექმნა ყველას შეუძლია. ევროპაში უსუსური სულ რამდენიმე გუნდი თუ იქნება. ჩვენთან ასეთებს ვერ ვხედავ.

**— იტალიელებმა საქართველოს ნაკრებთან ორი შეხვედრა ჩაატარეს და საკმაოდაც გაუჭირდათ. გინახავთ ის მატჩები?**

— ერთი მთლიანად. იტალიური შეხვედრა ვიხილე, ხოლო სტუმრად ნათამაშები მხოლოდ ნაწილობრივ.

**— თქვენი შთაბეჭდილება?**

— საშინაო მატჩისას ჩვენს გუნდს აშკარა კრიზისი ჰქონდა. თანაც მ- [illegible] ლოდ ერთი ქულის აღება შევძელით.

**— ქართველ ფეხბურთელებს თუ იცნობთ?**

— ვეტერანებს უკეთ ვიცნობ, თანამედროვეთაგან კი მხოლოდ რამდენიმეს.

**— კერძოდ?**

— არველაძეს, კალაძეს. კიდევ რამდენიმეს თამაშიც მიხილავს.

**— თქვენი აზრით, რამდენად სერიოზული მეტოქეა საქართველოს ნაკრები?**

— საკმაოდ სერიოზული და ეს მიუხედავად იმისა, რომ გუნდი მეხუთე კალათაში იყო განთესილი. თუმცა ბოლო ხანს მისი საქმე ცუდად წავიდა და შედეგებზეც ამან იმოქმედა.

**— გამორიცხავთ თუ არა იმას, რომ ქართველებს პირველ ან მეორე ადგილებზე შეუძლიათ გასვლა?**

— არ გამოვრიცხავ, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, მაინც ეჭვი მეპარება. ყველაფერს ვილონებთ, რომ პირველობა არავის დავუთმოთ. ეს შეგვიძლია და გავაკეთებთ კიდეც. იტალიის ნაკრებს არც ერთი მეტოქის არ ეშინია, მათ შორის, არც საქართველოსი.

**— ის, თუ იცით, რომ ამ ოციოდე წლის წინ საქართველოს უპირველესი გუნდი თანაბრად ეპაექრებოდა იტალიური ფეხბურთის გრანდებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, უგებდა კიდეც.**

— ვიცი, მაგრამ ვეჭვობ, ამან ხელი შეგვიშალოს ქართველთა, ან ნებისმიერი სხვა მეტოქის დამარცხებაში. წარსული წარმატებები თუ წარუმატებლობანი დიდი ხანია, დავიწყებას მიეცა. ახლა მოქმედების და ახალი წარმატებების მიღწევის დრო დადგა.

**— ალბათ, ისიც გათვითცნობიერებული გექნებათ, რომ ეროვნული გუნდის სულ უმნიშვნელო წარუმატებლობამაც კი შეიძლება თქვენი სამწვრთნელო კარიერა შეიწიროს.**

— ეს ჩემთვის დანიშვნის დღიდანვე ცხადი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში მწვრთნელობაზე არც დავთანხმდებოდი. მე ვიკისრე პასუხისმგებლობა და მზად ვარ, ვზიდო კიდეც.

**— ნაკრებში ახალი ფეხბურთელების გამოჩენას თუ უნდა ველოდოთ?**

— აუცილებლად. ამ მხრივ მე და ჩემი თანაშემწეები უკვე ვმუშაობთ.

**— კონკრეტულ სახელებს ხომ ვერ დაგვისახელებდით?**

— ზუსტად ვერა. ისე, რომაელი ტოტი ბოლო დროს ჩვენი ყურადღების ცენტრში მოექცა. უფრო კონკრეტულს ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით.

**— მიგაჩნიათ, რომ თქვენი ხელმძღვანელობით ჩასატარებელი საუკეთესო თამაში იტალიელებს კიდევ წინ აქვთ?**

— რა თქმა უნდა. ხომ გითხარით, ამაში დარწმუნებული რომ არ ვიყო, დღესვე გადავდგებოდი. ჩემი, როგორც იტალიის უპირველესი გუნდის მწვრთნელის მიზანი ისაა, რომ ეროვნულ გუნდს კვლავ დავუბრუნო ის დიდება, რომლითაც თავი ყოველთვის მოგვქონდა.

# კალაძის მსურველებს ბარსელონა და მანჩესტერ იუნაიტედი შეემატნენ

## თუმცა ქართველი მცველი კარიერას ალბათ მილანში გააგრძელებს

გუშინ კიევის „დინამოს“ პრესსამსახურმა არც დაადასტურა და არც უარყო სამშაბათს გავრცელებული ცნობა, რომ საქართველოს ნაკრების მცველის, კახა კალაძის თაობაზე კლუბთან მოლაპარაკებებს მსოფლიო ფეხბურთის სამი გრანდი — იტალიის „მილანი“, ესპანეთის „ბარსელონა“ და ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედი“ აწარმოებს.

კიევის „დინამოს“ პრესცენტრი აცხადებს: „რამდენიმე ფეხბურთელის, მათ შორის კახა კალაძის თაობაზე „დინამოს“ მართლაც მიმართა რამდენიმე კლუბმა, თუმცა ეს მხოლოდ მათი სურვილი იყო. არავითარი სერიოზული მოლაპარაკება არ ყოფილა. დღესდღეობით მეტის თქმა არ შეგვიძლია“.

ახლახან შევიტყვეთ, კახა კალაძის შეძენის სურვილი, იტალიის „მილანის“ გარდა, ესპანეთის „ბარსელონასა“ და ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედსაც“ გამოუთქვამთ.

პირველი ინფორმაციით, „მილანი“ მზად იყო, კალაძეში 13-დან 15 მილიონ დოლარამდე გადაეხადა. ამდენივეს სთავაზობენ „დინამოს“ „ბარსელონა“ და „მანჩესტერ იუნაიტედიც“.

თუმცა გრიგორი სურკისი და ვალერი ლობანოვსკი ჯიუტად აცხადებენ, რომ კალაძე კონტრაქტის ბოლომდე დარჩება კიევში. კიევის „დინამო“ ქართველ მცველს 5 მილიონით მეტს 20 მილიონ დოლარად აფასებს.

ჯერჯერობით არავინ იცის, თავად კახას რომელ გუნდში ურჩევნია კარიერის გაგრძელება. თუმცა, როგორც უკრაინული მედია აღნიშნავს, სავარაუდოა, რომ იგი „მილანში“ წავა. ამას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. პირველი: ანდრეი შევჩენკოს ტრანსფერით „დინამოსა“ და „მილანს“ შორის თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა, რითაც იტალიურმა გრანდმა აღმოსავლეთ ევროპის ბაზრის ათვისება დაიწყო.

„მილანის“ პროექტს კლუბის ქართველი სელექციონერი რევაზ ჭოხონელიძე, კურირებს. იგი კალაძის მიმართ დიდი სიმპათიებით არის განწყობილი.

მესამე ფაქტორი პიროვნულია — კალაძე და შევჩენკო მეგობრები არიან. ამიტომ ზემოხსენებული ვარიანტებიდან კახის იტალიაში გადაბარგება ყველაზე რეალურია.

სიმონ მენაბდე



ანდრეი შევჩენკო და კახა კალაძე: თანაგუნდელები ძველად.. და მომავალში?



*სწორედ ამგვარი პათოსით წარიმართა ფედერაციის პრეზიდენტის, მერაბ ჟორდანიას გუშინდელი შეხვედრა მსაჯებთან და ინსპექტორებთან. სპორტის დეპარტამენტის მეორე სართულზე მდებარე დარბაზი გადაჭედილი გახლდათ. სამოცამდე მსაჯ-ინსპექტორი ხუთკაციან პრეზიდიუმს დიდი ყურადღებით შესციცინებდა. პრეზიდიუმში კი მერაბ ჟორდანიას გვერდს უმშვენებდნენ — გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია, ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე, სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე ანატოლი მილჩენკო და პრეზიდენტის თანაშემწე ნიკა კარიჭაშვილი. ჟორდანიამ მოკლედ აღნიშნა ფეხბურთში მსაჯობის უმნიშვნელოვანესი როლის შესახებ და საზოგადოებას მიმართა:*

# მერაბ ჟორდანია: თქვენი მტერი, ჩვენი მტერია!

— ჩვენ ყველა საფეხბურთო ძალის გაერთიანება დავიწყეთ. ერთმანეთს მხარში უნდა ამოვუდგეთ. ფედერაცია თქვენს კეთილსინდისიერ მოქმედებაზე დიდადაა დამოკიდებული. გვწამს, მართლა გულით და კაცურად ხართ ჩაბმულნი ქართული ფეხბურთის სამსახურში. მათალია, XI ეროვნულის პირველ ეტაპზე პრესამ და გუნდებმა არაერთხელ გამოხატეს უარყოფითი რეაქცია მსაჯობის მიმართ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ყოველივე შეცდომებზე და არა განზრახ ჩადენილ საქციელზე გამოძახილი იყო. ამის შესახებ ჩვენც ბევრჯერ განგვიცხადებია. არც ერთ თქვენგანში ეჭვი არ გვეპარება. კონკრეტულ შემთხვევაში დაშვებულ შეცდომაზე კი პასუხი ყველას მოგვეთხოვება.

*ფედერაციის პრეზიდენტი მსაჯთა ფულადი ანაზღაურების საკითხსაც შეეხო:*

— როცა იაპონიაში კენჭისყრაზე ვიმყოფებოდით, შევხვდით ჩვენს კოლეგებს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან. იქაურ მსაჯთა მდგომარეობაზე როცა დავეკითხეთ, აღმოჩნდა, რომ საქართველოზე ეკონომიკურად შედარებით ძლიერ ქვეყნებში რუსეთში, უკრაინაში, ბელარუსში და სხვაგან თქვენს კოლეგებს თქვენთან შედარებით ნაკლები ანაზღაურება აქვთ. მოლდოვის მაგალითს თუ გავითვალისწინებთ, შესამჩნევი განსხვავებაა. მოლდოვაში მსაჯს ერთი მატჩის მომსახურეობაში 15-20 დოლარს უხდიან.

მე არ ვამბობ, რომ რაღაც განსაკუთრებულს ვაკეთებთ. გპირდებით, კიდევ უკეთესობისკენ წავალთ. კარგად მოგეხსენებათ, რა მდგომარეობაცაა სახელმწიფოში. შედარებით ძლიერ ორგანიზაციებსაც უჭირთ თანამშრომლებზე ხელფასების გაცემა. პენსიები ვერ რიგდება თვეობით. ფედერაცია მაქსიმალურად ცდილობს თქვენს დროულად დაკმაყოფილებას. მთავარია, თქვენ ამოგვიდგეთ მხარში. პირველი ეტაპისთვის დიდი მადლობა. რაც უარყოფითი იყო, მხოლოდ შეცდომებს ვაბრალებთ და ეჭვი არაფერში გვეპარება, თორემ იმ ხალხთან მუშაობას არ გავაგრძელებდით.

*ამის შემდეგ პრეზიდიუმმა მოისურვა, მსაჯებს პირადულ საკითხებზე ესაუბრათ და ზრდილობიანად ითხოვა, პრესის წარმომადგენლებმა დროებით დაგვტოვონო. ეტყობა, იფიქრეს მსაჯები ჟურნალისტების თანდასწრებით გულახდილნი ვერ იქნებიანო. რა გაეწყობოდა. თუ შავოსნები ხმამაღლა ალაპარაკდებოდნენ საკუთარ პრობლემებზე და ფედერაციასაც რაღაცისკენ ან ვიღაცისკენ მიანიშნებდნენ, ხელს როგორ შევუშლიდით. თუმცა დარბაზში პრესის მხოლოდ ერთი წარმომადგენელი, თქვენი მონამორჩილი, გახლდით. მეც, მსაჯთა გულახდილობას შეწირულმა, დარბაზი დავტოვე.*

*15-20 წუთში ყველანი უკან მოგვყვნენ. სხდომა დამთავრდა. ფედერაციის პრეს-სამსახურის წარმომადგენელმა მამუკა კვარაცხელიამ მომძებნა და ცოტა ხანში ორივე მერაბ ჟორდანიას კაბინეტში აღმოვჩნდით. ცნობისმოყვარეობის ბოლომდე დასაკმაყოფილებლად ფედერაციის პრეზიდენტს რამდენიმე კითხვით მივმართე:*

**— რა მიზანს ისახავდა თქვენი დღევანდელი შეხვედრა?**

— ჩვენთვის მთავარი საყოველთაო გაერთიანებაა. ვისაც რა შეუძლია, ყველა ფეხბურთის სამსახურში უნდა ჩადგეს. ნებისმიერ პატარა წარმატებაზე ფიქრიც კი წარმოუდგენელია, თუ მსაჯობის მოწესრიგება არ დავიწყეთ. ეროვნულმა ნაკრებმა რომ სასურველი სახე მიიღოს, ჩემპიონატის დონის ამაღლებაა აუცილებელი. შინაური გათამაშებაში მონაწილე ფეხბურთელების გარეშე ხომ ქვეყნის პირველი გუნდი ვერ იარსებებს. ჩემპიონატის წინსვლა კი პირდაპირ კავშირშია მსაჯობის დონესთან.

**— კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით თუ ისაუბრეთ?**

— კონკრეტულად ხობში მომხდარ ინციდენტზე ვილაპარაკეთ. ალექსანდრე ჩივაძემ დასვა ეს საკითხი. ის, რაც ხობში გააკეთეს, ფედერაციის წინააღმდეგ იყო მიმართული. ყველამ იცოდეს, რომ უმკაცრეს განაჩენს გამოვიტანთ. აღმასკომზეც განვიხილავთ ამ საკითხს. ისეთ რაიონებში, სადაც ასეთი ფაქტები ხდება, ფეხბურთი არ უნდა არსებობდეს. თუმც რას ვერჩით იმ გულშემატკივრებს, რომლებიც არაფერ შუაში არიან და ფეხბურთი უყვართ. ხობში მომხდარზე პასუხისმგებლობა რაიონის გამგებელსა და პოლიციის უფროსს ეკისრებათ, მათ, ვისაც ევალებათ თამაშებზე სრული წესრიგის დაცვა. სანამ ხელმძღვანელობის მხრიდან ასეთი დამოკიდებულებაა, იქ ფეხბურთი არ იქნება. სადისციპლინო კომიტეტის მიერ გამოტანილ განაჩენს ფედერაციის საგანგებო კომიტეტი განიხილავს და თუ საჭირო იქნება, კიდევ უფრო გაამკაცრებს გადაწყვეტილებას.

**— დასვეს თუ არა მსაჯებმა მათი ხელშეუხებლობის გარანტიის საკითხი?**

— სწორედ ეს მოთხოვნა წამოაყენეს. დებულებაში კი არის მსაჯის უფლებების სრულად დაცვის პუნქტი, მაგრამ ეტყობა, ეს არაა საკმარისი. იძულებულნი ვართ, ცალკე ბრძანებულება გამოვცეთ ამასთან დაკავშირებით. მსაჯი თამაშამდე და მერეც იზოლირებული უნდა იყოს. მსაჯ-ინსპექტორების გამოცილება ქალაქის ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს.

დღევანდელ შეხვედრაზე მათ შევპირდი, რომ მივაღწევთ იმას, რაზეც ვილაპარაკეთ. ეტყობა, ჩვენი მხრიდანაც არ იყო სათანადო რეაქცია. ალბათ, მკაცრ ზომებს არ ვღებულობდით. ზოგჯერ ისინიც მალავდნენ ფაქტებს. ნებისმიერ შემთხვევაში თავიანთი თავი უნდა დაიფასონ, უნდა იგრძნონ, რომ მათ წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული ფედერაციისკენაცაა მიმართული და ისინი მარტონი არ არიან.

**— მთლიანობაში როგორ შეაფასებდით პირველ ეტაპზე მსაჯობის დონეს?**

— იყო ბევრი შეცდომები, თუმცა განზრახ არ იყო დაშვებული. ყოველივე გარკვეულწილად ჩემპიონატის დაძაბულობიდან გამომდინარეობდა. მსაჯობას მაინც დამაკმაყოფილებლად ვთვლი. რაც შეეხება დონეს, რა თქმა უნდა, სასურველისგან შორსაა. რამდენიმე შენიშვნა მივეცით. დიდი მნიშვნელობა მივანიჭეთ მსაჯთა ფიზიკური მომზადების საკითხს. პირობა მოგვცეს, რომ ამ მხრივ ყველაფერი გამოსწორდება. ბევრის კვალიფიკაციის გვწამს, მაგრამ უფრო მეტს ვითხოვთ. კარგია, რომ ახალგაზრდებიც გამოჩნდნენ ამ საქმეში. ვიმედოვნებთ, ჩემპიონატის მეორე ეტაპს უკეთესად ჩაატარებენ.

**— ალბათ შეხვედრები კვლავაც შედგება...**

— 25 დეკემბერს დიდ შეკრებას მოვაწყობთ. კლუბების პრეზიდენტებს, მწვრთნელებსაც მოვიწვევთ მსაჯ-ინსპექტორებთან ერთად. ერთმანეთთან ურთიერთობებსაც გაარკვევენ. თითოეული მხარე საკუთარ პოზიციას და მოთხოვნას დააფიქსირებს. ამ ფონზე შესაბამის ბრძანებულებებსაც გამოვიტანთ.

**ხვიჩა სანიკიძე**

# მსაჯები პრესის წინააღმდეგ

ყელში ამოუვიდათ ქართველ მსაჯებს ამდენი კრიტიკული შენიშვნების კითხვა და მოსმენა. თუ ფეხბურთი ჩვენზე მეტად იცით, გესმით და მარტო კალმის მომარჯვებაში არ ხართ მაგრები, გამოდით და მოედანზე გაგვეჯიბრეთო.

დიახ, მსაჯები ჟურნალისტებს დაგვემუქრნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, თავად ფედერაციის შეფობას და თანამშრომლებსაც გამოუცხადეს ბრძოლა. ერთი სიტყვით, შავოსნები სპორტკომპლექს „ქარიშხალაში“ გვიბარებენ და შავ დღეს გაყრითო, გვეუბნებიან.

17-21 იანვარს გარდაცვლილ მსაჯთა ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირს აწყობენ. ოთხდღიანი ბურთაობა მათთვის მეორე ეტაპისთვის მოსამზადებელი პროგრამის ნაწილი და პრესტიჟის საქმე იქნება. ფედერაციის ხელმძღვანელობამ უკვე მიიღო გამოწვევა. როგორც შევიტყვეთ, თამაშს მერაბ ჟორდანიაც აპირებს. ინსპექტორები და სფფ-ს სხვა თანამშრომლებიც ილესავენ კბილებს.

ჟურნალისტებმა ნაკრები ჩამოაყალიბეთ და მობრძანდითო. შავოსნები განსაკუთრებით პრესის წარმომადგენლების გაბითურებაზე ოცნებობენ. ჰოდა, ჭკუა უნდა ვასწავლოთ აბეზარ მსტვენავებს. „ქარიშხალაში“ ქარს უნდა გავატანოთ მსაჯთა აუხდენელი ოცნება. სხვა შემთხვევაში თავი მოგვეჭრება არამარტო რაიონული მასშტაბით. ვინ გვიმსაჯებს? ვისაც უნდა, იმან უსტვინოს. მიკერძოებულად განსჯის? ხობს დავავიწყებთ...

**ხვიჩა სანიკიძე**



ბოლო ქართველი სიტელი ცხადაძე

# კახა ცხადაძე ისევ მძიმედ დაშავდა

## ინგლისური მედიის ვარაუდით, ნაკრების ყოფილი კაპიტანი თამაშს საბოლოოდ შეეშვება

გუშინ ისევ სერიოზულად დაიმტვრა საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტანი კახა ცხადაძე. ქართველი თავის მესამე შეხვედრას ატარებდა „მანჩესტერ სიტის“ სარეზერვო გუნდში, შინ „სტოკ სიტის“ დუბლების წინააღმდეგ.

ცხადაძე პირველი ტაიმის 30-ე წუთზე მოედნიდან საკაცით გაიყვანეს. მან ფაქტობრივად იგივე ტრავმა მიიღო, რისთვისაც მთელი 16 თვე ფეხბურთს ვერ თამაშობდა. შეგახსენებთ, რომ ქართველი მცველი 1998 წლის ზაფხულში „სიტი“ — „ფულემის“ მატჩისას დაშავდა — გაუწყდა მარცხენა ფეხის მყესები და მუხლი მძიმედ დაიზიანა. ამ ტრავმებს იგი ფრანკფურტში მკურნალობდა, სადაც ორი ურთულესი ოპერაციაც გადაიტანა.

ცხადაძემ პირველივე დაბრუნებისას მიიღო ტრავმა, თუმცა მის მოშუშებას სულ 15 დღე დასჭირდა. წინა ტურში „პორტ ვეილის“ დუბლებთან კახამ 90 წუთი ითამაშა და იმედიც გაჩნდა, რომ იგი „სიტის“ ძირითად გუნდში დაბრუნებას შეძლებდა, მაგრამ... „სტოკ სიტის“ ფორვარდმა ცხადაძეს ზუსტად ის ძლივს მორჩენილი მარცხენა ფეხი დაუზიანა. ქართველს, „სიტის“ ექიმის ცნობით, კვლავ მყესი გაუწყდა და მუხლიც კვლავ დაუშავდა.

აღსანიშნავია, რომ სტადიონზე არ იყო სასწრაფო დახმარების მანქანა. ამის გამო ცხადაძე ნახევარი საათი საკაცე[illegible] მოწოლილი იტანჯებოდა. სასწრაფოს მანქანამ სწორედ 30 წუთი დაიგვიანა. ცხადაძე ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მატჩის შემდეგ, რომელიც „სიტის“ დუბლებმა 3:1 მოიგეს, კლუბის მენეჯერმა ჯო როილმა განაცხადა, რომ ცხადაძის ტრავმა მეტისმეტად სერიოზულია. იგი ძალიან წააგავს იმას, ქართველმა „ფულემთან“ რომ მიიღოო. ის ტრავმა კი, შეგახსენებთ, ცხადაძეს 16 თვიან შესვენებად დაუჯდა.

ადგილობრივი მედია ვარაუდობს, რომ ამ ტრავმით კახა ცხადაძე კარიერას დაასრულებს. არადა, 31 წლის მცველს ერთობ მრავალფეროვანი საფეხბურთო ბიოგრაფია აქვს. მან ფეხბურთის თამაში რუსთავში დაიწყო. უთამაშია რუსთავის „მეტალურგში“, თბილისის „დინამოში“, მოსკოვის „დინამოსა“ და „სპარტაკში“, ფრანკფურტის „აინტრახტში“, ვლადიკავკაზის „ალანიაში“, საიდანაც ცხადაძე „სიტიმ“ 300.000 გირვანქად შეიძინა. არის საქართველოს, რუსეთის და დსთ-ს ჩემპიონი, ბუნდესლიგის მეორე პრიზიორი.

საქართველოს ნაკრებში 25 მატჩი აქვს ნათამაშევი (გაიტანა 1 გოლი — პოლონეთის ნაკრების კარში). იყო ნაკრების კაპიტანი. მისი სანაკრებო კარიერა ვლადიმერ გუცაევის ეროვნული გუნდის გაახალგაზრდავების პოლიტიკას შეეწირა. ცხადაძეს ასევე უთამაშია დსთ-ს ნაკრებში.

**სიმონ მენაბდე**

ვაგროვებ თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების შეხვედრათა პროგრამებს.
ვეძებ ევროთასებზე „დინამოს“ შინ – „კარდიფ სიტი“, „ტვენტე“, მტკ – და სტუმრად გამართული მატჩების პროგრამებს.
1936-89 წლების საკავშირო ჩემპიონატებში და თასებზე თბილისის „დინამოს“ მონაწილეობით გამართული შეხვედრების პროგრამებს.
საქართველოს ნაკრების შინ და სტუმრად ჩატარებული მატჩების პროგრამებს.
ზაურ ძიურჯიევი
გლდანის მასივი, I მიკრორაიონი, მე-8 კორპუსი, ბინა 31. ტელ: 67 09 31

# იბერია

«ბ» ზონა
მეოთხე ადგილი

# ეჭვები და ფაქტები

საქართველოს 11 ჩემპიონატი

I ეტაპის შედეგები

**როგორ** ფიქრობთ, მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე 100 გამოკითხული ქართული ფეხბურთის ქომაგიდან რამდენი იწინასწარმეტყველებდა სამტრედიის „იბერიის“ „ბ“ ზონის საუკეთესო ოთხეულში მოხვედრას? ოთხმოცი. ნამეტანია. ორმოცდაათი. ესეც ბევრია. ათი და ნაკლები. სწორია. ჩვენც ასე ვფიქრობთ და, აი რატომ.

პირველი და მთავარი. მართალია, „იბერიამ“ წინა გათამაშება მისთვის არცთუ ცუდ მერვე ადგილზე დაასრულა, მაგრამ სეზონთაშორის პერიოდში სხვებზე მეტად დაზარალდა. გუნდი ლამის განახევრდა. სხვადასხვა მიზეზით იგი ბევრმა მოთამაშემ დატოვა. ყველაზე მტკივნეული სამტრედიელთათვის ოთხი წამყვანის დაკარგვა იყო. „იბერიას“ ხომ, ფაქტობრივად, ხერხემალი გამოეცალა. ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპის მიერ „დინამოსთვის“ მოწონებულ ტყუპებზე ვასო და სოსო გიგიაძეებზე, სამტრედიელთა უდავო ლიდერებზე, რომ არაფერი ვთქვათ, დავით ხუჭუამაც დატოვა მშობლიური გუნდი, ფოთში გადაბარგდა, სევასტი თოდუა კი, მოგეხსენებათ, „ვიტ ჯორჯიამ“ გადაიბირა. ეს ოთხი მართლაც დიდ ძალას წარმოადგენდა „იბერიაში“, ძალას, რომლის გარეშეც, რაღა მარჩიელობა უნდოდა, სამტრედიელებს გაუჭირდებოდათ ახალი ფორმულით გასამართ ახალ გათამაშებაში წარმატებაზე ფიქრი. მით უმეტეს, რომ ბევრი მცდელობის მიუხედავადაც ვერ მოხერხდა ამ დიდი დანაკარგის თუნდაც მინიმალურად შემსუბუქება. სხვა გამოსავალი რომ აღარ იყო, კლუბის პრეზიდენტმა ნუგზარ ნიკოლაიშვილმა და მთავარმა მწვრთნელმა სოსო ფრუიძემ ადგილობრივ და დედაქალაქიდან მიწვეულ ახალბედა ფეხბურთელებზე გააკეთეს აქცენტი.



მათ გადაარჩინეს „იბერია“: ნუგზარ ნიკოლაიშვილი და სოსო ფრუიძე

ბადრი კითილაძის ფოტო

მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი. ხელმოკლეობის გამო „იბერია“ სხვებზე გვიან შეუდგა მეთერთმეტე ეროვნულისათვის სამზადისს. აქედან გამომდინარე, სოსო ფრუიძეს შემჭიდროვებულ ვადებში მოუხდა გუნდის დაკომპლექტება — ჩამოყალიბება. მწვრთნელმა ორმოცამდე ფეხბურთელი შეამოწმა, საკონტროლო შეხვედრებში გამოსცადა. საბოლოო გადაწყვეტილება კი ჩემპიონატის დაწყებამდე ორი დღით ადრე მიიღო — პირველი და სამარქაფო გუნდებისთვის 30 მოთამაშე დაიტოვა.

და, განა მარტო ეს ორი. კიდევ ბევრი არგუმენტის მოყვანა შეიძლებოდა „იბერიის“ პირველ ოთხეულში შესაძლო დამკვიდრების უპერსპექტივობაზე. სათამაშო მოედანი ავიღოთ. ალბათ, გახსოვთ, ფედერაციამ ჯერ კიდევ შუა ზაფხულში წაუყენა ულტიმატუმი სამტრედიულ კლუბს: „ეროსი მანჯგალაძე“ მოიყვანეთ წესრიგში, თორემ ამ არენაზე არ გათამაშებთო. რა ექნა, ვერ გაწვდა ყველაფერს კლუბის პრეზიდენტი, მისმა მეწილე სამტრედიის გამგეობამ კი თავი არ შეიწუხა ამ საკითხის მოსაგვარებლად და... კარგად მოგეხსენებათ, სასტარტო (საშინაო) მატჩის გამართვა „მერანთან“ ფრუიძის შეგირდებს თბილისში მოუწიათ. კიდევ კარგი, გამოჩნდა მადლიანი კაცი, სამტრედიის ქონების დაცვის პოლიციის უფროსი ავთანდილ თევზაძე. მისი ძალისხმევით იყო, სტადიონის ერთ ტრიბუნაზე დასაჯდომები მოეწყო, გასახდელებიც მოწესრიგდა და მომდევნო საშინაო თამაში „ტორპედოსთან“ „იბერიამ“ უკვე „მანჯგალაძეზე“ გამართა.

ვაის გავეყარე და, უის შევეყარეო, ახლა რკინიგზის დეპარტამენტიდან შემოუთვალეს კლუბს: არენდის თანხა გადაიხადეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოედანზე არ შეგიშვებთო. ბოლო-ბოლო ეს საკითხიც მოგვარდა. დეპარტამენტის ხელმძღვანელი მუშაკის მიხეილ გამრეკელიძის ჩარევის შემდეგ. სამტრედიელი ყოფილა და გულთან მიუტანია იბერიელთა გასაჭირი (ამბობენ, მის პარლამენტში გადეპუტატებას ამ ამბავმაც შეუწყო ხელიო).

მეტს აღარ გავაგრძელებთ. საკმარისია, სულ გაჭირვებაზე მტერმა ილაპარაკა.

— პრობლემები თავსაყრელად გვაქვს, მაგრამ უიმედოდ მაინც არ ვართ. ისეთ ზონაში მოვხვდით, ბრძოლა შეიძლება. პირველ ოთხეულში შესვლა მხოლოდ ორ გუნდს აქვს გარანტირებული — ქუთაისის „ტორპედოს“ და ფოთის „კოლხეთს“. ვეცდებით არსებულ არასახარბიელო პირობებშიც მაქსიმუმი გამოვწუროთ — არ ჰკარგავდა ოპტიმიზმს გათამაშების სტარტზე იბერიელთა პედანტი თავკაცი. ფრუიძემ იცოდა, რასაც ამბობდა. ეტყობა, მას საკუთარი შესაძლებლობებისაც სჯეროდა და შეგირდებისაც.

ზემოთ ვთქვით, „იბერიას“ პირველ ტურში „მერანისთვის“ უნდა ემასპინძლა, სამტრედიულ სტადიონს კი ამ პერიოდისთვის ვეტო ჰქონდა დადებული. ამიტომ იყო, კლუბმა ფედერაციისგან მატჩის ერთი დღით გადავადება და წყალტუბოში გამართვის ნებართვა ითხოვა. ფედერაციამ კი რა? ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, მთხოვნელებს უარით უპასუხა (ვითომ ქვეყანა დაიქცეოდა) და თბილისში ამოაყოფინა თავი. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ ვის წისქვილზე ასხამდა წყალს ასეთი გადაწყვეტილება. სტუმარი ხომ მასპინძლად მოგვევლინა (ტრანსპორტელთა აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტი ნუგზარ ნავაძე კი მოგვიანებით იტყვის, ფედერაცია ყველაფერს აკეთებს, რათა „იბერია“ პირველ ოთხეულში მოხვდესო...).

სამტრედიელებმა სასტარტო ტურშიც ქულას გამოჰკრეს ხელი და მეორეშიც, როცა ასევე სტუმრად თსუ-ს დაუზავდნენ. ნამდვილად არ იყო ურიგო შედეგი. „იბერიას“ უსიამოვნება მომდევნო მატჩში ელოდა. მასპინძელმა, დიდი სურვილის მიუხედავად, ვერაფერი გააწყო გაცილებით ძლიერ მეტოქესთან, საჩემპიონო ამბიციებით შეპყრობილ „ტორპედოსგან“ მწარე (0:3) მარცხი იწვნია. ფრუიძის შეგირდებს მორიგ შეხვედრაშიც მკაცრი გამომცდელი ჰყავდათ ფოთის „კოლხეთის“ სახით. იმერლები მედგრად დაუდგნენ ზღვისპირელებს და მათ სკამზე მჯდომ მწვრთნელს ნერვებიც დააწყვიტეს. ეგ იყო, ტყებუჩავას და კომპანიას არბიტრი მოევლინა მხსნელად, თვითმხილველთა აზრით, ისეთი პენალტი დადო სტუმართა კარში, რომ თვით კოლხთა ქომაგნიც გააკვირვა. სამართალმა პური ჭამა. გუბაზ დოლიძემ 11-მეტრიანიდან დარტყმული მოიგერია, ოღონდ კოლხმა იქვე დაამატა და... სამტრედიელებმა, ფაქტობრივად, პენალტით წააგეს ფოთში და პენალტითვე იზეიმეს პირველი გამარჯვება. თუმცა, აქ ისიც სათქმელია, რომ „გორდას“ ძლევა „იბერიას“ უთერთმეტმეტრიანოდაც შეეძლო. რა თქმა უნდა, უამრავი საგოლე მომენტიდან ერთი მაინც რომ გამოეყენებინა. მერე „იბერია“ გორში დამარცხდა, ხოლო პირველი ეტაპის პირველი წრის ბოლო მატჩში „ხობს“ აჯობა და 8 ქულით სანუკვარ კვარტეტში შეაღწია.

გაგრძელებაც კარგი იყო. იმერლებმა სტუმრად ერთხელაც აწკაპნეს ქულა „მერანს“. მეოთხე ადგილზე მყარად დამკვიდრება კი „იბერიას“ უკვე მომდევნო მეტოქესთან წარმატების შემთხვევაში შეეძლო. სამტრედიელები შინ ხვდებოდნენ თავიანთ კონკურენტ თსუ-ს. მასპინძელთა უპირატესობა უდავო იყო. „ცალკარა“ მიდიოდა, მაგრამ რად გინდა, სტუდენტთა კართან უხვად შექმნილი საგოლე მომენტებიდან იბერიელებმა ერთიც ვერ გამოიყენეს, თამაშის ბოლოსწინა წუთზე კი თავად წამოეგნენ კონტრშეტევაზე და უპრინციპულესი მატჩი წააგეს. გემახსოვრებათ, მატჩის დამთავრებას დიდი დავიდარაბა მოჰყვა. სამტრედიელმა ქომაგებმა ალყა შემოარტყეს სამსაჯოს და ერთი საათი აყურყუტეს იქ თემიდის მსახურნი. ოთარ გუნთაძეს სტუდენტთა კარში ორი 11-მეტრიანის არდანიშვნაში სდებდნენ ბრალს. კაცმა რომ თქვას, არცთუ უსაფუძვლოდ. ახლა გეკითხებით: ეს არის „ფედერაცია ყველაფერს აკეთებს, რათა „იბერია“ პირველ ოთხეულში მოხვდეს“? ვითომ ფედერაციაში არბიტრის ინსტრუქტირება დაავიწყდათ?

თსუ-სთან ვერმოგებით სამტრედიელებმა საგრძნობლად გაირთულეს სატურნირო მდგომარეობა, სულ მალე კი უარეს დღეში აღმოჩნდნენ. „იბერია“ მეზობლად ქუთაისში განადგურდა (0:5) და მისი ოთხეულში შესვლის პერსპექტივა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, თუმცა, შემდგომში მოვლენები სამტრედიელთათვის სასიკეთოდ განვითარდა. დარჩენილ ტურებში მათი კონკურენტები ერთმანეთს დაერივნენ. „იბერიამ“ კი დრო იხელთა, ოთხი მატჩიდან სამი მოიგო და მავანი სკეპტიკოსი ფაქტის წინაშე დააყენა, სამეორეეტაპოდ უძლიერესთა ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვა.

სამტრედიელთა საფინიშო სპურტმა ბევრი ეჭვი დაბადა, მაგრამ... აქ ალბათ, „იბერიისადმი“ ფედერაციის „კეთილგანწყობის“ დამადასტურებელი ერთი ფაქტის მოყვანაც ღირს. იცით, 20 ნოემბერს, ბოლოსწინა ტურში სამტრედიელებს „დილასთვის“ უნდა ემასპინძლათ. გორელებმა ნახევარი საათით დააგვიანეს თამაშზე და ფედერაციას „იბერიასთვის“ მუქთი 3 ქულის მინიჭების სრული უფლება ჰქონდა, ოღონდ ასე არ მოხდა. მატჩი გადათამაშდა და „იბერიას“ ბრძოლაში მოუხდა ქართლელებთან 3 ქულის მოპოვება. ისე, სამტრედიელთა ბოლო გამარჯვებაც ხობში მითქმა-მოთქმის საგნად იქცა. ეს თამაში დიდი სკანდალით დამთავრდა, ოღონდ მხოლოდ ღმერთმა თუ უწყის, რა იყო სინამდვილეში ამ სკანდალის მიზეზი. „იბერიას“ თავკაცი სოსო ფრუიძე ხომ კატეგორიულად უარყოფს რაიმე გარიგების ფაქტს და იმასაც კი ამტკიცებს, რომ გაგვმართლებოდა, „ხობთან“ დიდი ანგარიშითაც უნდა მოგვეგო.

თქმა არ უნდა, „იბერიამ“ მეთერთმეტე ეროვნულის პირველ ეტაპზე შეუძლებელი შეძლო, მართლაც რომ მაქსიმალური შედეგი გამოწურა. მწვრთნელის სკრუპულოზურმა მუშაობამ ნაყოფი გამოიღო, ამას თავად მოთამაშეებიც აღიარებენ, გეგმაზომიერი წვრთნა რომ არა, ოთხეულს ვერ ვეღირსებოდითო, ირწმუნებიან იბერიელები.

„იბერიას“ კარს განვლილ ბატალიებში მორიგეობით ორი გოლკიპერი იცავდა — გუბაზ დოლიძე და ოთარ ვარდანიძე. ამათ თანაბრად, საიმედოდ გაისარჯეს. სამტრედიელთა უკანა ხაზსაც არაუშავდა. ბუნებრივია, შეცდომებიც იყო, იგივე „ტორპედოსთან“ (შინ და სტუმრად) და „გორდასთან“ (სტუმრად), მაგრამ მთლიანობაში დაცვამ მაინც გაართვა საქმეს თავი, რაც მეტწილად გამოცდილი გელა ლურსმანაშვილის, გეგეშიძის და მიქელთაძის დამსახურება გახლდათ. რაც შეეხება გივი ქველაძეს, იგი მოგვიანებით შეუერთდა „იბერიას“, ცოტა დაეხმარა კიდევაც გუნდს, ოღონდ საყოფაცხოვრებო ტრავმის შემდეგ თამაშს ჩამოშორდა.

შუა ხაზში ფრუიძემ ბევრი გამოსცადა. მწვრთნელი ძირითადში ადგილს უფრო ნიკოლეიშვილს, მუმლაძეს, ბინაძეს (სიტუაციიდან გამომდინარე, ამათ დაცვაშიც ხშირად ვხედავდით), ზურაბ მეტრეველს ანდობდა. ახალგაზრდებს (ხმალაძე, ხურციძე, ჟვანია და სხვები) გამოცდილებასთან ერთად პარტნიორებთან შეთამაშებაც აკლდათ, თორემ მონდომებას ვერ დაუწუნებდით. ნახევარდაცვაში მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლო მალხაზ ჯინჭარაძეს, მაგრამ რიგ თამაშებში ფრუიძე მას უკან, გეგეშიძის პოზიციაზე ამწესებდა. ბოლომდე ვერ გაიხსნა შოთა დარსაძე, რის გამოც მხოლოდ შემცვლელად გვევლინებოდა.

ყველაზე სუსტად „იბერიაში“ თავდასხმა გამოიყურებოდა. ეს არც იყო გასაკვირი. გუნდი წინ ეული ფორვარდის ივეჩიანის იმედად იყო, რომელსაც უჭირდა მცველებთან ბრძოლა. მეორე წრეში სამტრედიელებს გამოცდილი წინახაზელი შეემატათ. „ტორპედოდან“ განათხოვრებით მისული კოტე მეტრეველი „იბერიას“, რაღა თქმა უნდა, შეეშველა, თუმცა სათამაშო პრაქტიკის უქონლობა მის გარჯასაც აჩნდა დიდად.

ახლა „იბერიას“ მომავალზეც. იგი ერთობ ბუნდოვანია. კლუბის მესვეურთა თქმით, იკვეთება ორი გზა. ერთი „იბერიას“ ფინანსური გაჭირვებიდან გამოიყვანს და უკეთ დაკომპლექტების საშუალებას მისცემს. ეს იმ შემთხვევაში, თუ რკინიგზის დეპარტამენტი დაპირებებიდან საქმეზე გადავა, კლუბის მეპატრონეს ნუგზარ ნიკოლაიშვილს წილში „ჩაუჯდება“. მეორე გზა არახალია. თუ არაფერი შეიცვალა, „იბერიას“ ძველებურად გაუჭირდება. თუმცა, დღესავით ნათელია, გაზაფხულზე სამტრედიელები ახლანდელი კონტინგენტითაც ბევრს გაუმწარებენ ცხოვრებას.

**იუზა კაციტაძე**

## პირველი ეტაპის შედეგები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | მერანი | 1:1 | შ | მეტრეველი |
| 2 | თსუ | 1:1 | ს | ადეიშვილი |
| 3 | ტორპედო | 0:3 | შ | |
| 4 | კოლხეთი | 0:1 | ს | |
| 5 | გორდა | 1:0 | შ | გეგეშიძე |
| 6 | დილა | 0:2 | ს | |
| 7 | ხობი | 2:1 | შ | ივეჩიანი, ხმალაძე |
| 8 | მერანი | 0:0 | ს | |
| 9 | თსუ | 0:1 | შ | |
| 10 | ტორპედო | 0:5 | ს | |
| 11 | კოლხეთი | 1:0 | შ | მუმლაძე |
| 12 | გორდა | 0:4 | ს | |
| 13 | დილა | 2:1 | შ | ლურსმანაშვილი, გეგეშიძე |
| 14 | ხობი | 1:0 | ს | გეგეშიძე |

| | თ | გ | ყ | წ |
|---|---|---|---|---|
| ბიძინა ივეჩიანი | 14 | 1 | 0 | 0 |
| გელა ლურსმანაშვილი | 14 | 1 | 3 | 0 |
| ზაზა მიქელთაძე | 14 | 0 | 0 | 0 |
| მალხაზ ჯინჭარაძე | 14 | 0 | 1 | 0 |
| ვალერიან გეგეშიძე | 13 | 3 | 2 | 0 |
| ზურაბ მეტრეველი | 13 | 1 | 5 | 0 |
| შალვა ბინაძე | 12 | 0 | 0 | 0 |
| შოთა დარსაძე | 11 | 0 | 1 | 0 |
| შალვა მუმლაძე | 11 | 1 | 2 | 0 |
| ლაშა ხმალაძე | 11 | 1 | 0 | 0 |
| გიგა ნიკოლეიშვილი | 10 | 0 | 1 | 0 |
| კოტე მეტრეველი | 8 | 0 | 2 | 0 |
| გუბაზ დოლიძე | 7 | -9 | 1 | 0 |
| ოთარ ვარდანიძე | 7 | -11 | 2 | 0 |
| გიორგი ხურციძე | 7 | 0 | 2 | 0 |
| დავით ჟვანია | 4 | 0 | 0 | 0 |
| გივი ქველაძე | 4 | 0 | 0 | 0 |
| ნიკოლოზ გიორგაძე | 3 | 0 | 0 | 0 |
| რობერტ ცომაია | 3 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ადეიშვილი | 2 | 1 | 0 | 0 |
| დავით ოდიკაძე | 2 | 0 | 0 | 0 |
| ლევან ფილიპაშვილი | 2 | 0 | 0 | 0 |
| ირაკლი სანიკიძე | 1 | 0 | 0 | 0 |



თ - თამაში; გ - გოლი; ყ - გაფრთხილება; წ - გაძევება

| «ბ» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ტორპედო | 14 | 11 | 3 | 0 | 33:5 | 28 | 36 | 7 | 5 | 2 | 0 | 18:4 | 14 | 17 | 7 | 6 | 1 | 0 | 15:1 | 14 | 19 |
| 2 | კოლხეთი | 14 | 8 | 1 | 5 | 19:15 | 4 | 25 | 7 | 5 | 1 | 1 | 10:3 | 7 | 16 | 7 | 3 | 0 | 4 | 9:12 | -3 | 9 |
| 3 | დილა | 14 | 6 | 2 | 6 | 19:24 | -5 | 20 | 7 | 4 | 2 | 1 | 11:10 | 1 | 14 | 7 | 2 | 0 | 5 | 8:14 | -6 | 7 |
| 4 | იბერია | 14 | 5 | 3 | 6 | 9:20 | -11 | 18 | 7 | 4 | 1 | 2 | 7:7 | 0 | 13 | 7 | 1 | 2 | 4 | 2:13 | -11 | 5 |
| 5 | გორდა | 14 | 5 | 1 | 8 | 17:18 | -1 | 16 | 7 | 4 | 1 | 2 | 13:5 | 8 | 13 | 7 | 1 | 0 | 6 | 4:13 | -9 | 3 |
| 6 | თსუ | 14 | 4 | 4 | 6 | 13:18 | -5 | 16 | 7 | 3 | 1 | 3 | 9:9 | 0 | 10 | 7 | 1 | 3 | 3 | 4:9 | -5 | 6 |
| 7 | მერანი | 14 | 3 | 6 | 5 | 14:15 | -1 | 15 | 7 | 2 | 3 | 2 | 7:6 | 1 | 9 | 7 | 1 | 3 | 3 | 7:9 | -2 | 6 |
| 8 | ხობი | 14 | 2 | 4 | 8 | 15:24 | -9 | 10 | 7 | 2 | 1 | 4 | 9:11 | -2 | 7 | 7 | 0 | 3 | 4 | 6:13 | -7 | 3 |

## მეორე ეტაპი

I-VIII ადგილები

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტორპედო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 18 |
| 2 | დინამო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 17 |
| 3 | კოლხეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 16 |
| 4 | ბათუმი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 15 |
| 5 | ვიტ ჯორჯია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 14 |
| 6 | სიონი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 13 |
| 7 | დილა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 10 |
| 8 | იბერია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 9 |

# ნიგერიელები ლონდონში




ნვაკვო კანუ (მარცხნივ)

ნიგერიელი თავდამსხმელის, ნვანკვო კანუსა და ლონდონის „არსენალის" ხელშეკრულების საქმე, როგორც ჩანს, ახალიწლის მერელა გაირკვევა. მეტიც, მის შესახებ შეიძლება კანუს აფრიკის თასიდან დაბრუნების შემდეგ გავიგოთ. მეთოფეთა თავკაცი არსენ ვენგერი კი იმედოვნებდა, რომ ახალ კონტრაქტს დეკემბერში შეიმუშავებდნენ და მისი პირობები ერთი, რომ კლუბის სახელფასო სტრუქტურას მოერგებოდა და მეორეც, თავად ფეხბურთელისთვის იქნებოდა მისაღები.

მაგრამ „ჰაიბერის" პრესმდივანმა აღიარა, რომ ჯერ ახალ კონტრაქტზე საუბარი ნაადრევია. შეგახსენებთ, რომ ამსტერდამის „აიაქსისა" და მილანის „ინტერის" ყოფილი მოთამაშე ლონდონში დაახლოებით ერთი წლის წინ, ერთობ დაბალ ხელფასად ჩავიდა, ოღონდ იმ პირობით, რომ თუ გუნდს მისი თამაში დააკმაყოფილებდა, ანაზღაურების საკითხს გადახედავდნენ.

საიდუმლო არ გახლავთ, რომ ვენგერს კანუს ახალი ხელშეკრულება შედგენილი აქვს და მაგიდაზეც უდევს. მასში, ხელფასის გრაფაში, ჩაწერილია ისეთივე თანხა, „არსენალის" საუკეთესო ფეხბურთელები რომ იღებენ, კერძოდ, დაახლოებით 28 ათასი გირვანქა კვირაში — დენის ბერხკამპი, ტონი ადამსი და დევიდ სიმენის ჯამაგირი გვაიძულებს ასე ვიფიქროთ.

ვენგერმა, რომელსაც საკუთარი ხელფასის გაზრდისთვის 1998 წელს პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტულისა და ფეხბურთის ასოციაციის თასის მოგება დასჭირდა, განაცხადა:

„კანუს საკითხი ჩემთვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. მას უკვე აქვს კონტრაქტი 2003 წლამდე და ამბობს, რომ კლუბში დარჩენა სურს. ეჭვი არ მეპარება, კანუ ლონდონში თავს ბედნიერად გრძნობს და სწორედ „არსენალის" წევრობას გეგმავს".

ამასთან ერთად ვენგერი კატეგორიულია. იგი ბრძანებს, რომ კლუბის სახელფასო სტრუქტურის დარღვევა დაუშვებელია და ისეთი რამ, „მანჩესტერ იუნაიტედს" როი კინთან დაკავშირებით რომ მოუვიდა „არსენალს" არ უნდა შეეხოს.

„ჩვენ კანუს ვთავაზობთ მაქსიმუმს, მეტს კი ფიზიკურად ვერ შევთავაზებთ" — ამბობს მეთოფეთა ბოსი.

კანუს ბრიტანელმა აგენტებმა დაადასტურეს, რომ მათი კლიენტისა და „არსენალის" ახალ კონტრაქტთან დაკავშირებით სიახლე არაფერია, თუმცა არის ერთი მეტისმეტად პრინციპული საკითხი: დართავენ გაერთიანებული სამეფოს ოფიციალური სტრუქტურები ფეხბურთელის ოჯახის წევრებს ლონდონში ცხოვრების ნებას? ნიგერიელმა აღიარა, რომ ფეხბურთს გარეთ განმარტოებულად ცხოვრობს.

ვენგერმა თქვა: „კანუს აგენტი და იმავდროულად „არსენალის" ვიცე-თავმჯდომარე დევიდ დინი მისი ნათესავებისთვის ვიზებისა და ცხოვრების ნებართვის საკითხზე მუშაობს".

# მკვლელობა იოჰანესბურგში

ახლახან გაუწყეთ, სამხრეთ აფრიკელები ამბობენ, ჩვენთან არც ისე ბევრი დანაშაული ხდება, როგორც მტრები ამბობენო. შეგახსენებთ, ხმები დაირხა, ამ ქვეყანაში ძალიან ბევრი ბოროტმოქმედება ხდება და იქ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის გამართვა დაუშვებელიაო. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ხმებს რეალური საფუძველი გააჩნია. სამხრეთ აფრიკიდან ცნობა მოვიდა, კლარენს მლოკოტი მოკლესო. ეს სახელი ჩვენ არაფერს გვეუბნება, თავის სამშობლოში კი 69 წლის მლოკოტი მეტად ცნობილი პიროვნება ყოფილა — ერთ-ერთ იქაური კლუბის, „კაიზერ ჩიფსის" დამაარსებელი და პრეზიდენტი. ორმა უცნობმა მის მანქანას ცეცხლი გაუხსნა. მლოკოტი საავადმყოფოში მიყვანისთანავე თავში მიღებული ჭრილობით გარდაიცვალა. მისი ქალიშვილი, რომელიც ასევე მანქანაში იმყოფებოდა, უვნებლად გადარჩა.

აღნიშნულ შემთხვევას სამხრეთაფრიკელთა გარდა არავინ მიაქცევდა ყურადღებას, რომ არა ერთი მნიშვნელოვანი მომენტი. ქვეყანა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად იბრძვის. შესაბამისად, მსგავსი ამბები მის რეპუტაციაზე ცუდად მოქმედებს. მით უმეტეს სამხრეთ აფრიკაში სიტყვები — ფეხბურთი და კრიმინალი ლამის სინონიმებად ქცეულა. ჩხუბი, მუქარა, ადამიანების მოტაცება, კორუფცია — ყოველივე ეს ფეხბურთის განუყოფელი ნაწილია. ახლა ამას მკვლელობაც დაემატა. ფაქტები საზარელია, მაგრამ სარგებლის ნახვა აქედანაც შეიძლება. ინგლისი, გერმანია, ბრაზილია და მაროკო სამხრეთაფრიკელთა კონკურენტები არიან. მსგავსი ამბები მათ წისქვილზე ასხამს წყალს.

## აფრიკის თასი. ს. აფრიკა

სახრეთ აფრიკის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ტროტ მოლოტომ იმ 22 ფეხბურთელის სია დაასახელა, რომლებიც მომავალ თვეში აფრიკის ქვეყნების თასის გათამაშებაში მიიღებენ მონაწილეობას. ტურნირი ორ ქვეყანაში — განასა და ნიგერიაში გაიმართება და სტარტს 22 იანვარს აიღებს.

გუნდში ძირითადად ძველი ნაკრების მოთამაშეები არიან გამოძახებულნი. მხოლოდ ერთადერთ ფეხბურთელს, ჰოლანდიის მეორე დივიზიონელ „ბრედას" რიგებში მოასპარეზე გლენ სალმონს არ უთამაშია აქამდე ქვეყნის პირველ გუნდში.

სალმონმა ფილ მასინგა შეცვალა. ეს უკანასკნელი სერია A-ში მოასპარეზე „ბარის" რიგებს იცავს და ამჟამად ტრავმა აწუხებს, მინიმუმ ოთხი თვე ვერ იასპარეზებს.

სამხრეთ აფრიკამ პირველმა დაასახელა თავისი ნაკრების შემადგენლობა იმ 16 გუნდიდან, რომელიც ამ თასზე ასპარეზობს. გუნდი B ჯგუფში მოხვდა ალჟირის, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და გაბონის ნაკრებებთან ერთად.

სამხრეთაფრიკელებს სავარჯიშო ბაზა განაში, დასახლება კუმასიში ექნებათ განლაგებული.

მეკარეები: ანდრე არენდსე (ოქსფორდ იუნაიტედი, ინგლისი), ჯონ ტლალე (მამელოდი), ჰანს ვონკი (ჰერენვენი, ჰოლანდია); მცველები: მარკ ფიში (ბოლტონი, ინგლისი), პიერ ისა (ოლიმპიკი, მარსელი, საფრანგეთი), პაპი კომანე (ორლანდო პრატსი), ლუკას რადებე (ლიდსი, ინგლისი), ფრანკ შოემანი (მამელოდი); ნახევარმცველები: ალექს ბაპელა (მამელოდი), კუინტონ ფორჩუნი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), სტივ ლეკოელეა (ორლანდო პრატსი), ჰელმან მკალელე (ანკარაგიუჯიუ, თურქეთი), ტაბო მნგუმნი (ორლანდო პრატსი), ჯონ მოშოუ (ფენერბაჰჩე, თურქეთი), დუმისა ნგობე (გენჩლერბირლიგი, თურქეთი), ისააკ შაი (მამელოდი), ერიკ ტინკლერი (ბარნსლი, ინგლისი); თავდამსხმელები: შონ ბარტლეტი (ციურიხი, შვეიცარია), დანიელ მუდაუ (მამელოდი), პოლენ ნდლანია (გიოზთეფე, თურქეთი), სიაბოგა ნომვეტი (კაიზერ ჩიფსი), გლენ სალმონი (ბრედა, ჰოლანდია)

## საფრანგეთი

XIX ტურის მატჩი

**ლანსი 1:2 ნანტი**

0:1 და როჩა (4), 1:1 დეზირე ჟობი (11), 1:2 კაველია (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 19 | 12 | 3 | 4 | 40:17 | 39 |
| პსჟ | 19 | 11 | 3 | 5 | 30:21 | 36 |
| ლიონი | 19 | 10 | 4 | 5 | 23:18 | 34 |
| ოსერი | 19 | 9 | 4 | 6 | 25:23 | 31 |
| სენტ ეტიენი | 19 | 8 | 5 | 6 | 30:27 | 29 |
| სედანი | 19 | 8 | 4 | 7 | 27:28 | 28 |
| ბორდო | 19 | 7 | 6 | 6 | 30:29 | 27 |
| მარსელი | 19 | 6 | 8 | 5 | 26:23 | 26 |
| რენი | 19 | 7 | 5 | 7 | 26:25 | 26 |
| ტრუა | 19 | 8 | 2 | 9 | 22:28 | 26 |
| ბასტია | 19 | 6 | 7 | 6 | 24:22 | 25 |
| მეცი | 19 | 4 | 11 | 4 | 22:19 | 23 |
| ნანტი | 19 | 7 | 2 | 10 | 21:23 | 23 |
| სტრასბური | 19 | 6 | 5 | 8 | 19:27 | 23 |
| ნანსი | 19 | 5 | 5 | 9 | 25:28 | 20 |
| ლანსი | 19 | 5 | 5 | 9 | 16:25 | 20 |
| ლე ავრი | 19 | 5 | 4 | 10 | 19:31 | 19 |
| მონპელიე | 19 | 3 | 5 | 11 | 20:31 | 14 |

## შოტლანდია

ლიგის თასი. მეოთხედფინალი

**კილმარნოკი — ჰართსი**

გადაიდო

## ესპანეთი

თასი. მეთექვსმეტედფინალი.

I მატჩი

**ბარაკალდო (III) 0:0 ვილიარეალი (II)**

**დეპორტივო 1:0 მალაგა**

## იტალია

თასი. მერვედფინალი.

საპასუხო მატჩი

**მილანი 3:0 ატალანტა (2:3)**

1:0 ბირჰოფი (41), 2:0, 3:0 გულიელმინპიეტრო (53, 65)

## ინგლისი

ლიგის თასი. მეოთხედფინალი

**ბოლტონი 2:1 უიმბლდონი**

0:1 კორტი (18), 1:1 გუდიონსენი (34), 2:1 იოჰანსენი (393)

**ტრანმერი 2:1 მიდლსბრო**

1:0 დ. კელი (39), 2:0 პარკინსონი (71), 2:1 ციგე (79)

პირველი დივიზიონი

**ქრიუ 1:0 ვულვერჰემპტონი**

1:0 ტაიტი (86)

**გრიმსბი 1:1 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 ალენი (30), 1:1 ჰიუზი (41)

## ამხანაგური მატჩი

**საბერძნეთი 1:1 განა**

1:0 კიპარისისი (15), 1:1 აკონორი (38)

საბერძნეთი: ელეფთეროპულოსი, ამანატიდისი, მავროგენიდისი, გეორგიადისი, ვენეტიდისი, სტოლტიდისი, ცარტასი, ჩაციპანაგისი, დაბიზასი, უზუნიდისი, კიპარისისი

შეცვლაზე შევიდნენ: ფრანცესკოსი, პურსანიდისი, კატერგიანაკისი, ანცასი, კუცისი, პ. კონსტანტინიდისი

განა: კინგსტონი, უნუზუ, კუფური, ნეტეი, ბაინტუ, აბონსა, აკონორი, ეიკვე, ანბული, ჯონსონი, ოფორი კუაე

შეცვლაზე შევიდნენ: ბაბა, კენედი, ჯუსტიჩი

# სჯობს მათეუსი დარჩეს

გერმანიის ნაკრების ყოფილი თავკაცი ბერტი ფოგტსი აცხადებს, რომ მიუნხენის „ბაიერნისა" და საერთოდ გერმანული ფეხბურთისთვის გაცილებით უკეთესი იქნება, თუ ვეტერანი ლოთარ მათეუსი მიუნხენურ კლუბში დარჩება და ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს საფეხბურთო ლიგას არ მიაშურებს. მოგეხსენებათ, რომ 38 წლის მათეუსი მარტის თვეში გერმანიას დატოვებს. იგი ნიუ იორკის „მეტროსტარზში" გადასვლას აპირებს. „ვფიქრ[illegible]ილებით ჭკვიანურ გადაწყვეტილებას მიიღებს მათეუსი, თუ ამერიკას მარტში არ მიაშურებს. ოკეანეს იქით ევროპის ჩემპიონატის შემდეგ რომ გაემგზავროს, მგონი, „ბაიერნისთვის" და გერმანული ფეხბურთისთვის აჯობებდა" — აცხადებს ფოგტსი. მათეუსი, რომელსაც თავისი ქვეყნის ნაკრების რიგებში 143 შეხვედრა ჩაუტარებია, დიდი ფეხბურთიდან წასვლას გაისად, ევრო 2000-ის შემდეგ აპირებს.

## გერმანია

[illegible] ტური

**ბაიერნი 2:1 არმინია**

0:1 ლაბადია (5), 1:1 [illegible], 2:1 სალიჰამიჯიჩი (58)

ბაიერნი: კანი, ლინკე (ზაბელი 46), მათეუსი, კუფური, სალიჰამიჯიჩი, იერემისი, ეფენბერგი (ფინკი 72), ტარნატი, ვისინგერი (სანტა კრუზი 46), იანკერი, პაულო სერჟიო

არმინია: კოხი, კლიცპერა, შტრატოსი, შტრაალი, პეეტერსი, მაისნერი (ბაგერი 32), ვატერინკი (ვიშნიარეკი 80), ვაისენბერგერი, ბომე (რიდლევიჩი 74), გიოქთანი, ლაბადია

გაფრთხილება: ბომე, კლიცპერა, ლაბადია, ვატერინკი

მსაჯი: მაიერი

**ჰერტა 1:1 მიუნხენი**

0:1 მაქსი (52), 1:1 კონსტანტინიდისი (71)

ჰერტა: კირალი, ჰ. ჰერცოგი, რეკდალი, ვან ბურიკი, კოვიჩი (როი 52), კონსტანტინიდისი, შმიდტი, მიხალკე (სანე 52), ვოში, პრეეცი, დაეი

მიუნხენი: ჰოფმანი, კურცი, ვანენბურგი, გრაილიხი, ბორიმიროვი (პასლაკი 78), რიდლი, ჰესლერი, ზელიჩი, ტაისი, მაქსი, შროტი

გაფრთხილება: ჰერცოგი, კონსტანტინიდისი, პასლაკი, რიდლი, ტაისი

მსაჯი: ფანდელი

**შტუტგარტი 3:1 ჰანზა**

1:0, 2:0 განეა (54, 62), 2:1 არვიდსონი (70), 3:1 პინტო (73)

შტუტგარტი: ვოლფარტი, ტიამი, ბერთოლდი, ბორდონი (ენდრესი 88), კარნელი, პინტო (კისი 82), სოლდო, ბალაკოვი (ლისტეში 46), გერბერი, დანდი, განეა

ჰანზა: ბროიტიგამი, რ. შნაიდერი, ვაილანდტი, ელერსი (ბენკენი 39), იასერი (აგალი 58), ვიბრანი, ლანცი, ემარა, ბრანდი, ბაუმგარტი (აჰინფუფი 82), არვიდსონი

გაფრთხილება: განეა, ვოლფარტი, იასერი

მსაჯი: კესლერი

**დუისბურგი 0:1 ვერდერი**

0:1 დაბროვსკი (14)

დუისბურგი: სტაუჩე, მ. შნაიდერი, ვოლერტი, კოვაჩევიჩი, ჰაიტო, ტოფტინგი, ვოსი (ჰოერსენი 78), ცაიერი, ოსტჰოფი (ბუგერა 67), ბაიერლე, რაისი (შპისი 67)

ვერდერი: ფ. როსტი, ფრინგსი, ტრარესი, ფ. ბაუმანი, ბოდე, მაქსიმოვი, აილტსი, დაბროვსკი, ა. ჰერცოგი (ვიდნერი 67), პიზარო, აილტონი (ფლოკი 88)

გაფრთხილება: ჰაიტო, დაბროვსკი, პიზარო

მსაჯი: ვაგნერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 16 | 10 | 3 | 3 | 31:13 | 33 |
| ლევერკუზენი | 15 | 7 | 7 | 1 | 25:16 | 28 |
| ჰამბურგი | 15 | 7 | 6 | 2 | 32:17 | 27 |
| ვერდერი | 16 | 7 | 5 | 4 | 34:22 | 26 |
| მიუნხენი | 16 | 7 | 5 | 4 | 26:20 | 26 |
| დორტმუნდი | 15 | 6 | 6 | 3 | 20:13 | 24 |
| შტუტგარტი | 16 | 7 | 3 | 6 | 19:18 | 24 |
| ლაუტერნი | 15 | 7 | 2 | 6 | 20:26 | 23 |
| ჰერტა | 16 | 5 | 7 | 4 | 22:24 | 22 |
| შალკე | 15 | 4 | 8 | 3 | 21:19 | 20 |
| ვოლფსბურგი | 15 | 5 | 5 | 5 | 20:27 | 20 |
| უნტერჰახინგი | 15 | 5 | 4 | 6 | 16:17 | 19 |
| ჰანზა | 16 | 4 | 5 | 7 | 22:35 | 17 |
| ფრაიბურგი | 15 | 4 | 4 | 7 | 21:22 | 16 |
| დუისბურგი | 16 | 2 | 7 | 7 | 17:24 | 13 |
| ულმი | 15 | 3 | 4 | 8 | 14:24 | 13 |
| აინტრახტი | 15 | 3 | 2 | 10 | 16:22 | 11 |
| არმინია | 16 | 2 | 5 | 9 | 12:29 | 11 |

## მეორე ბუნდესლიგა

**ჰანოვერი 2:1 კიკერსი**

1:0 შტენდელი (3), 1:1 მარიჩი (27), 2:1 მილოვანოვიჩი (34)

**ქემნიცი 3:3 ბოხუმი**

0:1 პეშელი (9), 0:2 ა. ვებერი (41), 1:2 დიტგენი (57), 2:2 შკელა (69), 2:3 ა. ვებერი (71), 3:3 დიტგენი (72)

**ნიურნბერგი 2:0 ბერლინი**

1:0 ლეიტლი (4), 2:0 დრილერი (65)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 15 | 10 | 4 | 1 | 33:10 | 34 |
| კოტბუსი | 15 | 9 | 1 | 5 | 31:17 | 28 |
| ნიურნბერგი | 16 | 8 | 3 | 5 | 27:27 | 27 |
| ბერლინი | 16 | 6 | 7 | 3 | 24:19 | 25 |
| ბოხუმი | 16 | 7 | 3 | 6 | 28:25 | 24 |
| ქემნიცი | 16 | 6 | 5 | 5 | 27:22 | 23 |
| ჰანოვერი | 16 | 6 | 4 | 6 | 23:21 | 22 |
| ალემანია | 15 | 6 | 4 | 5 | 25:30 | 22 |
| მაინცი | 15 | 5 | 6 | 4 | 19:19 | 21 |
| ფიურტი | 15 | 4 | 7 | 4 | 10:14 | 19 |
| ზტ. პაული | 15 | 4 | 6 | 5 | 16:19 | 18 |
| გლადბახი | 15 | 4 | 5 | 6 | 19:21 | 17 |
| ვალდჰოფი | 15 | 4 | 5 | 6 | 18:23 | 17 |
| კიკერსი | 16 | 4 | 5 | 7 | 24:31 | 17 |
| ფორტუნა | 15 | 3 | 6 | 6 | 11:19 | 15 |
| ობერჰაუზენი | 14 | 3 | 5 | 6 | 13:18 | 14 |
| კარლსრუე | 14 | 2 | 6 | 6 | 20:24 | 12 |
| ოფენბახი | 15 | 2 | 6 | 7 | 11:20 | 12 |

# იგინეთ მხოლოდ მშობლიურ ენაზე



აზიელი ფანი ვინაობას მალავს

იმისთვის, რომ გავერკვეთ, რა უნდა „გლაზგო რეინჯერსის" აზიური წარმოშობის გულშემატკივარს, გავიხსენოთ ამასწინათ, უეფას თასზე მომხდარი ინციდენტი.

„რეინჯერსი" გერმანულ დორტმუნდის „ბორუსიას" ეთამაშებოდა. როდესაც გლაზგოელთა კაპიტანს, იტალიელ ლორენცო ამორუზოსა და დორტმუნდელების ნიგერიელ თავდამსხმელს, ვიქტორ იკპებას შორის ფიცხელი შეხვედრებისთვის დამახასიათებელი ინციდენტი მოხდა. ამ ინციდენტის დროს ამორუზოს იკპებასთვის რალაც ისეთი უთქვამს. მის კანის ფერს რომ უსვამდა ხაზს. ბუნებრივია, ამ ამბავს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ამორუზომ თავიდან ყველაფერი იუარა.

„საფეხბურთო მოედანზე ინგლისურად არასოდეს ვიგინები, რადგან ვიცი, რომ მსაჯები დამსჯიან" — განმარტა მაშინ მცველმა. მაგრამ მერე, როდესაც ვიდეოჩანაწერი დაუტრიალეს, კომენტარი შეცვალა:

„დორტმუნდელებთან შეხვედრის დროს ვიქტორ იკპებასთან მართლაც მომივიდა კამათი. ჩვენ ერთმანეთი გავლანძღეთ. მინდა გითხრათ, რომ დაძაბულ მატჩებში ასეთი რამ ხშირად ხდება ხოლმე და ამიტომ იმისთვის, რაც მაშინ ვთქვი, ყურადღება არც მიმიქცევია. შემდეგ ვიდეოჩანაწერი მაჩვენეს, სადაც აშკარად ჩანს, რომ მე იკპებას რალაც ვუთხარი და ამიტომაც მინდა მას ბოდიში მოვუხადო. მსურს, ყველას გასაგონად განვაცხადო, რომ რასისტი არ ვარ. ვწუხვარ, თუ მოთამაშეს ან ვინმე სხვას შეურაცხყოფა მივაყენე".

ამის შემდეგ „რეინჯერსმა" კაპიტანი აღარ დასაჯა, კლუბის მდივანმა — დირექტორმა კემბელ ოგილვიმ კი განაცხადა: „ჩვენ ვიმსჯელეთ მომხდარის გამო. ფეხბურთელს თავიდან არც კი ახსოვდა, თუ მოწინააღმდეგეს რაიმე უთხრა, ხოლო შემდეგ, ვიდეოჩანაწერი რომ აჩვენეს, მან ყველაფერი გაიხსენა და მოინანია. მინდა გითხრათ, რომ ლორენცო სულაც არ გახლავთ რასისტი და ინციდენტის მიზეზი მხოლოდ მნიშვნელოვანი შეხვედრით გამოწვეული სიფიცხე გახლდათ".

„რეინჯერსის" ოფიციალურმა პირებმა ამასთან ლასძინეს, რომ მათი კაპიტნის რასისტულ გინებას საკუთრივ კლუბთან და მის პოზიციასთან არანაირი კავშირი არ აქვს — კლუბს რამდენიმე ანტირასისტულ წამოწყებაში აქვს მონაწილეობა მიღებული.

ინციდენტის გამო უეფას პრესმდივანმა ბრძანა, რომ შეხვედრის დელეგაციის ოქმში არაფერია აღნიშნული და არც ვინმეს უჩივლია, რაც საქმის გამოკვლევისთვის ერთადერთ საშუალებას, ვიდეოჩანაწერის ნახვასლა ტოვებს.

რაც შეეხება შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციას, მან განაცხადა, რომ მატჩი მისი ეგიდით არ ჩატარებულა, იგი უეფას საკუთრებაა და ამიტომ ხელებიც დაუბანია.

ახლა კი შეგვიძლია დავუბრუნდეთ „რეინჯერსის" აზიური წარმოშობის გულშემატკივარს, რომელმაც, როგორც თავში მოგახსენეთ, იჩივლა. ამ ფანმა ვინაობა არ დაასახელა, მაგრამ თქვა, რომ აღშფოთებულია და თუ კლუბის ხელმძღვანელობა რასიზმის წინააღმდეგ პრინციპულ ზომებს არ მიიღებს, თავის აბონემენტს დააბრუნებს და პრეზიდენტ დევიდ მიურეის პირადად მოთხოვს თანხის დაბრუნებას.

თურმე, ლორენცო ამორუზოსა და ვიქტორ იკპებას ინციდენტის გამოძახილი საგანგებოდ სქოთური პრემიერლიგის გასულ უქმეებზე გამართული





ამ პლაკატზე წერია: „რასიზმს წითელი ბარათი!"

ტურის შეხვედრაში იგრძნობოდა. იმ დღეს მოედანზე „რეინჯერსი" „კილმარნოკს" ხვდებოდა, ტრიბუნებზე კი ხალხი ამორუზოს მხარდამჭერის მიზნით საშინელ რალაცეებს გაიძახოდა.

აზიელი აღშფოთებულია და წესრიგის დაცვა სტიუარდისთვის მოუთხოვია, სტიუარდს კი მისი პრობლემა გულგრილად მიუღია.

„ყველაფერი იმის ბრალია, რომ კლუბმა ამორუზო არ დასაჯა. დღეს ზოგიერთი გათავხედებული გულშემატკივარი თვლის, რომ ის, რაც ამორუზომ იკპებას უთხრა, მანაც უნდა გაიმეოროს" — განაცხადა ინკოგნიტომ, რომლის გულში დანთებულ ცეცხლს ნავთი ზემოხსენებული სტიუარდის უზრუნველობამ გადაასხა.

საქმე ის გახლავთ, რომ „რეინჯერსის" ხელმძღვანელობას გამოცხადებული ჰქონდა, თუ ტრიბუნაზე რაიმე რასისტულს მოისმენთ ან შენიშნავთ, სტიუარდს ან პოლიციელს უთხარითო. აზიელმა უცნობმაც უთხრა, მაგრამ...

„დღეს ისეთი დროა, გარშემო ხშირად ისმის რასისტული გამონათქვამები. აზიელი ერთადერთი ადამიანი გახლავთ, რომელმაც იჩივლა, სხვისგან მსგავსი არაფერი გვსმენია" — ბრძანა დევიდ მიურეიმ და რიტორიკული კითხვაც დააყოლა: „კი მაგრამ, ჩვენგან რას ელით, რა ვქნათ?"





თურქული „ფენერბაჰჩესა" და ქვეყნის ეროვნული ნაკრების მეკარე რუშთუ რექბერი ფანებმა საშინლად სცემეს მას შემდეგ, რაც „ფენერბაჰჩემ" სათასო შეხვედრა დათმო მეორედივიზიონელ „ჰენდიქსფორთან" ანგარიშით 1:2. გულშემატკივრებმა მარცხში მეკარე დაადანაშაულეს, მის მანქანას მიეჭრნენ, იქიდან გადმოიყვანეს და სცემეს, თანაც მანქანა დაუმტვრიეს. ამით მათ კლუბის მიმართ პროტესტი გამოხატეს. პოლიცია უმალ გაჩნდა შემთხვევის ადგილზე და გოლკიპერი გონს მოიყვანა. ფანებს ბოლო ხანს კლუბის ჩემპიონატში ასპარეზობაც არ მოსწონთ. ჩეხი თავკაცის ზდენეკ ზემანის ხელმძღვანელობით „ფენერბაჰჩე" მეოთხე ადგილზეა და თანაქალაქელ „გალათასარაის" ექვსი ქულით ჩამორჩება.

**ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის" შვედი ლეგიონერი იესპერ ბლომკვისტი ტრავმის გამო მინიმუმ მარტამდე გამოეთიშება დიდ ფეხბურთს. იგი მიმდინარე წლის მაისში დაშავდა და ერთი ოპერაცია უკვე გაიკეთა, ახლა კი, ექიმების განცხადებით, ქირურგიული ჩარევა კვლავ სჭირდება. გუნდის თავკაცი ალექს ფერგიუსონი ამ ცნობამ ძლიერ დაალონა. მან განაცხადა: „სამწუხაროა, რომ ბლომკვისტმა ჯერაც ვერ მოიშუშა ტრავმა, მეტიც, კიდევ ერთი ოპერაცია ელის. თუმცა, იმედია, ფორმას მალე აღიდგენს და გუნდს დაეხმარება".**

სალვადორის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების მწვრთნელად რიკარდო ლოპეს ტენორიო დაასახელა. ახალი თავკაცი, რომელსაც აქამდე ქვეყნის წამყვან კლუბებში უმუშავია, გუნდს მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის მოამზადებს. თუ ნაკრებმა შესარჩევი ბარიერი გადალახა და ჩემპიონატზე მოხვდა, ეს მისთვის მსოფლიო ფეხბურთის ფორუმზე რიგით მესამე ასპარეზობა იქნება.

**ბელგიის პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ლომელის" ხელმძღვანელობამ წარუმატებელი მოღვაწეობის გამო თანამდებობიდან მთავარი მწვრთნელი, იოს ბერდენი დაითხოვა. კლუბი მართლაც კრიზისში იმყოფება, 17 შეხვედრიდან მხოლოდ 11 ქულა აქვს დაგროვილი და ცხრილში ბოლოსწინა პოზიცია უკავია. სეზონის ბოლომდე „ლომელს" დამხმარე მწვრთნელი, ჰარმ ვან ველდჰოვენი ავარჯიშებს.**

შოტლანდიის პრემიერლიგაში მოასპარეზე „ჰართსს" ინგლისური „ასტონ ვილადან" განათხოვრებით სტენ კოლიმორის გადაბირება სურს. „ასტონ ვილას" მთავარმა მწვრთნელმა ჯონ გრეგორიმ ამის თაობაზე განაცხადა: „ჰართსი" მართლაც დაინტერესდა კოლიმორით, სურს ვათხოვოთ. თავად ფეხბურთელმა გადაწყვიტოს". შეგახსენებთ, რომ 1997 წელს კოლიმორი ინგლისის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი იყო. მისი ტრანსფერი „ლივერპულში" 13,7 მილიონი დოლარი დაჯდა, თუმც შემდგომში აშკარად ვერ გაამართლა. „ჰართსის" ხელმძღვანელობა გარიგების თაობაზე აცხადებს: „მართლაც შევთავაზეთ „ასტონ ვილას", კოლიმორი დროებით დაეთმო, რაზეც კლუბი დაგვთანხმდა. ახლა საქმე პირადად ფეხბურთელთან გვექნება. ასე რომ, ვნახოთ, ყველაფერი მასზეა დამოკიდებული".

**ესპანური „სელტას" მეკარე რიშარ დუტრუელის თქმით, კატალონურ „ბარსელონას" მისი გადაბირება სურს. „ბარსა" ესაუბრა ჩემს წარმომადგენელ ფილიპ ფლავიერს, პირადად მე არავინ დამლაპარაკებია, თუმც ამას მნიშვნელობა არა აქვს, ნამდვილად მსურს დიდ კლუბში თამაში". დუტრუელმა, რომელიც წარმოშობით ფრანგია, 1996 წელს ესპანეთში პსჟ-დან გადასვლის შემდეგ გაითქვა სახელი. „სელტასთან" კონტრაქტის ვადა მას მიმდინარე სეზონის ბოლოს გასდის. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, რას უპირებს „ბარსელონა" თავის ორ მეკარეს — რუუდ ჰესპსა და ფრანსისკ არნაუს, რომლებიც აგრეთვე საკმაოდ ძლიერად ასპარეზობენ.**

# ბაჯოს სევდანარევი ისტორია

რობერტო ბაჯოს და მარჩელო ლიპის შორის შავმა კატამ გაირბინა. ფეხბურთელს მწვრთნელი საჯაროდ გაუკრიტიკებია, ლიპი დაპირების მიუხედავად, სათადარიგოთა სკამზე მამყოფებსო. ლიპის რეაქცია საკმაოდ მკაცრი იყო. მან თქვა: „მინდორზე ვის გავიყვან, ეს მხოლოდ ჩემი გადასაწყვეტია. თუ ვინმე ჩემი სტილით უკმაყოფილოა, შეუძლია, ახალი გუნდის ძებნას შეუდგეს". მწვრთნელს „ინტერის" ტექნიკურმა დირექტორმა გაბრიელე ორიალიმაც აუბა მხარი და განაცხადა: „ინტერის" ძირითად შემადგენლობაში ის ფეხბურთელები თამაშობენ, რომლებიც ამას იმსახურებენ. ეს წესი ყველასთვის უცვლელია. ცხადია, ბაჯოსთვის არანაირ გამონაკლისს არ დავუშვებთ. არ ეთანხმება ჩვენს პოზიციას? არ ვაკავებთ, შეუძლია წავიდეს". კლუბის პოზიცია ნათელია, მას ბაჯო არ სჭირდება. თუმცა, რატომ არ იმსახურებს ფეხბურთელი ძირითადში თამაშს, არავინ ამბობს.

როგორც ჩანს, ბაჯოც სერიოზულად ფიქრობს კლუბის გამოცვლაზე. მით უმეტეს, უკვე აქტიურად საუბრობენ „ბოლონიას" ბაჯოთი დაინტერესების შესახებ. ადრევე გაუწყეთ, ბოლონიელი გულშემატკივრები ინტერნეტის საშუალებით ფეხბურთელს წერილებს უგზავნიან, ოღონდ გადმოდი და ხელისგულზე გატარებთო. ერთი რამ ცხადია, ბაჯოს უმუშევრობა არ ემუქრება. „ბოლონია" და ბევრი სხვაც მას ხელგაშლილი შეხვდება. ბაჯო მხოლოდ დაკარგულ დროს მისტირის. 32 წლის ფეხბურთელმა საკმაოდ დიდხანს დაჰყო სათადარიგოთა სკამზე. მის ასაკში ამგვარი „ფუფუნება" სათამაშო ფორმის აღდგენის სულ უფრო და უფრო მცირე შესაძლებლობას იძლევა.

ფეხბურთელი სწორედ ამიტომ არის მწვრთნელით უკმაყოფილო. „შვებულება არგენტინაში გავატარე. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩამოვიდოდი და ძველებურად ვითამაშებდი. მაგრამ სხვაგვარად მოხდა. მე მხოლოდ ის მწყინს, რომ მატყუებენ. ხომ შეეძლოთ, თავიდანვე ეთქვათ, სასტარტო შემადგენლობაში შენი ადგილი არ არის და შეცვლაზე გათამაშებთო. მაშინ სხვაგვარად მოვიქცეოდი. უამრავი გუნდი მეპატიჟებოდა, სადაც სიამოვნებით მათამაშებდნენ" — წუხს ბაჯო. მართლაც, მარჩელო ლიპის მოსვლის შემდეგ სულ ხუთჯერ გამოჩნდა მინდორზე და ხუთჯერვე მეორე ტაიმში შეცვლაზე შეუშვეს.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ გულშემატკივართა კერპს და მეტად სასარგებლო მოთამაშეს მწვრთნელები არ წყალობენ. ასეა ახლა, ასე იყო მაშინაც, როცა ბაჯო კაპელოსეულ „მილანში" თამაშობდა. ფეხბურთელი იმ პერიოდსაც სინანულით იხსენებს: „ფაბიო კაპელო იგივეს მიკეთებდა, რასაც ახლა მარჩელო ლიპი. მაგრამ კაპელო უფრო პატიოსნად მომექცა. მან მაგრძნობინა, რომ „მილანის" თამაშის მისეულ ხედვაში ჩემი ადგილი არ იყო. ამიტომ, მსგავსი სიტუაცია რომ გამომერიცხა, ლიპის მოსვლისთანავე ვესაუბრე. მან მითხრა, „ინტერში" თამაშს შენზე ავაგებო. მომატყუა. არადა, მასთან საუბრის შემდეგ ძალიან ბედნიერი ვიყავი, ძალების მოზღვავებას ვგრძნობდი". იგივე მდგომარეობა შეექმნა ბაჯოს ნაკრებშიც. გახსოვთ, რომ არა უდიდესი ზეწოლა, ჩეზარე მალდინი ბაჯოს საფრანგეთში არ წაიყვანდა. თუმცა წაყვანაც არის და წაყვანაც. მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიის ნაკრებმა ხუთი მატჩი გამართა. ბაჯოს სრულად არც ერთში არ უთამაშია. მალდინის ერთ ტაიმში ბაჯო გამოჰყავდა, მეორეში — ალესანდრო დელ პიერო. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს უკანასკნელი არცთუ კარგ ფორმაში იყო. სპეციალისტთა უმრავლესობის აზრით, ბაჯოს გუნდისთვის უფრო მეტი სარგებლობა მოჰქონდა.

ბაჯო „ინტერს" დატოვებს, თუმცა ეს დაუყოვნებლივ არ მოხდება. ფეხბურთელს სეზონის ბოლომდე მოცლა სურს, საბოლოო გადაწყვეტილებასაც მაშინ მიიღებს. ბაჯოს ერთი ოცნება აქვს. მას კარიერის დასრულება იქ სურს, სადაც ფეხი აიდგა. ეს პატარა იტალიური ქალაქი ვიჩენცაა. მისი გუნდი სერია B-ში თამაშობს და 15 ტურის შემდეგ ლიდერიც არის. როგორც ვთქვით, ბაჯო თავის ახალ და, ალბათ, უკანასკნელ გუნდს სეზონის ბოლოს აირჩევს. მიზეზი გასაგებია, თუ „ვიჩენცა" გაისად სერია A-ს ბინადარი გახდა, ბაჯოც მშობლიური ქალაქის გუნდში გადავა. წინააღმდეგ შემთხვევაში ვარიანტები მას საკმაოდ აქვს, თუნდაც „ბოლონია". სეზონის დასრულებას კიდევ რამდენიმე თვე უკლია, მაგრამ ბაჯოს ერთი რამ მტკიცედ გადაუწყვეტია — კარიერის დასრულების შემდეგ ის ვიჩენცაში დასახლდება.

ბოლოს რობერტო ბაჯოს მიერ განვლილ გზასაც გადავხედოთ. 1985 წელს „ვიჩენცაში" მოთამაშე 18 წლის ყმაწვილი „ფიორენტინამ" გადაიბირა. ფლორენციაში ბაჯომ ხუთი სეზონი გაატარა და იტალიის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად იქცა.

1990 წლის ერთ, ვისთვის ბედნიერ, ფლორენციელთათვის კი უბედურ დღეს ქალაქი მღელვარებამ მოიცვა — კლუბმა რობერტო ბაჯო ტურინელებს მიჰყიდა. 1990-95 წლებში ბაჯომ ტურინის „იუვენტუსის" რიგებში 141 შეხვედრა ჩაატარა და 78 გოლი შეაგდო. სწორედ იმ დროს გაიმართა ამერიკის შეერთებულ შტატებში მსოფლიოს ჩემპიონატი. დრამატულ ფინალურ მატჩში ბურთს ბოლო ბაჯო შეეხო. მან თავის ცხოვრებაში ყველაზე საბედისწერო პენალტი დაარტყა... შემდეგ იყო „მილანი". კაპელო მას არ ენდობოდა. ბაჯო ნაკრებიდანაც გაუშვეს. ფეხბურთელს მხსნელად „ბოლონია" მოევლინა. ამ გუნდში გატარებული ბრწყინვალე სეზონის შემდეგ, ჩეზარე მალდინი იძულებული გახდა, ბაჯო ნაკრებში დაებრუნებინა. უკანასკნელი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მან „ინტერის" შავ-ლურჯი მაისურა მოირგო. რა იქნება შემდეგ? ამას დრო გვიჩვენებს.

რობერტო ბაჯოს ყველაზე დიდი წარმატება საერთაშორისო სარბიელზე უეფას თასის მოგებაა. თუმცა მას ერთი დიდი ჯილდოც აქვს — ხალხის საყოველთაო სიყვარული.

გიორგი დარჯანია



რობერტო ბაჯო



ხერემი



ჯონ ტოშაკი

# ხერემის აჯანყება

კამერუნის ნაკრების მოთამაშე ჟერემი ნჯიტაპი, რომელსაც ესპანეთში თავისებურად ხერემის ეძახიან, მადრიდის „რეალის“ წევრთაგან ყველაზე გაბედული თუ მოუთმენელი აღმოჩნდა. გაზეთ „მარკასთვის“ მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ გუნდის ყოფილი მწვრთნელი ჯონ ტოშაკი გასაძევებელი არ იყო.

ხერემი ერთ-ერთი მათგანი გახლავთ, ვისი ყიდვაც უელსელმა სპეციალისტმა „რეალის“ სათავეში ჩადგომისთანავე მოითხოვა. ხერემის მსგავსად, ტოშაკის რეკომენდაციით, გახლავთ მიღებული ბოსნიელი ელვირ ბალიჩიც. ხერემიში „რეალმა“ თურქულ „გენჩლერბირლიგის“ 4,7 მილიონი დოლარი გადაუხადა.

„ტოშაკის წასვლის შემდეგ ჩემი საქმე გაუარესდა. „რეალში“ თამაშის შანსი მისი მწვრთნელობის დროს ხშირად მეძლეოდა, რადგან მადრიდში რომ ვარ, მისი დამსახურება გახლავთ“ — თქვა ხერემიმ.

ამასობაში კი ტოშაკი „რეალის“ ხელმძღვანელობასთან გაცხარებულ კონფლიქტშია. იგი მათგან იმ თანხას ითხოვს, სეზონის ბოლომდე ანუ კონტრაქტის ვადებში რომ უნდა გადაეხადათ.

ხერემი ამბობს: „სულაც არ მგონია, რომ ჩვენი საქმის შველა მხოლოდ მწვრთნელის გაგდებით შეიძლებოდა. მე თუ მკითხავთ, ცუდი შედეგები მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთელების ბრალი გახლდათ“.

კამერუნელს სეზონის წინა შეკრებაზე, შვეიცარიაში თავი ისე გამოეჩინა, რომ ტოშაკის ფავორიტად ქცეულიყო. ტოშაკის ხელში იგი დაცვისა და ნახევარდაცვის ცენტრსა და მარჯვენა ფრთაზე დაუბრკოლებლად თამაშობდა, შემდეგ კი, 20 ოქტომბერს „პორტუსთან“ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში დაშავდა, ხოლო გამოჯანმრთელების მერე, ახალი მწვრთნელის, ვისენტე დელ ბოსკეს ხელმძღვანელობით, ძირითად შემადგენლობაში ერთხელაც ვერ მოხვდა.

ასეა თუ ისე, ვგონებთ, ერთი გარემოება მაინც აღსანიშნავია. ჯონ ტოშაკი „რეალის“ პრეზიდენტ ლორენცო სანსისთვის სულაც არ გახლდათ პირველი მწვრთნელი, რომელიც მან თანამდებობიდან დაიფრინა. სანსი ბოლო წლების განმავლობაში ერთიმეორის მიყოლებით ხსნიდა როგორც წარუმატებელ, ასევე წარმატებულ თავკაცებს და მისთვის, სახალხოდ მაინც, საყვედური არავის უთქვამს. ერთი ხნის წინ კი პრესაში გაიჟღერა ეჭვმა სანსის ჯანმრთელობის, ანუ პრეზიდენტუნარიანობის შესახებ, რაც ჩვეულებრივი დუმილის ფონზე ფრიად ორიგინალურად გამოჩნდა. და ახლა, ამას მავანი ჟერემი-ხერემის ერთობ თამამი განცხადებაც დაერთო. ბუნებრივია, ამ ორი ფაქტის ერთმანეთთან დაკავშირება, რათა მადრიდელთა ბანაკში გამოკვეთილ რაიმე ანტისანსურ შეთქმულებაზე ვილაპარაკოთ, გულუბრყვილობაა, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ ეს ყველაფერი რაღაც ტენდენციას მიგვანიშნებდეს. ყოველ შემთხვევაში, „რეალშიც“ და მის გარეთაც, მუდმივად არც მწვრთნელები ცდებიან, არც მოთამაშეები და არც პრეზიდენტები. შეცდომა ყველას მოსდის.

# კლინსმანი ძველ მეგობრებს შეხვდება

გერმანიის ნაკრების ყოფილი ფორვარდი იურგენ კლინსმანი აქტიურ სპორტს ამ ცოტა ხნის წინ გამოეთხოვა. ბოლო სანაკრებო შეხვედრა მან 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამართა ხორვატთა წინააღმდეგ. მაშინ გერმანია ასპარეზობას მეოთხედფინალიდან გამოეთიშა.

სულ მალე, 23 დეკემბერს კლინსმანი კვლავ დაუბრუნდება დიდ ფეხბურთს, ოღონდ მხოლოდ 90 წუთით. იგი ერთ საქველმოქმედო მატჩ-შოუში მიიღებს მონაწილეობას. თუ რა მატჩ-შოუა ეს, ახლავე მოგახსენებთ. საქმე ისაა, რომ პორტუგალიაში მდებარე ჩინური დასახლება მაკაუ, მალე ჩინეთს გადაეცემა, თამაშიც ამ მოვლენას მიეძღვნება. კლინსმანის გვერდიგვერდ ითამაშებენ ცნობილი ვარსკვლავები, მათ შორის „მილანის“ ლეგენდა ფრანკო ბარეზი და 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონ ბრაზილიის ნაკრების კაპიტანი კარლოს დუნგა.

ალბათ, დაგაინტერესებთ მცირე ინტერვიუ კლინსმანთან.

**— ძველ მეგობრებთან თამაშით უთუოდ ისიამოვნებთ...**

— რა თქმა უნდა. ძალიან სასიამოვნოა დუნგასთან და ბარეზისთან ერთად მინდორზე გამოსვლა, თანაც როცა იცი, რომ უხეშად არ მოგექცევიან. მე მათ ლეგენდებს ვუწოდებდი.

**— მათთან შეხვედრებს თუ გაიხსენებთ?**

— როდესაც მილანის „ინტერში“ ვთამაშობდი, იმჟამად ბარეზი მეორე მილანური გუნდის, „მილანის“ ღირსებას იცავდა, ასე რომ, რამდენჯერმე მომიწია მის წინააღმდეგ თამაშმა. გარდა ამისა, ნაკრებების დონეზეც შევხვედრივართ ერთმანეთს. რაც შეეხება დუნგას, იგი ჩემი თანაგუნდელი იყო „შტუტგარტში“. ჩემს მშობლიურ ქალაქში მას ახლაც აღმერთებენ. მოხარული ვარ, რომ ეს ორივე ფეხბურთელი ამჟამადაც აქტიურ საფეხბურთო მოღვაწეობას და ბიზნესს ეწევა.

**— თავად თუ გაქვთ ფეხბურთთან კავშირი?**

— მაინცდამაინც აქტიური-მეთქი, ვერ ვიტყვი, თუმცა ამჟამად ამერიკაში, კერძოდ, კალიფორნიაში ვცხოვრობ და იქაურ გუნდ „ლოს ანჯელეს გალაქსის“ ხელმძღვანელობასთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა მაკავშირებს. ზოგჯერ ერთმანეთს ვხვდებით და საფეხბურთო თემებზე ვსაუბრობთ.

**— თამაში თუ მოგენატრათ?**

— თამაში მხოლოდ სიამოვნებისთვის და არა ყოველდღიური ვარჯიშები. ისე, თითქმის ყოველდღე ვვარჯიშობ, საკმაოდ კარგ ფორმაშიც გახლავართ, თუმც დიდი ფეხბურთის სათამაშოდ მზად ნამდვილად არ ვარ.

**— გვიამბეთ თქვენი ყოველდღიური ცხოვრების შესახებ.**

— ინგლისურისა და ესპანურის შესწავლა დავიწყე. კალიფორნია ისეთი მხარეა, ორივე ენა საჭიროა. გარდა ამისა, კომპიუტერსაც ვეუფლები. რაღაც პროექტებზე ვმუშაობ, თუმცა, ამის მიუხედავად საკმაო დრო მაქვს, რათა ოჯახური იდილიით დავტკბე. როცა ევროპაში ვთამაშობდი, წელიწადში დაახლოებით 11 თვე დაკავებული ვიყავი. თავადაც მოგეხსენებათ, როგორი გადატვირთულია იქაური კალენდარი, მაშინ თითქმის არაფრისთვის მეცალა.

**— თქვენს ვაჟიშვილზე რას იტყვით?**

— ჯონათანი ახლა ორწლინახევრისაა, მასთან თამაშს არაფერი მირჩევნია. შეიძლება ითქვას, რომ ახლა ძირითად დროს ბავშვის აღზრდას ვანდომებ.



მიუნხენი. 1999 წლის 24 მაისი. იურგენ კლინსმანი თავისი გამოსათხოვარი მატჩის შემდეგ

# რა არის ევრო 2000?

UEFA EURO 2000

სათაურში გამოტანილი კითხვა შესაძლოა სულელურად მოგეჩვენოთ. ფეხბურთში გარკვეული კაცი დაუფიქრებლად იტყვის, ევრო 2000 ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატს ნიშნავსო. მეტი დამაჯერებლობისთვის კი დაუმატებს, ეს შეჯიბრი გაისად ბელგიასა და ჰოლანდიაში ჩატარდება და 10 ივნისიდან 2 ივლისამდე გასტანსო. რესპონდენტი ზრდილობიანი ადამიანი თუ აღმოჩნდა, იქნებ ხმამაღლა არ თქვას, მაგრამ გულში კი გაიფიქრებს, ამგვარ მარტივ კითხვას რომ მისვამ, შტერი ხომ არ გგონივარო.

არც ეგრე ყოფილა საქმე. ერთ-ერთმა ბელგიურმა გაზეთმა (ალბათ მეტი საქმე რომ არ ჰქონდა) ქვეყნის მოქალაქეებს სწორედ ამ კითხვით მიმართა. სხვისი არ ვიცი და ჩემთვის მისი შედეგები ცოტა უცნაურია. მაშ ასე, რა არის ევრო 2000?

ევრო 2000 ერთიანი ევროპული ვალუტაა — თვლის გამოკითხულთა 58 პროცენტი. 28 პროცენტმა კითხვას სწორი პასუხი გასცა, ყოველ შემთხვევაში, სიტყვა „ფეხბურთი“ ახსენა. ბელგიელთა 8 პროცენტს ევრო 2000 ახალი საუკუნის დადგომასთან დაკავშირებული საერთო ევროპული ფესტივალი ჰგონია, რომელიც რატომღაც ბრიუსელში უნდა ჩატარდეს. ეს ევროკავშირის გაფართოების გეგმის კოდური სახელიაო — ამბობს გამოკითხულთა 2,4 პროცენტი. ბელგიელთა 0,3 პროცენტის აზრით, ევრო 2000 ევროვიზიის სიმღერის კონკურსია.

ჩვენთვის, ფეხბურთის მოყვარულთათვის, უფრო საინტერესო იმ 28 პროცენტის აზრია, პასუხში სიტყვა „ფეხბურთი“ რომ გაურია. თუმცა არ იფიქროთ, ისინი ფეხბურთის თავგამოდებული ქომაგები იყვნენ. მათ 60 პროცენტს ევრო 2000 რაც არის, კი გაუგია, მაგრამ თავად ტურნირი სულაც არ აინტერესებს. დანარჩენებიდან უმრავლესობა მხოლოდ ბელგიის ნაკრების თამაშების ყურებას აპირებს. ისინი, ვინც ჩემპიონატის დაწყებას მოუთმენლად ელიან, ანუ ნამდვილი მოყვარულები, აშკარა უმცირესობაში მოხვდნენ.

ჩემპიონატის ორგანიზატორთა განცხადებით, ტურნირი მილიონ ორასი ათას გულშემატკივარს მიიზიდავს, მათ 5 ათასი ჟურნალისტიც დაემატება, ტელევიზორებს კი მსოფლიოს მასშტაბით შვიდი მილიარდი გულშემატკივარი მიუსხდება.

ბელგიური გაზეთი, რომელმაც ეს გამოკითხვა მოაწყო, სავალალო დასკვნას აკეთებს — მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, ქვეყნისთვის ევრო 2000-ის მნიშვნელობას ვერ აცნობიერებს. ჩვენც სინანულით ვამბობთ — არ ყოფილან ბელგიელები ჭკვიანები. აბა, ჩემპიონატი საქართველოში ჩაეტარებინათ... თუმცა ეს ცალკე საუბრის თემაა.

გიორგი დარჯანია

# მაგალითი გადამდები რომ არ იყოს

როი კინმა და „მანჩესტერ იუნაიტედმა“ როგორც იქნა, გაარკვიეს თავიანთი ურთიერთობა. ირლანდიელი პრემიერლიგის ყველაზე მაღალხელფასიანი ფეხბურთელი გახდა. ის კვირაში 50 ათას გირვანქას მიიღებს. კონტრაქტზე ხელის მოწერის შემდეგ კლუბის პრეზიდენტმა მარტინ ედვარდსმა დანარჩენი ფეხბურთელები შეკრიბა და განუცხადა, ის, რაც კინისთვის გავაკეთეთ, გამონაკლისია, იგივეს იმედი არ გქონდეთო. ედვარდსი ჭკვიანი კაცია. ხომ შეიძლება, გუნდის კაპიტნის მაგალითი სხვებისთვისაც მისაბაძი გახდეს. ამ შემთხვევაში კლუბის ბიუჯეტი (არადა მსოფლიოში უმდიდრესი გუნდია) ხელფასების ფონდს ვერ გასწვდება. ჰოდა, წინდახედულმა პრეზიდენტმაც თავი დაიზღვია.

კლუბის საკუთარი ტელევიზიით გამოსვლისას ედვარდსმა ისიც თქვა, სამომავლოდ ფეხბურთელებს უფრო ფრთხილად შევარჩევთო. ალექს ფერგიუსონს, შესაძლოა რომელიმე ახალი ფეხბურთელის ყიდვა სურდეს, ვინც, მისი აზრით, გუნდს გამოადგება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გარიგება აუცილებლად შედგება. „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩემთვის უპირველესად ბიზნესია, ბიზნესს კი თავისი წესები აქვსო — ამბობს ედვარდსი.

თუმცა კლუბს შეუძლია, მშვიდად იყოს. ისეთ მნიშვნელოვან მოთამაშეებს, როგორებიც დევიდ ბექემი, ენდი კოული და რაიან გიგზი არიან, „მანჩესტერთან“ გრძელვადიანი კონტრაქტები აკავშირებთ. ამიტომ როი კინის ისტორიის გამეორებას ახლო მომავალში არ ელიან.

**იყიდება**

ოროთახიანი, ორაივნიანი ბინა დიდ დიღომში, მე-3 მიკრორაიონის დასაწყისში, მე-6 სართულზე

☎ 66 48 12

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი

☎ 99 67 67, 98 30 20

# სტაუჩე და დანარჩენები

## რატომ უყვართ ლიტველებს გერმანელები?

— ტოკიოში კენჭისყრას ლიტველთაგან არავინ დასწრებია. ჩვენი ფედერაცია საამისოდ ძალიან ღარიბია. ახლა იტალიასთან შეხვედრით თუ მოითქვამს სულს. სიმართლე გითხრათ, ფედერაციის თავკაცობას გერმანიის ნაკრების მეტოქეობა უფრო სურდა, ყველაზე მეტ შემოსავალს იძლევაო — გვითხრა ნაწილისყრევს ჩვენმა ვილნიუსელმა კოლეგამ, „ლიეტუვოს რიტასის" საფეხბურთო მიმომხილველმა კესტუტის გიმბუტასმა. ჩემი შენ გითხარიო, ამაზეა ნათქვამი... და მიუხედავად იმისა, რომ საკითხავია, რომელია ეკლესიის თაგზე უფრო უპოვარი, ჩვენი დაყადაღებული ფედერაცია თუ ლიტვისა, ქართველებს ჰქონდათ პატივი ტოკიოში სამი წარმომადგენელი მიევლინათ — მერაბ ჟორდანია, ალექსანდრე ჩივაძე და ვალერი ჩოლარია.

კენჭისყრა უკვე ისტორიაა და ახლა იოლი მისახვედრია, რომ ლიტვის ფეხბურთის ფედერაცია ჩვენსას მხოლოდ მარიფათში კი არა, გამჭრიახობაშიც ჩამოუვარდება. ლიტველებმა ნაკრებს კენჭისყრამდე დაუნიშნეს მწვრთნელი, მაგრამ ტოკიოში არ გაუშვეს. ჩვენები კი სხვანაირად მოიქცნენ, წინასწარ გული არავის დაწყვიტეს, წილისყრა მოიარეს და მერელა გაუჩინეს ნაკრებს ახალი მთავარი, თანაც ორი მწვრთნელი. აბა, ახლა ვთქვათ, დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი ჩვენს ფედერაციას კენჭისყრამდე რომ დაენიშნა, ეს ხომ ერთი-ორად დახარჯვას მოითხოვდა.

ისე, ლიტველებმა ერთ რამეში კი წაბაძეს ქართველებს: ნაკრები მწვრთნელს ისე ჩააბარეს, ფედერაციის აღმასკომს არაფერი ჰკითხეს. თუმცა, ჩვენებურთაგან განსხვავებით, ლიტველი „აღმასრულებლები" ამ უქმეებზე შეიკრიბნენ და ლიტვის ნაკრების ახალ თავკაცს სტასის სტანკუსს ახალი მიზნები დაუსახეს.

მაგრამ მოგება 10 ათას დოლარად, ფრე კი ამის ნახევრადაა შეფასებული, ასეთია ლიტვური ფედერაციის ულტიმატუმი. ფეხბურთელები პრემიას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებენ, თუკი ფინალურ ეტაპზე გავლენ. მიზანი ნათელია (დიადიც), კომენტარი ზედმეტი.

და რა იყო გუშინ? როგორ მოსულან ლიტველები დღემდე? ერთ დროს გერმანული „ჰამბურგის" მრისხანე, ეხლა კი ავსტრიული „სენტ პოლტენის" სათადარიგოდ ქცეული თავდამსხმელი ვალდას ივანაუსკასი ლიტვური ფეხბურთის გუშინდელი დღეა. ქართულ ფეხბურთს რომ ახსოვს და იცნობს, ასეთთაგან დროის გამოცდას მხოლოდ გინტარას სტაუჩემ გაუძლო. ალბათ, გახსოვთ, მოსკოვის „სპარტაკის" მეკარეს რა დღე აყარა ბარსელონელმა რონალდ კუმანმა, მაგრამ სტაუჩემ შეძლო იმ ცუდი დროების დავიწყება, არც თურქულ კლუბებში დაიკარგა და აგერ ორი წელია გერმანული „დუისბურგის" კარს იცავს, წლეულს კი, ვიდრე დაშავდებოდა, ბუნდესლიგაში ერთ-ერთი საუკეთესოც იყო.

სტაუჩე ერთია და ლიტვის საუკეთესო მოთამაშედაცაა დასახელებული, მაგრამ ბალტიისპირელთა ნაკრებში წლეულს მის გარდა კიდევ 58-მა ფეხბურთელმა ითამაშა. ეს, ცხადია, ლიტველთა პრობლემებზე მიუთითებს, მაგრამ მათ მეტოქეებს დამშვიდების საშუალება მაინც არ აძლევს. ეს იყო წლეულს, მაგრამ არავინ იცის, რა იქნება გაისად. კესტუტის ლატოჟა სტატის სტანკუსმა შეცვალა და, ცხადია სტანკუსიც ეცდება რალაცის შეცვლას.

ევრო 2000-ის შესარჩევ ციკლში ლიტვის ნაკრები ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი გუნდი იყო, 59-ივე ფეხბურთელით. ჩეხეთს 19(!), შოტლანდიას 7 ქულით, ესტონეთსა და ბოსნიას კი მხოლოდ პირადი ანგარიშებით ჩამორჩა. ამ სამმა გუნდმა 11-11 ქულა დააგროვა და თავის მხრივ, ჩამოიტოვა სამფრიანი ფარერები. ფარერებმა ეს 3 ისტორიული ქულა შოტლანდიას, ბოსნიას და სწორედ ლიტვას აართვა. აღსანიშნავი ისიცაა, რომ სტუმრად ეს ერთადერთხელ შეძლო და ისიც ლიტვაში.

ლიტვამ ჩეხეთს შემოდგომაზე უმასპინძლა და ვინც ამ მატჩის ენტევესეული პირდაპირი ტელერეპორტაჟის ნახვა არ დაიზარა, დამეთანხმება: მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლებმა 0:4 წააგეს, დიდად არ ჩამოუვარდებოდნენ ესტონეთის იმ ნაკრებს, საქართველოს კლუბების გუცაევისეულმა კრებულმა კუდით ქვა რომ ასროლინა. მაინც რითი ჩამორჩა ლიტვა ესტონეთს? იმით, რომ მასზე ერთით ნაკლები (16) ბურთი კი გაუშვა, მაგრამ სამაგიეროდ თითქმის ორჯერ მეტი (15) გაიტანა ესტონეთმა. მართალია, ესტონეთის 5 გოლი ფარერების კარში გავიდა, მაგრამ სამაგიეროდ ესტონელებმა მხოლოდ ჩეხებს და შოტლანდიელებს ვერ გაუტანეს შინ, ლიტველთა 8 გოლი კი ოთხ მატჩზე მოდის — ამის ნახევარი ბოსნიასთან 4:2-ისას გავიდა. და ლიტვა მაინც უცნაური გუნდია. შეუძლია ესტონეთთან შინ წააგოს (1:2) და სტუმრად მოუგოს (2:1), შეუძლია ფარერებს შინ დაუზავდეს (0:0) და სტუმრად (1:0) დაამარცხოს. თუმცა, ერთია ფარერები, ესტონეთი, ბოსნია და მეორე იტალია, რუმინეთი, უნგრეთი. არაფერია სათქმელი საქართველოზე, რომელსაც ლიტვასთან ძველი ანგარიში აქვს გასასწორებელი. სხვას თუ ბევრს ვერას შევძლებთ, 2:2 და 0:1 მაინც უნდა გადავაბალანსოთ.

**ვახტანგ ბზიკაძე**



გინტარას სტაუჩეს (მარჯვნივ) კარის დალაშქვრას ბაიერნელი შტეფან ეფენბერგი აკრძალული ხერხით ცდილობს

## საქართველოს ნაკრების მეტოქე

### ლიტვა

ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა: 1922 წელს
ფიფას წევრი: 1923-43 წლებში და 1992 წლიდან
უეფას წევრი: 1992 წლიდან
რეგისტრირებულ კლუბთა რაოდენობა: 171
რეგისტრირებულ მოთამაშეთა რაოდენობა: 9 800
ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი: ვიტაუტას დირმეიკისი
ეროვნული ნაკრების მწვრთნელი: სტასის სტანკუსი
სტადიონი: „ჟალგირისი", ვილნიუსი (ტევადობა 13 000)
ქვეყნის უძლიერესი კლუბები: „ჟალგირისი" (ვილნიუსი), „ეკრანასი", „რომარი", „კარედა", „ჟალგირისი" (კაუნასი)
ფერები: ყვითელ-მწვანე-ყვითელი

### სტასის სტანკუსი



დაიბადა 1947 წლის 8 მაისს

1960 წლიდან თამაშობდა სამოყვარულო დონეზე

1973 წლიდან მუშაობდა კაუნასის სპორტულ სკოლაში ბავშვთა მწვრთნელად. აღზარდა 7, აქედან 3 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

1981 წლიდან წვრთნიდა კლაიპედის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდ „ატლეტასს".

1992 წლიდან თავკაცობდა ლიტვის ახალგაზრდულ ნაკრებს და იყო ეროვნული ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე.

1999 წლის 3 დეკემბერს დაინიშნა ლიტვის ნაკრების მთავარ მწვრთნელად.

### ლიტვა'99

| | | |
|---|---|---|
| არვიდას სკრუპსკისი | 07.09.72 | კაუნასი |
| იმანტას სამუსიოვასი | 08.11.78 | კაუნასი |
| დარიუს რეგელსკისი | 15.04.76 | კაუნასი |
| მარტინას ციკასი | 15.11.77 | კაუნასი |
| ნაგლის მიკნევიჩიუსი | 22.12.67 | კაუნასი |
| ვადიმას პეტრენკა | 26.05.74 | კაუნასი |
| იგორის კირილოვასი | 19.08.73 | კაუნასი |
| აუდურიუს კსანავიჩიუსი | 28.01.77 | კაუნასი |
| მარიუს ბეზიკორნოვასი | 22.08.76 | კაუნასი |
| აივარას ლაურისასი | 05.04.77 | კაუნასი |
| ვალდას ტრაკისი | 20.03.79 | კაუნასი |
| ვიტაუტას კარველისი | 01.04.72 | კაუნასი |
| გინტარას ჟუდეიკისი | 13.01.73 | ატლანტასი, კლაიპედა |
| არტურას იაკელიუნასი | 12.03.71 | კაუნასი |
| ანდრიუს ველიჩკა | 05.04.79 | კაუნასი |
| აუდირიუს დილისი | 20.03.74 | ჟალგირისი, ვილნიუსი |
| ვირგინიუს ბალტუშნიკასი | 22.10.68 | ჟალგირისი, ვილნიუსი |
| დარიუს ჟუტაუტასი | 30.09.78 | ალანია, ვლადიკავკაზი, რუსეთი |
| როლანდას ჟიაუკსტასი | 01.04.78 | ჟალგირისი, ვილნიუსი |
| სერგეიუს ნოვიკოვასი | 05.05.72 | ჟალგირისი, ვილნიუსი |
| ანდრიუს იოშკასი | 12.01.79 | ჟალგირისი, ვილნიუსი |
| დეივიდას სემბერასი | 02.08.78 | დინამო, მოსკოვი, რუსეთი |
| იგორის სტესკო | 25.03.76 | ჟალგირისი, ვილნიუსი |
| არტურას სტესკო | 25.03.76 | ჟალგირისი, ვილნიუსი |
| ტომას რამელისი | 28.05.71 | ჟალგირისი, ვილნიუსი |
| იგორის მორინასი | 21.02.75 | ჰანოვერი, გერმანია |
| დაინიუს საულენასი | 13.03.79 | ჟალგირისი, ვილნიუსი |
| გიედრიუს ბარევიჩიუსი | 09.08.76 | ჟალგირისი, ვილნიუსი |
| ნერიუს რაჟიუსი | 27.08.75 | ჟალგირისი, ვილნიუსი |
| როლანდას კარჩემარსკასი | 07.09.80 | ჟალგირისი, ვილნიუსი |
| გინტარას სტაუჩე | 24.12.69 | დუისბურგი, გერმანია |
| ანდრიუს შკერლა | 29.04.77 | პსვ, ეინდჰოვენი, ჰოლანდია |
| რაიმონდას ჟუტაუტასი | 04.09.72 | ალანია, ვლადიკავკაზი, რუსეთი |
| ტომას ჟვირგჟდაუსკასი | 18.03.75 | პოლონია, ვარშავა, პოლონეთი |
| გრაჟვიდას მიკულენასი | 16.12.73 | კროაცია, ზაგრები, ხორვატია |
| გედიმინას სუგჟდა | 04.10.68 | ობერჰაუზენი, გერმანია |
| აიდას პრეიკშაიტისი | 15.07.70 | სტომილი, პოლონეთი |
| აურელიუს შკარბალიუსი | 12.05.73 | ბრონდბიუ, კოპენჰაგენი, დანია |
| ედგარას იანკაუსკასი | 12.03.75 | ბრიუგე, ბელგია |
| ორესტას ბუიტკუსი | 11.04.75 | ბალტიკა, კალინინგრადი, რუსეთი |
| ვიტაუტას შლეკისი | 02.11.72 | ვილი, შვეიცარია |
| საულიუს მიკალაიუნასი | 06.09.72 | ურალანი, ელისტა, რუსეთი |
| ვალდას ივანაუსკასი | 31.07.66 | სენტ პოლტენი, ავსტრია |
| რიმანტას ჟვინგილასი | 03.09.73 | ჰარელბეკე, ბელგია |
| დაინიუს გლევეჩკასი | 05.03.77 | შახტარი, დონეცკი, უკრაინა |
| ტარას დანილევიჩიუსი | 18.07.78 | დინამო, მოსკოვი, რუსეთი |
| რაიმონდას ვაინორასი | 16.07.65 | კაუნასი |
| დარიუს მაცულევიჩიუსი | 06.11.73 | კარედა, შაულიაი |
| არტურას ფომენკა | 14.02.77 | კარედა, შაულიაი |
| პაველას ლეუსასი | 15.09.78 | ჟალგირისი, ვილნიუსი |
| მარიუს სკინდერისი | 13.10.74 | გკს, ბელხატოვი, პოლონეთი |
| დარიუს გვილდისი | 26.12.70 | ლოკომოტივი, ნიჟნი ნოვგოროდი, რუსეთი |
| ტომას კანჩელსკისი | 19.08.75 | კარედა, შაულიაი |
| ტომას რაჟანაუსკასი | 07.01.76 | სერვეტი, ჟენევა, შვეიცარია |
| ანდრეიუს სოროკინასი | 10.08.70 | ჟალგირისი, ვილნიუსი |
| ანდრიუს ტერეშკინასი | 10.07.70 | სკონტო, რიგა, ლატვია |
| ჟიდრუნას გრუდჟინსკასი | 08.07.75 | ჟალგირისი, ვილნიუსი |
| გიედრიუს ჟუტაუტასი | 15.08.74 | კაუნასი |
| იმანტას სტუმბრისი | 30.05.72 | ზენიტი, სანქტ პეტერბურგი, რუსეთი |

*მთავარი მწვრთნელი: სტასის სტანკუსი*



დონ ბაჯი

# ჩემპიონი გადარჩა

დონ ბაჯის სახელი ჩოგბურთის რიგით მოყვარულს იქნებ ბევრს არაფერსეუბნებოდეს, მაგრამ თავის დროზე, 30-იანებში, იგი სპორტის ნომერ პირველი ვარსკვლავი იყო.

ათლეტური ამერიკელი, რომლის დროსაც ჩოგბურთს ჯერაც გრძელი შარვლებით თამაშობდნენ, პირველი მოთამაშეა ისტორიაში, ვინც დიდი სლემი, ესე იგი ერთი სეზონის მანძილზე ოთხივე დიდი სლემის ტურნირი მოიგო. უფრო მეტიც, საერთოდ ტერმინი „დიდი სლემი“ სწორედ მისი ფენომენალური მიღწევის აღსანიშნავად მოიგონა მავანმა ნიუიორკელმა ჟურნალისტმა.

84 წლის ჩოგბურთელს სამშაბათ დილით მეტად უსიამოვნო ინციდენტი შეემთხვა: ავარიაში მარცხენა ფეხი მოიტეხა და საკმაოდ მძიმე შინაგანი დაზიანებაც მიიღო.

ფაქტის თვითმხილველის, ეროვნული პარკის რეინჯერსის თქმით, ყველაფერი პოკონოს მთებში, დილის ათის ნახევარზე მოხდა. ბაჯს, რომელიც საკუთარი „ჰონდა აკურით“ შინ, ქალაქ მილფორდში მიემგზავრებოდა, სველ გზაზე მანქანა მოუსრიალდა და ტრასიდან ქვევით, დაახლოებით 80 მეტრში ჩაგორდა, თანაც რამდენიმე პატარა ხეს დაეჯახა.

ჩოგბურთელის მანქანიდან ამოყვანა ძალიან გაჭირდა და ეს მხოლოდ მილფორდიდან მეხანძრეების და დამხმარე ჯგუფების მოსვლის შემდეგ მოხერხდა. ბაჯი მაშინვე ნიუ იორკში, „სენტ ფრენსისის“ ჰოსპიტალში გადააფრინეს სამედიცინო შვეულმფრენით.

როგორც იტყობინებიან, ამჟამად მისი მდგომარეობა სტაბილურია და სიცოცხლესაც არაფერი ემუქრება, თუმცა ექიმები სრული გამოჯანმრთელების გარანტიასაც ვერ იძლევიან.

ბაჯი პირად ჯილდოთა უზარმაზარი კოლექციის გარდა შესანიშნავი გუნდური მებრძოლიც იყო: 30-იანების ბოლოს მისი ლიდერობით აშშ-ის დევისის თასის ნაკრები უძლეველად ითვლებოდა.

1964 წელს ამერიკელი ჩოგბურთის დიდების დარბაზში მიიღეს და აქტიურ ცხოვრებას არც ამის შემდეგ ჩამოშორებია: შარშან იგი „როლან გაროსის“ დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილეობდა და პელესთან ერთად მთავარი პრიზი ესპანელებს — ჩემპიონ კარლოს მოიასა და ფინალისტ ალექს კორეტხას გადასცა.

# შტეფი მსოფლიოს ეთხოვება

„შტეფი გრაფის მსოფლიო ტურნეს“ პირველი წრე დასრულდა: სამხრეთ აფრიკაში მასპინძელ ამანდა კუტცერთან გაჯიბრებულმა ლეგენდარულმა გერმანელმა ორი მატჩი მოიგო და ერთი წააგო.

პირველ შეხვედრაში 3:6, 6:7 დამარცხებულმა, კლასიფიკაციით მე-11 კუტცერმა გასულ უქმეებზე შური იძია და ხაზს გაყოლებული ბეკჰენდების წყალობით მრისხანე მეტოქეს 3:6, 6:3, 6:2 მოუგო.

თუმცა აღსანიშნავი ის იყო, რომ კეიპტაუნთან მდებარე „სტელენბოშის“ სტადიონზე შეკრებილი ორი ათასი სამხრეთაფრიკელი თანამემამულეზე მეტად გრაფს გულშემატკივრობდა.

შტეფისაც გული მაინცდამაინც არ დასწყვეტია. მისი ერთწლიანი ტურნეც ხომ ერთგულ ქომაგებთან გამოთხოვებას ისახავს მიზნად, მათთან, ვინც თითქმის ოცწლიანი კარიერის მანძილზე გვერდში ედგა მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს.

„ყველაფერ ამას სერიოზულად სულაც არ აღვიქვამ. მთავარი ის არის, რომ ხალხმა ისიამოვნოს. სიმართლე გითხრათ, თავადაც ძალიან მიხარია, ისევ კორტზე რომ გამოვდივარ-ხოლმე“.

გრაფის სიტყვებით დაეჭვებულმა ერთმა ჟურნალისტმა მას ისიც კი ჰკითხა, დიდ სპორტში დაბრუნებას ხომ არ აპირებთო, თუმცა კატეგორიული პასუხი მიიღო: „ო, არა“.-

მესამე, გადამწყვეტი შეხვედრა უკვე იოჰანესბურგში გაიმართა და ამჯერად შტეფის მოგება აღარ გასჭირვებია — 6:3, 7:5.

ამასობაში კი „მსოფლიო ტურნეს“ მომდევნო შეხვედრის ბედიც გადაწყდა: იგი 6 თებერვალს ტოკიოში, „პან პასიფიკის“ ღია პირველობის ფინალური მატჩის შემდეგ ჩატარდება.

გრაფმა, რომელსაც ამ ტურნირში სამჯერ გაუმარჯვია, 1997-ში კი ტრავმის გამო ფინალში მარტინა ჰინგისთან ვერ ითამაშა, მეტოქე თავად აირჩია — ეს პენსიაზე გასული იაპონელი ჩოგბურთელი კიმიკო დატე იქნება.

ერთ დროს საუკეთესოთა ხუთეულში მყოფი დატე ერთადერთი მოთამაშეა ამომავალი მზის ქვეყნიდან, რომელსაც გრაფისთვის მოუგია.

**ავთანდილ სვანიძე**



# თავბრუსხვევა წარმატებისგან

## პატარა გუნდი დიდ გამარჯვებას ვერ მ[illegible]

ერთკვირიანი შესვენების შემდეგ განახლდა მორაგბეთა ევროპის თასის გათამაშება. ტურნირის მესამე ტური დიდი მოულოდნელობების გარეშე ჩატარდა. 12 შეხვედრიდან რვაში მასპინძლებმა იმარჯვეს, ოთხი კი სტუმრების მოგებით დასრულდა. ქვეყნების მიხედვით თუ განვიხილავთ, ჯერჯერობით ყველაზე კარგად შოტლანდიელები გამოდიან, რომლებსაც 4 მოგება და 2 წაგება აქვთ. მერე მოდიან ფრანგები (10, 8), ინგლისელები (9 მოგება, 1 ფრე, 8 წაგება), უელსელები (7, 1, 7), ირლანდიელები (4, 5), იტალიელებს კი ერთი მოგება და ხუთი წაგება დაუგროვდათ.

A ჯგუფი ერთადერთია, სადაც სტუმრის პატივისცემა სრულიად არ იციან — შეჯიბრის დაწყებიდან ყველა თამაში მასპინძელთა ს[illegible]გებლოდ დამთავრდა. თუმცა ეს გ[illegible]ა შემდეგ ეტაპზე პოტენციურ გ[illegible]ლს მაინც ვერ მალავს. „სტად ფ[illegible]ს“ ჯერ კიდევ ორი გასვლითი მატჩი ელის და სავსებით შესაძლებელია ან „გლაზგოს“ აჯობოს და ან „ლენსტერს“, მის მთავარ კონკურენტ „ლესტერს“ კი საქმე გაცილებით რთულადა აქვს. ინგლისის ჩემპიონმა ამ ტურში ვერაფერი გააწყო „გლაზგოსთან“ და მეორე მარცხი იწვნია. სკოტებმა მეტოქეს პირველივე ნახევარში მოუთავეს ხელი, როცა ტაიმი 13 ქულით მოიგეს. ერთი ლელო ლონგსტაფმა გაიტანა, გარდასახვა და ორი საჯარიმო კი ჰეიესის ანგარიშზეა. მეორე ორმოცწუთეულში ინგლისელებმა სამი ლელო გაიტანეს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა მატჩის გადასარჩენად, რადგან ნიკოლის ლელოთი და ჰეიესის ოთხი საჯარიმოთი შოტლანდიელებმაც მათსავით 17 ქულა მიითვალეს. „სტად ფრანსემ“ საკმაოდ იოლად სძლია ირლანდიელებს. პარიზელებმა ექვსი ლელო გაიტანეს და ერთიც არ გაუშვეს. მათ განსაკუთრებით ძლიერად მეორე ტაიმი ჩაატარეს, რომელიც 27:0 მოიგეს.

B ჯგუფში უდავო ლიდერია „ტულუზი“, რომელმაც ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა. ამჯერად მისი მსხვერპლი სუსტი იტალიური „პადოვა“ გახდა. ფრანგებმა ორი ქულა პირველივე ტაიმში გაინაღდეს, როცა მასპინძლებს ხუთი ლელო გაუტანეს და შესვენებაზე ანგარიშით 34:0 გავიდნენ. გასახდელებიდან დაბრუნების შემდეგ მოეშვნენ და მეტოქეს ანგარიშის შემცირების საშუალება მისცეს. ახლა მეოთხედფინალში გასასვლელად „ტულუზს“ „ბათის“ შინ ანდა „სუონსის“ გასვლაზე დამარცხებაც ჰყოფნის, რა თქმა უნდა, იმის გათვალისწინებით, რომ იგი თავისი ქომაგების თვალწინ უეჭველად მოუგებს „პადოვას“. 1998 წელს ევროპის თასის მომგები ინგლისური „ბათი“ კი უელსში დამარცხების შემდეგ ფაქტობრივად გამოეთიშა ამ პრიზისთვის ბრძოლას. არადა მატჩი მისი უპირატესობით დაიწყო და პირველი ტაიმიც 6:0 მოიგო პრისტონის ორი საჯარიმოს წყალობით. თუმცა შესვენების შემდეგ „სუონსიმ“ შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა. ტომასმა თითო-თითო ლელო, გარდასახვა და საჯარიმო გაუტანა სტუმრებს, რომლებმაც მხოლოდ პრისტონის საჯარიმოთი მიითვალეს ქულები და საბოლოოდ 10:9 მასპინძელთა სასარგებლოდ.

შინ ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტნის ლოურენს დალალიოს გუნდ „უოსპსთან“ განცდილი მარცხის შემდეგ ფრანგული „ბურგუენი“ თითქმის გამოეთიშა შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის ბრძოლას. თამაში წმინდა წყლის „დამრტყმელთა დუელი“ იყო, რომელიც ინგლისელი ლოგენის გამარჯვებით დასრულდა. მან ორივე ტაიმში მაკკენზიზე თითო საჯარიმოთი მეტი შეასრულა ზუსტად და თავისიანებს საბოლოოდ ექვსი ქულით გაამარჯვებინა. ევროპის თასის შარშანდელმა მფლობელმა ირლანდიურმა „ოლსტერმა“ კი ზედიზედ მესამედ იწვნია მარცხის სიმწარე. ამ ტურში იგი უელსურმა „ლიანელიმ“ გაანადგურა. საინტერესოა, რომ „ოლსტერი“ ჯერჯერობით ტურნირში ერთადერთი გუნდია, ლელოც რომ არ გაუტანია. საკალათბურთო სამყაროში საკმაოდ სახელდაგდებული მწვრთნელი ბოჟიდარ მალკოვიჩი ამბობდა, რომ დიდი წარმატებები პატარა გუნდებს ასამარებენო. „ოლსტერის“ მაგალითი ამ სიტყვების ნათელი დადასტურებაა.

შარშან ფინალში დამარცხებული „კოლომიეც“ თითქმის „ოლსტერის“ დღეშია. მან ისევ წააგო და მეოთხედფინალში გასვლაზე ოცნებასაც დაემშვიდობა. „მანსტერმა“ კი ზედიზედ მესამე თამაში მოიგო, თანაც პირველი ირლანდიური გუნდი შეიქნა ევროპის თასზე ფრანგულ კლუბს რომ აჯობა მისსავე მოედანზე. ამით „მანსტერმა“, ფაქტობრივად, გაინაღდა კიდეც ჯგუფიდან გასვლა. D ჯგუფის მეორე მატჩი ტურში ყველაზე უხვქულიანი გამოდგა — „სარასენსმა“ 52:35 დაამარცხა „პონტიპრიდი“ და შემდეგ ეტაპზე თამაშის მიზერული შანსი შეინარჩუნა, უელსელებს კი მეტად გაურთულა საქმე.

წაგების მიუხედავად, E ჯგუფის მთავარ ფავორიტად მაინც „მონფერანი“ რჩება. მან პირველ ტაიმში ვერაფერი გააწყო „ჰარლექვინსთან“ და 0:11 წააგო. შესვენების შემდეგ ფრანგები გაცილებით უკეთ ბურთაობდნენ, მაგრამ ინგლისელები თავს ბრწყინვალედ იცავდნენ და მათ ლელოს გატანა არაფრით დაანებეს. ერთმა საჯარიმომ და ორმა არეკნმა კი მატჩის ბედი სტუმრების სასარგებლოდ ვერ შეაბრუნა. კინაღამ პატარა სენსაცია მოახდინა „ტრევიზომ“, რომელმაც პირველი ტაიმი მოუგო „კარდიფს“ — 16:8. იტალიელები უპირატესობას შეხვედრის ბოლომდე ინარჩუნებდნენ, მაგრამ მეორე ტაიმში მათ ქულა აღარ მოუპოვებიათ და მათი წაგება მაინც ლოგიკურია.

F ჯგუფში პირველი თამაში წააგო „ედინბურგმა“, მაგრამ პირველი ადგილისთვის მაინც იგი იბრძვის თავის შემარცხვენელ „ნორტჰემპტონთან“ ერთად. ვინ გახდება პირველი ჯერ ძნელი სათქმელია, ერთი კი ნათელია — ვის მხარეს გადაიხრება სასწორი ამ დაპირისპირებაში მომავალ უქმეებზე გაირკვევა, როცა ევროპის თასის მეოთხე ტურში „ედინბურგი“ „ნორტჰემპტონს“ უმასპინძლებს. ჯგუფის მაჩანჩალებიდან უკეთესი „ნითი“ აღმოჩნდა, რომელმაც „გრენობლის“ განადგურება პირველივე ტაიმში დაამთავრა — უელსელებმა ფრანგებს შესვენებამდე 36 უპასუხო ქულა აართვეს.

**გაიოზ თალაკვაძე**



სტად ფრანსე — ლენსტერი. ფრანგთაგან თუ ვინმე გამოირჩეოდა, უპირველესად ტომა ლომბარი (ბურთით)

## ევროპის თასი

III ტური

**A ჯგუფი**

გლაზგო (შოტლანდია) 30:17 ლესტერი (ინგლისი)

სტად ფრანსე (საფრანგეთი) 39:6 ლენსტერი (ირლანდია)

**B ჯგუფი**

პადოვა (იტალია) 17:39 ტულუზი (საფრანგეთი)

სუონსი (უელსი) 10:9 ბათი (ინგლისი)

**C ჯგუფი**

ბურგუენი (საფრანგეთი) 15:21 უოსპსი (ინგლისი)

ოლსტერი (ირლანდია) 6:29 ლიანელი (უელსი)

**D ჯგუფი**

სარასენსი (ინგლისი) 52:35 პონტიპრიდი (უელსი)

კოლომიე (საფრანგეთი) 15:31 მანსტერი (ირლანდია)

**E ჯგუფი**

კარდიფი (უელსი) 23:16 ტრევიზო (იტალია)

ჰარლექვინსი (ინგლისი) 11:9 მონფერანი (საფრანგეთი)

**F ჯგუფი**

ნორტჰემპტონი (ინგლისი) 32:8 ედინბურგი (შოტლანდია)

ნითი (უელსი) 43:14 გრენობლი (საფრანგეთი)

### სატურნირო ვითარება

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A ჯგუფი | | | | | | | D ჯგუფი | | | | | |
| სტად ფრანსი | 3 | 2 | 0 | 1 | 101:54 | 4 | მანსტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 98:59 | 6 |
| გლაზგო | 3 | 2 | 0 | 1 | 77:71 | 4 | სარასენსი | 3 | 1 | 0 | 2 | 102:89 | 2 |
| ლესტერი | 3 | 1 | 0 | 2 | 67:82 | 2 | კოლომიე | 3 | 1 | 0 | 2 | 48:69 | 2 |
| ლენსტერი | 3 | 1 | 0 | 2 | 50:88 | 2 | პონტიპრიდი | 3 | 1 | 0 | 2 | 67:98 | 2 |
| B ჯგუფი | | | | | | | E ჯგუფი | | | | | |
| ტულუზი | 3 | 3 | 0 | 0 | 117:45 | 6 | მონფერანი | 3 | 2 | 0 | 1 | 76:39 | 4 |
| სუონსი | 3 | 2 | 0 | 1 | 79:74 | 4 | ჰარლექვინსი | 3 | 1 | 1 | 1 | 62:63 | 3 |
| ბათი | 3 | 1 | 0 | 2 | 90:57 | 2 | კარდიფი | 3 | 1 | 1 | 1 | 68:94 | 3 |
| პადოვა | 3 | 0 | 0 | 3 | 51:161 | 0 | ტრევიზო | 3 | 1 | 0 | 2 | 53:63 | 2 |
| ს ჯგუფი | | | | | | | F ჯგუფი | | | | | |
| უოსპსი | 3 | 3 | 0 | 0 | 62:34 | 6 | ნორტჰემპტონი | 3 | 2 | 0 | 1 | 71:40 | 4 |
| ლიანელი | 3 | 2 | 0 | 1 | 71:38 | 4 | ედინბურგი | 3 | 2 | 0 | 1 | 62:70 | 4 |
| ბურგუენი | 3 | 1 | 0 | 2 | 51:62 | 2 | ნითი | 3 | 1 | 0 | 2 | 75:66 | 2 |
| ოლსტერი | 3 | 0 | 0 | 3 | 24:74 | 0 | გრენობლი | 3 | 1 | 0 | 2 | 52:84 | 2 |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**„კროკოს“ მთავარი ოფისი ფურცელაძის ქუჩაზე (კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში) $11^{00}$ საათიდან $18^{00}$ საათამდე მუშაობს**

### გერმანია. მეორე ბუნდესლიგა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 15 | 10 | 4 | 1 | 33:10 | 34 | 7 | 1 | 0 | 25:4 | 3 | 3 | 1 | 8:6 |
| კოტბუსი | 15 | 9 | 1 | 5 | 31:17 | 28 | 6 | 0 | 1 | 17:7 | 3 | 1 | 4 | 14:10 |
| ნიურნბერგი | 16 | 8 | 3 | 5 | 27:27 | 27 | 7 | 1 | 0 | 19:9 | 1 | 2 | 5 | 8:18 |
| ბერლინი | 16 | 6 | 7 | 3 | 24:19 | 25 | 4 | 3 | 1 | 12:8 | 2 | 4 | 2 | 12:11 |
| ბოხუმი | 16 | 7 | 3 | 6 | 28:25 | 24 | 4 | 0 | 4 | 19:16 | 3 | 3 | 2 | 9:9 |
| ქემნიცი | 16 | 6 | 5 | 5 | 27:22 | 23 | 4 | 3 | 1 | 19:10 | 2 | 2 | 4 | 8:12 |
| ჰანოვერი | 16 | 6 | 4 | 6 | 23:21 | 22 | 3 | 3 | 2 | 14:11 | 3 | 1 | 4 | 9:10 |
| ალემანია | 15 | 6 | 4 | 5 | 25:30 | 22 | 4 | 2 | 1 | 16:9 | 2 | 2 | 4 | 9:21 |
| მაინცი | 15 | 5 | 6 | 4 | 19:19 | 21 | 3 | 3 | 1 | 8:5 | 2 | 3 | 3 | 11:14 |
| ფიურტი | 15 | 4 | 7 | 4 | 10:14 | 19 | 2 | 6 | 0 | 4:1 | 2 | 1 | 4 | 6:13 |
| ზტ. პაული | 15 | 4 | 6 | 5 | 16:19 | 18 | 2 | 5 | 1 | 7:6 | 2 | 1 | 4 | 9:13 |
| გლადბახი | 15 | 4 | 5 | 6 | 19:21 | 17 | 3 | 2 | 3 | 12:9 | 1 | 3 | 3 | 7:12 |
| ვალდჰოფი | 15 | 4 | 5 | 6 | 18:23 | 17 | 4 | 2 | 1 | 14:8 | 0 | 3 | 5 | 4:15 |
| კიკერსი | 16 | 4 | 5 | 7 | 24:31 | 17 | 4 | 3 | 1 | 15:11 | 0 | 2 | 6 | 9:20 |
| ფორტუნა | 15 | 3 | 6 | 6 | 11:19 | 15 | 3 | 3 | 1 | 8:5 | 0 | 3 | 5 | 3:14 |
| ობერჰაუზენი | 14 | 3 | 5 | 6 | 13:18 | 14 | 3 | 2 | 2 | 9:9 | 0 | 3 | 4 | 4:9 |
| კარლსრუე | 14 | 2 | 6 | 6 | 20:24 | 12 | 1 | 3 | 3 | 7:8 | 1 | 3 | 3 | 13:16 |
| ოფენბახი | 15 | 2 | 6 | 7 | 11:20 | 12 | 2 | 2 | 4 | 7:11 | 0 | 4 | 3 | 4:9 |

### ინგლისი. პირველი დივიზიონი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჰადერსფილდი | 22 | 13 | 4 | 5 | 39:22 | 43 | 9 | 2 | 0 | 29:9 | 4 | 2 | 5 | 10:13 |
| სიტი | 22 | 13 | 3 | 6 | 32:19 | 42 | 8 | 0 | 3 | 22:9 | 5 | 3 | 3 | 10:10 |
| ჩარლტონი | 21 | 12 | 4 | 5 | 38:24 | 40 | 7 | 2 | 2 | 19:10 | 5 | 2 | 3 | 19:14 |
| იფსვიჩი | 22 | 11 | 6 | 5 | 37:25 | 39 | 8 | 1 | 2 | 22:11 | 3 | 5 | 3 | 15:14 |
| ბარნსლი | 21 | 11 | 3 | 7 | 39:33 | 36 | 8 | 1 | 2 | 25:10 | 3 | 2 | 5 | 14:23 |
| სტოკპორტი | 22 | 9 | 7 | 6 | 27:30 | 34 | 6 | 5 | 0 | 19:12 | 3 | 2 | 6 | 8:18 |
| ფულემი | 21 | 8 | 9 | 4 | 24:18 | 33 | 5 | 4 | 2 | 11:7 | 3 | 5 | 2 | 13:11 |
| ბირმინგემი | 21 | 8 | 8 | 5 | 32:23 | 32 | 6 | 3 | 1 | 21:9 | 2 | 5 | 4 | 11:14 |
| ქუინზ პარკი | 22 | 8 | 8 | 6 | 32:28 | 32 | 5 | 6 | 0 | 19:12 | 3 | 2 | 6 | 13:16 |
| ბოლტონი | 22 | 8 | 7 | 7 | 32:26 | 31 | 6 | 3 | 2 | 21:14 | 2 | 4 | 5 | 11:12 |
| ბლექბერნი | 21 | 7 | 9 | 5 | 26:20 | 30 | 5 | 4 | 2 | 16:9 | 2 | 5 | 3 | 10:11 |
| ვულვზი | 21 | 7 | 8 | 6 | 23:20 | 29 | 4 | 4 | 2 | 15:9 | 3 | 4 | 4 | 8:11 |
| ტრანმერი | 22 | 8 | 5 | 9 | 31:32 | 29 | 6 | 3 | 2 | 19:12 | 2 | 2 | 7 | 12:20 |
| ნორვიჩი | 21 | 7 | 7 | 7 | 19:19 | 28 | 6 | 1 | 3 | 11:8 | 1 | 6 | 4 | 8:11 |
| ვესტ ბრომი | 22 | 5 | 11 | 6 | 22:24 | 26 | 3 | 7 | 2 | 14:12 | 2 | 4 | 4 | 8:12 |
| კრიუ | 22 | 7 | 5 | 10 | 26:30 | 26 | 5 | 3 | 3 | 10:8 | 2 | 2 | 7 | 13:21 |
| გრიმსბი | 22 | 7 | 5 | 10 | 23:35 | 26 | 6 | 3 | 2 | 14:12 | 1 | 2 | 8 | 9:23 |
| კრ. პალასი | 22 | 6 | 7 | 9 | 30:36 | 25 | 5 | 4 | 2 | 20:10 | 1 | 3 | 7 | 10:26 |
| პორტველი | 22 | 5 | 7 | 10 | 26:31 | 22 | 4 | 2 | 5 | 11:12 | 1 | 5 | 5 | 15:19 |
| ნოტინგემი | 21 | 5 | 6 | 10 | 23:27 | 21 | 4 | 4 | 2 | 16:10 | 1 | 2 | 8 | 7:17 |
| პორტსმუთი | 22 | 5 | 6 | 11 | 25:36 | 21 | 4 | 4 | 3 | 16:11 | 1 | 2 | 8 | 9:25 |
| შეფილდ იუნ. | 22 | 5 | 6 | 11 | 25:38 | 21 | 4 | 3 | 4 | 15:13 | 1 | 3 | 7 | 10:25 |
| უოლსოლი | 22 | 4 | 7 | 11 | 19:34 | 19 | 2 | 4 | 5 | 9:14 | 2 | 3 | 6 | 10:20 |
| სუინდონი | 22 | 3 | 8 | 11 | 16:34 | 17 | 2 | 5 | 4 | 11:18 | 1 | 3 | 7 | 5:16 |

### ინგლისი. მეორე დივიზიონი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| უიგანი | 20 | 11 | 9 | 0 | 40:19 | 42 | 8 | 2 | 0 | 21:6 | 3 | 7 | 0 | 19:13 |
| პრესტონი | 20 | 12 | 6 | 2 | 33:18 | 42 | 7 | 1 | 2 | 15:9 | 5 | 5 | 0 | 18:9 |
| მილუოლი | 21 | 11 | 6 | 4 | 34:22 | 39 | 5 | 4 | 1 | 16:8 | 6 | 2 | 3 | 18:14 |
| ჯილინგემი | 20 | 11 | 5 | 4 | 38:23 | 38 | 7 | 1 | 2 | 21:9 | 4 | 4 | 2 | 17:14 |
| როვერსი | 19 | 11 | 5 | 3 | 25:11 | 38 | 5 | 3 | 1 | 12:5 | 6 | 2 | 2 | 13:6 |
| ნოტსი | 21 | 11 | 5 | 5 | 35:23 | 38 | 5 | 3 | 3 | 18:12 | 6 | 2 | 2 | 17:11 |
| ბარნლი | 20 | 10 | 7 | 3 | 26:12 | 37 | 8 | 1 | 1 | 20:6 | 2 | 6 | 2 | 6:6 |
| სტოკი | 20 | 9 | 7 | 4 | 30:18 | 34 | 4 | 4 | 2 | 13:9 | 5 | 3 | 2 | 17:9 |
| ბრენტფორდი | 21 | 9 | 7 | 5 | 32:27 | 34 | 6 | 3 | 2 | 19:13 | 3 | 4 | 3 | 13:14 |
| ლუტონი | 20 | 8 | 4 | 8 | 25:27 | 28 | 6 | 3 | 1 | 20:13 | 2 | 1 | 7 | 5:14 |
| ბორნმუთი | 21 | 8 | 4 | 9 | 29:33 | 28 | 6 | 2 | 2 | 18:8 | 2 | 2 | 7 | 11:25 |
| ბრისტოლი | 21 | 6 | 9 | 6 | 28:28 | 27 | 4 | 7 | 0 | 17:9 | 2 | 2 | 6 | 11:19 |
| უიკომბი | 21 | 6 | 7 | 8 | 25:29 | 25 | 4 | 3 | 4 | 15:16 | 2 | 4 | 4 | 10:13 |
| ბერი | 20 | 5 | 9 | 6 | 29:27 | 24 | 4 | 4 | 2 | 20:17 | 1 | 5 | 4 | 9:10 |
| ოქსფორდი | 20 | 5 | 6 | 9 | 19:24 | 21 | 2 | 4 | 4 | 11:12 | 3 | 2 | 5 | 8:12 |
| ოლდემი | 20 | 5 | 5 | 10 | 20:26 | 20 | 3 | 2 | 5 | 11:12 | 2 | 3 | 5 | 9:14 |
| სკანთორპი | 20 | 5 | 5 | 10 | 21:33 | 20 | 2 | 2 | 6 | 9:17 | 3 | 3 | 4 | 12:16 |
| რექსჰემი | 20 | 4 | 8 | 8 | 18:32 | 20 | 3 | 4 | 3 | 12:12 | 1 | 4 | 5 | 7:20 |
| კარდიფი | 20 | 4 | 7 | 9 | 22:28 | 19 | 2 | 6 | 2 | 11:11 | 2 | 1 | 7 | 11:17 |
| კოლჩესტერი | 21 | 4 | 6 | 11 | 22:44 | 18 | 3 | 3 | 4 | 11:20 | 2 | 3 | 6 | 11:24 |
| რედინგი | 19 | 4 | 5 | 10 | 21:37 | 17 | 3 | 4 | 3 | 11:11 | 1 | 1 | 7 | 12:26 |
| ბლექპული | 20 | 3 | 7 | 10 | 21:35 | 16 | 2 | 4 | 4 | 11:17 | 1 | 3 | 6 | 10:18 |
| კემბრიჯი | 20 | 3 | 6 | 11 | 28:36 | 15 | 3 | 3 | 4 | 18:18 | 0 | 3 | 7 | 10:18 |
| ჩესტერფილდი | 21 | 2 | 7 | 12 | 12:24 | 13 | 1 | 3 | 6 | 5:11 | 1 | 4 | 6 | 7:13 |

### თურქეთი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 11 | 8 | 2 | 1 | 23:8 | 26 | 5 | 0 | 1 | 15:3 | 3 | 2 | 0 | 8:5 |
| გაზიანთეფი | 12 | 7 | 2 | 3 | 16:8 | 23 | 4 | 1 | 2 | 12:6 | 3 | 1 | 1 | 4:2 |
| დენიზლი | 12 | 6 | 4 | 2 | 19:13 | 22 | 5 | 1 | 1 | 13:7 | 1 | 3 | 1 | 6:6 |
| ფენერბაჰჩე | 11 | 5 | 5 | 1 | 20:13 | 20 | 2 | 3 | 0 | 9:6 | 3 | 2 | 1 | 11:7 |
| ანთალია | 12 | 6 | 2 | 4 | 16:18 | 20 | 2 | 2 | 2 | 8:9 | 4 | 0 | 2 | 8:9 |
| ბეშიქთაში | 12 | 5 | 4 | 3 | 21:9 | 19 | 3 | 2 | 1 | 10:3 | 2 | 2 | 2 | 11:6 |
| ტრაბზონი | 12 | 5 | 4 | 3 | 17:12 | 19 | 3 | 1 | 2 | 8:5 | 2 | 3 | 1 | 9:7 |
| სამსუნი | 12 | 6 | 1 | 5 | 17:14 | 19 | 5 | 0 | 2 | 14:4 | 1 | 1 | 3 | 3:10 |
| ალთაი | 12 | 4 | 4 | 4 | 15:11 | 16 | 3 | 3 | 1 | 9:4 | 1 | 1 | 3 | 6:7 |
| გენჩლერბირ. | 12 | 4 | 3 | 5 | 13:17 | 15 | 1 | 3 | 3 | 4:9 | 3 | 0 | 2 | 9:8 |
| ერზურუმი | 12 | 4 | 2 | 6 | 18:24 | 14 | 3 | 2 | 1 | 13:6 | 1 | 0 | 5 | 5:18 |
| ისთანბული | 12 | 3 | 4 | 5 | 11:15 | 13 | 3 | 1 | 2 | 10:8 | 0 | 3 | 3 | 1:7 |
| გიოზთეფე | 12 | 3 | 4 | 5 | 9:14 | 13 | 1 | 3 | 2 | 4:4 | 2 | 1 | 3 | 5:10 |
| ადანა | 12 | 3 | 3 | 6 | 16:22 | 12 | 1 | 1 | 4 | 10:14 | 2 | 2 | 2 | 6:8 |
| ანკარაგიუჯიუ | 12 | 3 | 3 | 6 | 11:21 | 12 | 2 | 1 | 3 | 6:8 | 1 | 2 | 3 | 5:13 |
| ბურსა | 12 | 2 | 4 | 6 | 13:18 | 10 | 2 | 1 | 3 | 9:10 | 0 | 3 | 3 | 4:8 |
| ვანი | 12 | 2 | 4 | 6 | 14:20 | 10 | 1 | 3 | 2 | 8:11 | 1 | 1 | 4 | 6:9 |
| ქოჯაელი | 12 | 2 | 3 | 7 | 12:24 | 9 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 2 | 2 | 7 | 11:23 |

### ინგლისი. მესამე დივიზიონი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბარნეტი | 21 | 13 | 4 | 4 | 34:22 | 43 | 7 | 2 | 1 | 20:9 | 6 | 2 | 3 | 13:13 |
| როტერჰემი | 21 | 11 | 5 | 5 | 30:13 | 38 | 7 | 1 | 2 | 19:3 | 4 | 4 | 3 | 11:10 |
| დარლინგტონი | 20 | 10 | 6 | 4 | 26:13 | 36 | 7 | 3 | 0 | 20:4 | 3 | 3 | 4 | 6:9 |
| ნორთჰემპტონი | 21 | 11 | 3 | 7 | 23:16 | 36 | 6 | 1 | 3 | 13:7 | 5 | 2 | 4 | 10:9 |
| სუონსი | 21 | 10 | 5 | 6 | 20:14 | 35 | 6 | 2 | 2 | 12:5 | 4 | 3 | 4 | 8:9 |
| ტორკი | 21 | 10 | 5 | 6 | 26:21 | 35 | 5 | 3 | 2 | 14:8 | 5 | 2 | 4 | 12:13 |
| პეტერბრო | 20 | 10 | 4 | 6 | 28:22 | 34 | 7 | 2 | 1 | 19:10 | 3 | 2 | 5 | 9:12 |
| პლიმუთი | 20 | 9 | 6 | 5 | 27:21 | 33 | 6 | 4 | 0 | 21:8 | 3 | 2 | 5 | 6:13 |
| ალიფაქსი | 21 | 9 | 4 | 8 | 22:24 | 31 | 5 | 2 | 4 | 13:10 | 4 | 2 | 4 | 9:14 |
| ჰარტლპული | 21 | 9 | 3 | 9 | 26:21 | 30 | 7 | 0 | 4 | 14:6 | 2 | 3 | 5 | 12:15 |
| როჩდეილი | 21 | 8 | 6 | 7 | 18:14 | 30 | 2 | 4 | 4 | 4:7 | 6 | 2 | 3 | 14:7 |
| მაკლსფილდი | 21 | 8 | 6 | 7 | 31:29 | 30 | 3 | 3 | 4 | 15:15 | 5 | 3 | 3 | 16:14 |
| ლინკოლნი | 20 | 7 | 7 | 6 | 31:30 | 28 | 5 | 3 | 2 | 15:9 | 2 | 4 | 4 | 16:21 |
| საუთენდი | 21 | 8 | 4 | 9 | 27:30 | 28 | 5 | 2 | 4 | 18:16 | 3 | 2 | 5 | 9:14 |
| ბრაიტონი | 20 | 7 | 6 | 7 | 30:24 | 27 | 5 | 1 | 5 | 20:14 | 2 | 5 | 2 | 10:10 |
| ჩელტენემი | 21 | 7 | 5 | 9 | 18:19 | 26 | 5 | 2 | 4 | 12:10 | 2 | 3 | 5 | 6:9 |
| ექსეტერი | 20 | 7 | 4 | 9 | 22:26 | 25 | 5 | 2 | 3 | 13:13 | 2 | 2 | 6 | 9:13 |
| იორკი | 20 | 6 | 6 | 8 | 18:25 | 24 | 3 | 4 | 3 | 7:10 | 3 | 2 | 5 | 11:15 |
| ჰალი | 20 | 6 | 5 | 9 | 18:21 | 23 | 3 | 3 | 4 | 12:9 | 3 | 2 | 5 | 6:12 |
| მენსფილდი | 19 | 6 | 4 | 9 | 25:29 | 22 | 3 | 3 | 3 | 17:11 | 3 | 1 | 6 | 8:18 |
| შრიუსბერი | 21 | 5 | 4 | 12 | 19:33 | 19 | 3 | 3 | 5 | 12:12 | 2 | 1 | 7 | 7:21 |
| კარლაისლი | 21 | 4 | 7 | 10 | 18:33 | 19 | 3 | 4 | 4 | 10:12 | 1 | 3 | 6 | 8:21 |
| ლეიტონი | 20 | 3 | 5 | 12 | 14:30 | 14 | 2 | 3 | 5 | 7:11 | 1 | 2 | 7 | 7:19 |
| ჩესტერი | 20 | 3 | 4 | 13 | 16:36 | 13 | 1 | 2 | 7 | 5:15 | 2 | 2 | 6 | 11:21 |

### იტალია. სერია B

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა | 15 | 9 | 2 | 4 | 30:17 | 29 | 6 | 1 | 0 | 21:7 | 3 | 1 | 4 | 9:10 |
| ბრეშა | 15 | 7 | 7 | 1 | 21:9 | 28 | 4 | 3 | 1 | 14:5 | 3 | 4 | 0 | 7:4 |
| ატალანტა | 15 | 8 | 3 | 4 | 21:14 | 27 | 6 | 0 | 1 | 13:5 | 2 | 3 | 3 | 8:9 |
| ნაპოლი | 15 | 7 | 5 | 3 | 22:15 | 26 | 5 | 2 | 0 | 13:5 | 2 | 3 | 3 | 9:10 |
| სამპდორია | 15 | 6 | 6 | 3 | 16:12 | 24 | 4 | 4 | 0 | 10:5 | 2 | 2 | 3 | 6:7 |
| ალძანო | 15 | 6 | 4 | 5 | 17:20 | 22 | 5 | 1 | 2 | 12:11 | 1 | 3 | 3 | 5:9 |
| ტრევიზო | 15 | 6 | 3 | 6 | 22:17 | 21 | 6 | 0 | 1 | 17:6 | 0 | 3 | 5 | 5:11 |
| ჩეზენა | 15 | 4 | 8 | 3 | 20:16 | 20 | 3 | 5 | 0 | 11:6 | 1 | 3 | 3 | 9:10 |
| რავენა | 15 | 4 | 8 | 3 | 17:14 | 20 | 3 | 3 | 1 | 8:4 | 1 | 5 | 2 | 9:10 |
| მონცა | 15 | 4 | 8 | 3 | 15:15 | 20 | 3 | 4 | 0 | 6:3 | 1 | 4 | 3 | 9:12 |
| კიევო | 15 | 5 | 4 | 6 | 18:19 | 19 | 4 | 3 | 1 | 11:7 | 1 | 1 | 5 | 7:12 |
| სალერნიტანა | 15 | 4 | 6 | 5 | 19:22 | 18 | 3 | 4 | 0 | 12:7 | 1 | 2 | 5 | 7:15 |
| ტერნანა | 14 | 4 | 6 | 4 | 14:18 | 18 | 2 | 4 | 0 | 8:6 | 2 | 2 | 4 | 6:12 |
| კოზენცა | 15 | 3 | 8 | 4 | 11:13 | 17 | 3 | 3 | 2 | 6:5 | 0 | 5 | 2 | 5:8 |
| ჯენოა | 15 | 4 | 4 | 7 | 16:16 | 16 | 3 | 3 | 1 | 12:6 | 1 | 1 | 6 | 4:10 |
| პესკარა | 15 | 3 | 7 | 5 | 20:22 | 16 | 2 | 2 | 3 | 11:11 | 1 | 5 | 2 | 9:11 |
| ემპოლი | 15 | 4 | 4 | 7 | 8:20 | 16 | 4 | 3 | 1 | 7:6 | 0 | 1 | 6 | 1:14 |
| პისტოიეზე | 14 | 5 | 3 | 6 | 13:17 | 14 | 5 | 1 | 2 | 10:7 | 0 | 2 | 4 | 3:10 |
| სავოია | 15 | 2 | 6 | 7 | 12:22 | 12 | 2 | 4 | 2 | 7:7 | 0 | 2 | 5 | 5:15 |
| ფერმანა | 15 | 1 | 4 | 10 | 11:25 | 7 | 1 | 3 | 4 | 6:9 | 0 | 1 | 6 | 5:16 |

### იტალია. სერია C1/a

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სიენა | 14 | 9 | 3 | 2 | 21:9 | 30 | 5 | 0 | 2 | 11:5 | 4 | 3 | 0 | 10:4 |
| პიზა | 14 | 6 | 6 | 2 | 16:9 | 24 | 4 | 2 | 1 | 10:5 | 2 | 4 | 1 | 6:4 |
| ჩიტადელა | 13 | 6 | 6 | 1 | 16:10 | 24 | 4 | 3 | 0 | 11:5 | 2 | 3 | 1 | 5:5 |
| სპალ | 14 | 6 | 4 | 4 | 14:11 | 22 | 3 | 3 | 1 | 6:3 | 3 | 1 | 3 | 8:8 |
| ლუკეზე | 14 | 6 | 4 | 4 | 19:18 | 22 | 5 | 1 | 1 | 11:6 | 1 | 3 | 3 | 8:12 |
| ალბინოლეფე | 14 | 5 | 6 | 3 | 16:13 | 21 | 3 | 3 | 1 | 9:5 | 2 | 3 | 2 | 7:8 |
| ლივორნო | 14 | 4 | 7 | 3 | 15:14 | 19 | 2 | 3 | 2 | 9:8 | 2 | 4 | 1 | 6:6 |
| რეჯანა | 13 | 5 | 3 | 5 | 14:12 | 18 | 4 | 1 | 3 | 10:9 | 1 | 2 | 2 | 4:3 |
| ვარეზე | 14 | 3 | 9 | 2 | 16:15 | 18 | 2 | 4 | 1 | 8:7 | 1 | 5 | 1 | 8:8 |
| კომო | 14 | 3 | 8 | 3 | 10:11 | 17 | 0 | 6 | 2 | 2:7 | 3 | 4 | 1 | 8:4 |
| კარარეზე | 14 | 4 | 4 | 6 | 13:18 | 16 | 2 | 4 | 1 | 9:8 | 2 | 0 | 5 | 4:10 |
| კრემონეზე | 14 | 2 | 9 | 3 | 13:14 | 15 | 1 | 5 | 1 | 8:8 | 1 | 4 | 2 | 5:6 |
| ბრეშელო | 14 | 3 | 6 | 5 | 12:15 | 15 | 1 | 4 | 1 | 5:5 | 2 | 2 | 4 | 7:10 |
| მოდენა | 13 | 3 | 4 | 6 | 10:14 | 13 | 1 | 3 | 2 | 3:4 | 2 | 1 | 4 | 7:10 |
| ლეკო | 14 | 2 | 7 | 5 | 9:15 | 13 | 1 | 3 | 3 | 3:6 | 1 | 4 | 2 | 6:9 |
| ლუმეცანე | 13 | 2 | 5 | 6 | 9:13 | 11 | 1 | 2 | 3 | 4:5 | 1 | 3 | 3 | 5:8 |
| სანდონა | 14 | 1 | 8 | 5 | 10:17 | 11 | 1 | 3 | 3 | 5:8 | 0 | 5 | 2 | 5:9 |
| მონტევარკი | 14 | 1 | 7 | 6 | 10:15 | 10 | 1 | 4 | 2 | 7:8 | 0 | 3 | 4 | 3:7 |

### იტალია. სერია C1/b

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კროტონე | 14 | 8 | 6 | 0 | 25:10 | 30 | 5 | 2 | 0 | 16:4 | 4 | 3 | 0 | 9:5 |
| ანკონა | 14 | 8 | 3 | 3 | 18:9 | 27 | 5 | 2 | 0 | 13:5 | 3 | 1 | 3 | 5:4 |
| არეცო | 14 | 6 | 5 | 3 | 20:14 | 23 | 4 | 2 | 0 | 11:4 | 3 | 2 | 3 | 9:9 |
| ვიტერბეზე | 14 | 7 | 2 | 5 | 24:20 | 23 | 4 | 2 | 1 | 15:7 | 3 | 0 | 4 | 9:13 |
| პალერმო | 14 | 6 | 5 | 3 | 12:8 | 23 | 3 | 4 | 1 | 8:4 | 3 | 1 | 2 | 4:4 |
| სტაბია | 14 | 5 | 7 | 2 | 20:13 | 22 | 4 | 2 | 1 | 13:6 | 1 | 5 | 1 | 7:7 |
| კატანია | 13 | 5 | 7 | 1 | 15:8 | 22 | 3 | 4 | 0 | 7:2 | 2 | 2 | 2 | 7:6 |
| ასკოლი | 13 | 5 | 6 | 2 | 24:11 | 21 | 4 | 2 | 1 | 16:4 | 1 | 4 | 1 | 8:7 |
| ბენევენტო | 14 | 5 | 5 | 4 | 8:11 | 20 | 5 | 1 | 1 | 7:2 | 0 | 4 | 3 | 1:9 |
| ნოჩერინა | 14 | 4 | 6 | 4 | 14:12 | 18 | 3 | 2 | 1 | 8:3 | 1 | 4 | 3 | 6:9 |
| ჯულიანოვა | 14 | 4 | 6 | 4 | 14:16 | 18 | 3 | 2 | 2 | 7:7 | 1 | 4 | 2 | 7:9 |
| ლოდიჯანი | 14 | 3 | 6 | 5 | 12:17 | 15 | 3 | 2 | 2 | 7:7 | 0 | 4 | 3 | 5:10 |
| დი სანგრო | 14 | 3 | 5 | 6 | 13:19 | 14 | 1 | 2 | 4 | 7:11 | 2 | 3 | 2 | 6:8 |
| აველინო | 14 | 4 | 2 | 8 | 11:18 | 14 | 4 | 1 | 3 | 10:8 | 0 | 0 | 6 | 0:10 |
| გუალდო | 14 | 2 | 6 | 6 | 10:18 | 12 | 2 | 4 | 1 | 6:5 | 0 | 2 | 5 | 4:13 |
| ატლეტიკო | 14 | 1 | 7 | 6 | 8:15 | 10 | 1 | 3 | 2 | 4:4 | 0 | 4 | 4 | 4:11 |
| ფ. ანდრია | 14 | 1 | 6 | 7 | 9:17 | 9 | 1 | 5 | 1 | 5:6 | 0 | 1 | 6 | 4:11 |
| მარსალა | 14 | 1 | 4 | 9 | 9:30 | 7 | 1 | 3 | 3 | 6:9 | 0 | 1 | 6 | 3:21 |

### ესპანეთი. მეორე დივიზიონი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სალამანკა | 18 | 12 | 4 | 2 | 31:14 | 40 | 7 | 1 | 1 | 19:7 | 5 | 3 | 1 | 12:7 |
| ლევანტე | 18 | 10 | 4 | 4 | 34:26 | 34 | 8 | 1 | 0 | 22:6 | 2 | 3 | 4 | 12:20 |
| ესტრემადურა | 18 | 9 | 4 | 5 | 19:17 | 31 | 7 | 2 | 0 | 14:4 | 2 | 2 | 5 | 5:13 |
| ტენერიფე | 18 | 9 | 3 | 6 | 29:20 | 30 | 6 | 2 | 1 | 17:7 | 3 | 1 | 5 | 12:13 |
| სპორტინგი | 18 | 9 | 2 | 7 | 26:21 | 29 | 5 | 0 | 4 | 14:10 | 4 | 2 | 3 | 12:11 |
| ლას პალმასი | 18 | 8 | 4 | 6 | 27:20 | 28 | 5 | 2 | 2 | 16:7 | 3 | 2 | 4 | 11:13 |
| მერიდა | 18 | 7 | 6 | 5 | 22:17 | 27 | 4 | 4 | 1 | 13:6 | 3 | 2 | 4 | 9:11 |
| ბადახოსი | 18 | 5 | 11 | 2 | 17:14 | 26 | 3 | 5 | 1 | 10:8 | 2 | 6 | 1 | 7:6 |
| ეიბარი | 18 | 6 | 7 | 5 | 28:25 | 25 | 4 | 4 | 1 | 15:8 | 2 | 3 | 4 | 13:17 |
| ხეტაფე | 18 | 7 | 4 | 7 | 18:18 | 25 | 4 | 2 | 3 | 12:10 | 3 | 2 | 4 | 6:8 |
| ვილიარეალი | 18 | 6 | 6 | 6 | 25:20 | 24 | 3 | 3 | 3 | 12:11 | 3 | 3 | 3 | 13:9 |
| ალბასეტე | 18 | 6 | 6 | 6 | 20:24 | 24 | 2 | 5 | 2 | 10:11 | 4 | 1 | 4 | 10:13 |
| ლეიდა | 18 | 6 | 5 | 7 | 29:25 | 23 | 3 | 3 | 3 | 15:11 | 3 | 2 | 4 | 14:14 |
| ელჩე | 18 | 5 | 7 | 6 | 20:23 | 22 | 3 | 5 | 1 | 12:10 | 2 | 2 | 5 | 8:13 |
| ოსასუნა | 18 | 7 | 1 | 10 | 17:20 | 22 | 5 | 1 | 3 | 12:6 | 2 | 0 | 7 | 5:14 |
| ლოგრონიესი | 18 | 5 | 6 | 7 | 25:26 | 21 | 5 | 3 | 1 | 19:11 | 0 | 3 | 6 | 6:15 |
| კომპოსტელა | 18 | 5 | 6 | 7 | 26:28 | 21 | 3 | 3 | 3 | 13:10 | 2 | 3 | 4 | 13:18 |
| კორდობა | 18 | 5 | 6 | 7 | 19:23 | 21 | 4 | 0 | 5 | 12:14 | 1 | 6 | 2 | 7:9 |
| უელვა | 18 | 6 | 3 | 9 | 16:25 | 21 | 4 | 2 | 3 | 10:9 | 2 | 1 | 6 | 6:16 |
| ლეგანესი | 18 | 4 | 6 | 8 | 16:31 | 18 | 3 | 3 | 3 | 8:10 | 1 | 3 | 5 | 8:21 |
| ატლეტიკო B | 18 | 4 | 3 | 11 | 19:29 | 15 | 2 | 1 | 6 | 12:16 | 2 | 2 | 5 | 7:13 |
| ტოლედო | 18 | 3 | 4 | 11 | 11:28 | 13 | 2 | 2 | 5 | 5:10 | 1 | 2 | 6 | 6:18 |

### პორტუგალია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 14 | 9 | 4 | 1 | 28:8 | 31 | 6 | 1 | 0 | 16:3 | 3 | 3 | 1 | 12:5 |
| ბენფიკა | 14 | 9 | 3 | 2 | 22:10 | 30 | 6 | 1 | 0 | 14:4 | 3 | 2 | 2 | 8:6 |
| სპორტინგი | 14 | 9 | 3 | 2 | 22:12 | 30 | 6 | 1 | 0 | 12:3 | 3 | 2 | 2 | 10:9 |
| ბოავიშტა | 14 | 8 | 3 | 3 | 16:10 | 27 | 4 | 1 | 2 | 8:6 | 4 | 2 | 1 | 8:4 |
| მარიტიმუ | 14 | 7 | 4 | 3 | 18:10 | 25 | 4 | 3 | 0 | 10:2 | 3 | 1 | 3 | 8:8 |
| ჟილ ვისენტე | 14 | 7 | 2 | 5 | 20:14 | 23 | 4 | 1 | 2 | 14:7 | 3 | 1 | 3 | 6:7 |
| გიმარაეში | 14 | 6 | 4 | 4 | 22:17 | 22 | 5 | 1 | 1 | 13:6 | 1 | 3 | 3 | 9:11 |
| ამადორა | 14 | 5 | 6 | 3 | 17:14 | 21 | 3 | 2 | 2 | 10:7 | 2 | 4 | 1 | 7:7 |
| ბელენენსეში | 14 | 4 | 6 | 4 | 14:12 | 18 | 3 | 3 | 1 | 8:5 | 1 | 3 | 3 | 6:7 |
| ალვერკა | 14 | 5 | 2 | 7 | 13:18 | 17 | 4 | 1 | 2 | 9:6 | 1 | 1 | 5 | 4:12 |
| სანტა კლარა | 14 | 3 | 5 | 6 | 17:20 | 14 | 1 | 3 | 3 | 8:12 | 2 | 2 | 3 | 9:8 |
| ბრაგა | 14 | 4 | 2 | 8 | 18:22 | 14 | 2 | 1 | 4 | 8:8 | 2 | 1 | 4 | 10:14 |
| რიუ ავე | 14 | 3 | 5 | 6 | 16:22 | 14 | 2 | 3 | 2 | 10:11 | 1 | 2 | 4 | 6:11 |
| კამპომაიორ. | 14 | 4 | 2 | 8 | 12:21 | 14 | 3 | 1 | 3 | 8:9 | 1 | 1 | 5 | 4:12 |
| სალგეირუში | 14 | 4 | 2 | 8 | 9:19 | 14 | 2 | 2 | 3 | 4:8 | 2 | 0 | 5 | 5:11 |
| ფარენსე | 14 | 2 | 6 | 6 | 9:23 | 12 | 1 | 3 | 3 | 6:11 | 1 | 3 | 3 | 3:12 |
| ლეირია | 14 | 2 | 4 | 8 | 11:18 | 10 | 2 | 3 | 2 | 6:4 | 0 | 1 | 6 | 5:14 |
| სეტუბალი | 14 | 2 | 3 | 9 | 12:26 | 9 | 2 | 2 | 3 | 9:11 | 0 | 1 | 6 | 3:15 |

### ჰოლანდია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 15 | 11 | 2 | 2 | 50:12 | 35 | 6 | 1 | 0 | 30:5 | 5 | 1 | 2 | 20:7 |
| აიაქსი | 15 | 11 | 2 | 2 | 45:20 | 35 | 5 | 1 | 2 | 22:11 | 6 | 1 | 0 | 23:9 |
| ჰერენვენი | 15 | 10 | 1 | 4 | 29:16 | 31 | 4 | 1 | 2 | 13:9 | 6 | 0 | 2 | 16:7 |
| ალკმარი | 17 | 10 | 1 | 6 | 35:27 | 31 | 2 | 1 | 5 | 6:10 | 8 | 0 | 1 | 29:17 |
| ტვენტე | 16 | 8 | 6 | 2 | 28:16 | 30 | 4 | 3 | 0 | 17:9 | 3 | 4 | 2 | 10:7 |
| ფეიენოორდი | 15 | 8 | 5 | 2 | 29:15 | 29 | 6 | 1 | 1 | 13:4 | 2 | 4 | 1 | 16:11 |
| როდა | 16 | 9 | 2 | 5 | 28:21 | 29 | 5 | 0 | 4 | 18:13 | 4 | 2 | 1 | 10:8 |
| ტილბურგი | 15 | 9 | 2 | 4 | 29:29 | 29 | 5 | 2 | 1 | 19:16 | 4 | 0 | 3 | 10:13 |
| ვალვაიკი | 17 | 9 | 2 | 6 | 29:31 | 29 | 4 | 2 | 3 | 15:20 | 5 | 0 | 3 | 14:11 |
| ვიტესი | 16 | 8 | 4 | 4 | 29:23 | 28 | 6 | 0 | 2 | 20:14 | 2 | 4 | 2 | 9:9 |
| უტრეხტი | 17 | 7 | 1 | 9 | 25:31 | 22 | 6 | 1 | 1 | 14:7 | 1 | 0 | 8 | 11:24 |
| გრააფსხაპი | 16 | 2 | 6 | 8 | 17:27 | 12 | 1 | 4 | 3 | 9:14 | 1 | 2 | 5 | 8:13 |
| სპარტა | 15 | 4 | 0 | 11 | 22:36 | 12 | 3 | 0 | 5 | 14:16 | 1 | 0 | 6 | 8:20 |
| მაასტრიხტი | 16 | 3 | 3 | 10 | 25:40 | 12 | 2 | 2 | 4 | 15:20 | 1 | 1 | 6 | 10:20 |
| ნაიმეგენი | 15 | 3 | 2 | 10 | 19:34 | 11 | 3 | 0 | 4 | 6:10 | 0 | 2 | 6 | 13:24 |
| სიტარდი | 17 | 2 | 4 | 11 | 17:30 | 10 | 2 | 3 | 3 | 12:12 | 0 | 1 | 8 | 5:18 |
| დენ ბოსხი | 17 | 2 | 4 | 11 | 16:44 | 10 | 2 | 3 | 4 | 10:18 | 0 | 2 | 6 | 6:25 |
| კამბური | 16 | 2 | 3 | 11 | 15:35 | 9 | 2 | 1 | 5 | 9:16 | 0 | 2 | 6 | 6:19 |

### ბელგია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 16 | 12 | 3 | 1 | 45:19 | 39 | 7 | 2 | 1 | 28:13 | 5 | 1 | 0 | 17:6 |
| გენკი | 17 | 10 | 5 | 2 | 43:22 | 35 | 5 | 3 | 0 | 20:9 | 5 | 2 | 2 | 23:13 |
| ბრიუგე | 16 | 10 | 2 | 4 | 37:14 | 32 | 6 | 0 | 2 | 24:7 | 4 | 2 | 2 | 13:7 |
| ლიერსი | 17 | 9 | 4 | 4 | 30:20 | 31 | 6 | 1 | 1 | 16:6 | 3 | 3 | 3 | 14:14 |
| გენტი | 17 | 10 | 0 | 7 | 48:34 | 30 | 5 | 0 | 3 | 24:16 | 5 | 0 | 4 | 24:18 |
| ბეერსხოტი | 17 | 9 | 3 | 5 | 30:24 | 30 | 8 | 0 | 0 | 22:7 | 1 | 3 | 5 | 8:17 |
| ვესტერლო | 17 | 8 | 4 | 5 | 38:36 | 28 | 6 | 2 | 1 | 26:17 | 2 | 2 | 4 | 12:19 |
| სტანდარდი | 17 | 8 | 2 | 7 | 28:31 | 26 | 5 | 1 | 2 | 13:9 | 3 | 1 | 5 | 15:22 |
| მუსკრონი | 17 | 7 | 4 | 6 | 34:26 | 25 | 4 | 2 | 1 | 15:7 | 3 | 2 | 5 | 19:19 |
| აალსტი | 17 | 7 | 2 | 8 | 32:30 | 23 | 4 | 0 | 5 | 15:17 | 3 | 2 | 3 | 17:13 |
| მეხელენი | 17 | 6 | 3 | 8 | 24:40 | 21 | 5 | 3 | 1 | 17:12 | 1 | 0 | 7 | 7:28 |
| ლოკერენი | 17 | 5 | 5 | 7 | 31:34 | 20 | 3 | 2 | 4 | 18:21 | 2 | 3 | 3 | 13:13 |
| შარლერუა | 17 | 4 | 5 | 8 | 20:29 | 17 | 3 | 1 | 4 | 10:13 | 1 | 4 | 4 | 10:16 |
| ბევერენი | 17 | 3 | 5 | 9 | 21:35 | 14 | 2 | 3 | 3 | 13:14 | 1 | 2 | 6 | 8:21 |
| სტ. ტრუიდენი | 17 | 3 | 5 | 9 | 18:37 | 14 | 3 | 3 | 3 | 11:17 | 0 | 2 | 6 | 7:20 |
| ჰარელბეკე | 17 | 3 | 4 | 10 | 26:34 | 13 | 2 | 3 | 4 | 17:17 | 1 | 1 | 6 | 9:17 |
| ლომელი | 17 | 1 | 8 | 8 | 14:32 | 11 | 1 | 5 | 2 | 7:9 | 0 | 3 | 6 | 7:23 |
| გეელი | 17 | 1 | 8 | 8 | 11:33 | 11 | 1 | 5 | 3 | 8:15 | 0 | 3 | 5 | 3:18 |

### შოტლანდია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 14 | 12 | 1 | 1 | 38:12 | 37 | 8 | 0 | 1 | 24:8 | 4 | 1 | 0 | 14:4 |
| სელტიკი | 16 | 12 | 0 | 4 | 48:14 | 36 | 5 | 0 | 1 | 23:2 | 7 | 0 | 3 | 25:12 |
| დანდი იუნ. | 17 | 9 | 3 | 5 | 23:22 | 30 | 6 | 1 | 2 | 12:8 | 3 | 2 | 3 | 11:14 |
| მოზერუელი | 16 | 7 | 6 | 3 | 27:25 | 27 | 3 | 2 | 2 | 15:15 | 4 | 4 | 1 | 12:10 |
| ჰიბერნიანი | 18 | 5 | 6 | 7 | 27:33 | 21 | 3 | 3 | 4 | 15:16 | 2 | 3 | 3 | 12:17 |
| ჰართსი | 16 | 5 | 5 | 6 | 26:24 | 20 | 3 | 3 | 2 | 15:10 | 2 | 2 | 4 | 11:14 |
| დანდი | 16 | 6 | 0 | 10 | 20:27 | 18 | 1 | 0 | 6 | 8:14 | 5 | 0 | 4 | 12:13 |
| სტ. ჯონსტონი | 16 | 4 | 4 | 8 | 15:21 | 16 | 1 | 3 | 4 | 7:11 | 3 | 1 | 4 | 8:10 |
| კილმარნოკი | 16 | 2 | 6 | 8 | 15:24 | 12 | 1 | 3 | 4 | 6:10 | 1 | 3 | 4 | 9:14 |
| აბერდინი | 17 | 2 | 3 | 12 | 17:54 | 9 | 1 | 2 | 6 | 9:28 | 1 | 1 | 6 | 8:26 |

### შვეიცარია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ გალენი | 22 | 13 | 6 | 3 | 42:25 | 45 | 9 | 2 | 0 | 25:10 | 4 | 4 | 3 | 17:15 |
| ბაზელი | 22 | 9 | 10 | 3 | 31:21 | 37 | 5 | 5 | 1 | 18:9 | 4 | 5 | 2 | 13:12 |
| ლოზანა | 22 | 9 | 9 | 4 | 35:25 | 36 | 6 | 2 | 3 | 18:11 | 3 | 7 | 1 | 17:14 |
| გრასჰოპერი | 22 | 9 | 7 | 6 | 40:25 | 34 | 7 | 4 | 0 | 26:8 | 2 | 3 | 6 | 14:17 |
| ივერდონი | 22 | 7 | 9 | 6 | 28:25 | 30 | 5 | 4 | 2 | 13:6 | 2 | 5 | 4 | 15:19 |
| ლუცერნი | 22 | 8 | 4 | 10 | 28:29 | 28 | 7 | 2 | 2 | 23:11 | 1 | 2 | 8 | 5:18 |
| სერვეტი | 22 | 8 | 4 | 10 | 32:36 | 28 | 5 | 3 | 3 | 17:14 | 3 | 1 | 7 | 15:22 |
| ციურიხი | 22 | 6 | 9 | 7 | 22:27 | 27 | 5 | 3 | 3 | 14:11 | 1 | 6 | 4 | 8:16 |
| ქსამაქსი | 22 | 6 | 8 | 8 | 32:34 | 26 | 4 | 4 | 3 | 18:14 | 2 | 4 | 5 | 14:20 |
| არაუ | 22 | 7 | 5 | 10 | 30:42 | 26 | 6 | 2 | 3 | 19:16 | 1 | 3 | 7 | 11:26 |
| ლუგანო | 22 | 5 | 6 | 11 | 27:34 | 21 | 3 | 6 | 2 | 18:16 | 2 | 0 | 9 | 9:18 |
| დელემონი | 22 | 4 | 5 | 13 | 24:48 | 17 | 3 | 4 | 4 | 16:20 | 1 | 1 | 9 | 8:28 |

# ზურაბ აზმაიფარაშვილი: ახალი ფედერაციის შექმნა უაზრობაა!

ქართულ ჭადრაკში დაპირისპირება გრძელდება — გუშინ, ქალთა პრესკონფერენციის მეორე დღეს, ჭადრაკის სასახლეში პრესკონფერენცია ფედერაციის პრეზიდენტმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა გამართა.

პრეზიდენტმა მოკლე შესავალ სიტყვაში აღნიშნა: თქვენთან შეხვედრა მეც გუშინ მინდოდა, მაგრამ შეგნებულად არ დავამთხვიე ის ქალების პრესკონფერენციას. მე საერთოდ არავის ვუშლი ხელს მუშაობაში. სხვათა შორის, ჟურნალისტებისგან გავიგე მათი განზრახვის შესახებ. რომ დავეპატიჟებინე ვინმეს, მათთანაც მივიდოდი. ყოველ შემთხვევაში, დღეს მე ტელევიზორის საშუალებით ყველა მოვიწვიე.

ეს იყო და აზმაიფარაშვილმა განვლილი სეზონის შესაფასებლად (უფრო სწორად, მიღწეული წარმატებების ჩა(მ)მათვლელად) სიტყვა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ დავით გურგენიძეს გადასცა. მან კი ძირითად ამბებამდე ჟურნალისტებს გვისაყვედურა, ჭადრაკისადმი სათანადო ყურადღებას არ იჩენთ, არც კი მეგონა, საქართველოში ამდენი ჟურნალისტი თუ წერდა ჭადრაკზეო. თავისი საყვედურის გასამართლებლად მან კონკრეტული ფაქტები მოიშველია, რასაც ელექტრონული მასმედიის ზოგიერთი წარმომადგენელი პრინციპულად არ დაეთანხმა, თუმცა საქმე შეკამათებამდე არ მისულა. ამის მერე გურგენიძემ ჩამოთვალა ის მედლები, რომლებიც ქართველმა მოჭადრაკეებმა (ორივე სქესისა და განურჩევლად ასაკისა) წლეულს მოიპოვეს, ისაუბრა საქართველოში ჩატარებულ დიდ ტურნირებზე, ფედერაციის მიერ გაწეულ სტრუქტურულ რეორგანიზაციაზე — რადგან ეკონომიკურად გვიჭირს, რეგიონალური ფედერაციები შევქმენითო და გამოსვლა ასეთი სიტყვებით დაასრულა — ყველა მხარეს ჭადრაკი წინა პლანზე გადმოაქვს. მხოლოდ საჭიროა აზრების შეჯერება.

ამის მერე სიტყვა კვლავ აზმაიფარაშვილს გადაეცა — შეიძლება ჩვენს მუშაობაში ხარვეზები იყოს, შეუმცდარი არავინაა, მაგრამ ამისთვის ხელი არ უნდა გვკრან. ფედერაცია პატარა ბავშვს მაგონებს, რომელიც სიარულს სწავლობს. თუ ამ დროს მას ხელს ვუბიძგებთ, დაშინდება და დიდხანს გავლას ვერ გაბედავს. ქართულ ჭადრაკს სითბო სჭირდება, როგორც შიგნით, ისე გარეთ. მერე პრეზიდენტმა კითხვებს გასცა პასუხი:

–მე ფედერაციის პრეზიდენტი ვარ და ამიტომ მის მუშაობას ვერ შევაფასებ. უმჯობესია ეს სხვებმა გააკეთონ.

–სიტუაცია ისედაც მძიმეა და არასწორი ინფორმაციებით მას უფრო ნუ დავამძიმებთ. ბათუმში, ევროპის გუნდურ ჩემპიონატში, საქართველოს პირველმა ნაკრებმა მეათე ადგილი დაიკავა. მესამე ნაკრები მეთორმეტეზე გავიდა. მეორე გუნდი, მგონი, მეჩვიდმეტე იყო. ასე რომ, არასწორია, თითქოს ჩვენი ხუთი გუნდიდან ათეულში ვერც ერთი მოხვდა. ისე, თუ ამ წარუმატებლობის მიზეზი მართლა ქართულ ჭადრაკში არსებული განხეთქილებაა, მეორე გუნდში ხომ მაინც იყო შესაშური ერთსულოვნება?

ცალკეულ დაფებზე იყო წარმატებები. ნინო ხურციძე პირველ დაფაზე მეორე ადგილზე გავიდა, ინგა ჭარხალაშვილი მესამეზე საუკეთესო იყო. პირველ დაფაზე, უძლიერეს მოჭადრაკეებთან ჭიდილში, საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა 16 წლის ბაადურ ჯობავამ.

– ჩემი თამაში ბოლო დღეს გამოირიცხა. ჯერ კიდევ თვითმფრინავში შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა გიისენმა 40-მდე შეკითხვა დამისვა ორგანიზაციულ საკითხებზე და მაშინ მივხვდი, რომ ჩემი თამაში შეუძლებელი იყო. მე დავდექი არჩევანის წინ — ან უნდა მეთამაშა, ან ტურნირი უნდა ჩაშლილიყო.

... ახალი ფედერაციის შექმნა ნონსენსია, რომელიც ქართულ ჭადრაკს კატასტროფამდე და ქაოსამდე მიიყვანს. კანონი ყველას რთავს ნებას, რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად შექმნას ახალი საზოგადოებრივი გაერთიანება. საქართველოში ათასობით მოჭადრაკეა. მათაც შეუძლიათ შექმნან ახალი ფედერაცია, თუ საამისო სურვილი გაუჩნდებათ, ან ვინმეზე განაწყენდებიან. ასე უამრავი ფედერაცია შეიძლება შეიქმნას, მაგრამ ამით რა გამოვა? ფიდე სცნობს ჩვენს ფედერაციას, აქვს ურთიერთობა და მისით კიდეც ამაყობს. მოჭადრაკე, რომელიც გავა ამ ფედერაციიდან, ავტომატურად ამოვარდება საერთაშორისო რეიტინგ-ლისტიდან. ამიტომ მინდა ვთხოვო ქალებს, ნუ აჩქარდებიან!

... შემიშვებენ თუ არა ამერიკელები თავიანთ ქვეყანაში, ეს მათი გადასაწყვეტია. ეს ოთხი ქალბატონი აცხადებს, რომ ამერიკის მხარემ პერსონა ნონ გრატად გამომაცხადა. მე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა მომცა ვიზა, რომელიც სთხოვს საიმიგრაციო სამსახურებს, არ შემიქმნან სავიზო პრობლემები. ასეთ დოკუმენტს ეს დეპარტამენტი იშვიათად იძლევა. მიკვირს, რატომ კეთდება აქცენტი იმაზე, რომ მაშინ ამ საკითხით (როცა ლას ვეგასის მსოფლიოს ჩემპიონატში სათამაშოდ ამერიკული მხარე ვიზას არ მაძლევდა) ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი დაინტერესდა. ისე, რატომ არ მაძლევდა ვიზას აშშ-ს საელჩო, ამის გასარკვევად თვად მივმართე, თუ არ ვცდები, გენერალურ პროკურორს. მიზეზი მეც ძალიან მაინტერესებს.

... ბათუმის ტურნირის დაწყებამდე ოთხი დღით ადრე ვიცოდი, რომ ზურაბ სტურუა აპირებდა თამაშს. ის რომ არ გამოვიდოდა, ეს მეც ბოლოს გავიგე. კონტრაქტები, რომლებიც ფედერაციამ მოჭადრაკეებთან გააფორმა, ბოლომდე ვერ შევასრულეთ, მაგრამ 80 პროცენტით მაინც შესრულდა. ყველა დამეთანხმება, ეს ცოტა არაა. სტურუასაც არ მიუღია ცოტა. თუ თამაშს მაინც არ აპირებდა, ეს ჩემთვის უნდა ეცნობებინა. ისე, ყველანი ზედმეტად ბავშვურად ხომ არ ვიქცევით?

— გუნდები ტურნირის დაწყების წინა დღეს არ დაკომპლექტებულა. უბრალოდ, მათ განიცადეს ცვლილებები, რაც იმან გამოიწვია, რომ თამაში იუარეს მაია ჩიბურდანიძემ და ზურაბ სტურუამ. რეალურად წარმოქმნილმა პრობლემებმა არც მე მომცა თამაშის საშუალება. კაპიტნებს დიდი ხნით ადრე ვირჩევთ. გუნდებსაც ისინი აკომპლექტებენ. ჩვენ კარგა ხნის წინ ნანა ალექსანდრიას ვთხოვეთ კაპიტნობა, მაგრამ უარი გვითხრა. მიმაჩნია, რომ ეს ფედერაციისგან განდგომაა.

... მეორე ნაკრების წევრები იდეალურ პირობებში, კერძო აპარტამენტებში ცხოვრობდნენ. მათნაირი პირობები არც ერთ გუნდს ჰქონია. მაგრამ შედეგი რომ ვერ აჩვენეს, შეიძლება ყველას გავუგო. სპორტია და ყველაფერი ხდება.

... მაია ჩიბურდანიძის საქციელზე კომენტარს არ გავაკეთებ. უმჯობესია, ამაზე მას დაეკითხოთ.

... მაიამ რომ თამაშზე უარი თქვა, ეს ჟურნალისტების დანაშაულიცაა. განაწყენებულია, საუკუნის საუკეთესო სპორტსმენთა გამოსავლენ რეფერენდუმში სამეულში რომ ვერ მოხვდა. ვფიქრობ, ამას ნამდვილად იმსახურებდა. მაია ის მოჭადრაკეა, რომელსაც შეუძლია, მეოცე საუკუნეში დაკარგული მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული დაგვიბრუნოს. ასე რომ მოხდეს, მაშინ რა ვქნათ? (რეპლიკა დარბაზიდან — იქნებ ნინო სალუქვაძემ სიდნეიში ორი ოქრო მოიპოვოს?) ან რატომ ჩაატარეთ ეს რეფერენდუმი ერთი წლით ადრე? შეიძლება ჩვენც მეტი ძალისხმევა უნდა გამოგვეჩინა, რათა მას ეთამაშა.

... სტიპენდიებს მე არც ვნიშნავ და არც ვხსნი. როცა გიორგი ყაჭეიშვილი უცხოეთში წავიდა, სტიპენდია მას დეპარტამენტმა მოუხსნა. ერთადერთი, ვინც საზღვარგარეთ გამოდის და სტიპენდიას მაინც იღებს, ნანა იოსელიანია. ეტყობა, მისი სახელი იმდენად დიდია, მოხსნას ვერ უბედავენ. აქვე ვაცხადებ, რომ მე სტიპენდიას არ ავიღებ და მას მომავალი თაობის აღზრდას მოვახმარ. რაც შეეხება ჩემს ბოსნიაში წასვლას, ამაზე ფედერაციები შეთანხმდნენ.

... ჩემს მეუღლეს ფედერაციასთან კავშირი არა აქვს. უბრალოდ, ის მეხმარებოდა შენობის კეთილმოწყობაში, დასუფთავებაში, მოწ[illegible]გებაში. რამდენჯერმე საიჯარო [illegible]ც გაგვიხერხა უცხოელებთა[illegible]ყო და ეს.

... რატომ ამბობ[illegible] მე ქართული ჭადრაკის ელიტა[illegible]პირისპირდება? ელიტაში ჩვენ ვაჟებიც გვყავნან და სხვა ქალებიც. მზად ვარ, მათთან დიალოგისთვის ამ დაპირისპირების მოსაწესრიგებლად, მხოლოდ პრეზიდენტის პოსტიდან. შეიძლება ფედერაციამ რაღაც შეცდომები კიდეც დაუშვა, რისთვისაც ბოდიშის მოხდაც შემიძლია.

... არ მიმაჩნია, რომ ეს უთანხმოება პოლიტიკასთან კავშირშია. სპორტის დეპარტამენტს თავისი პოზიცია უფრო მკვეთრად უნდა გამოეხატა. არ ვიცი ამ უთანხმოების კონკრეტული მიზეზი. ჭადრაკის სასახლეზე საუბარი ადრე იყო. ამით დაიწყო ყველაფერი. თუმცა ამ ქალბატონთაგან ისიც ითქვა, თუ მე გადავდგებოდი, ფედერაციის ბიუჯეტი 600 ათას ლარამდე გაიზრდებოდა.

*მურთაზ მჭედლიშვილი,* სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე — ფინანსთა სამინისტროსგან მხოლოდ ფულს ვითხოვთ, სხვას არაფერს. ის მაინც გვითხრან, გვაძლევენ, თუ არა. იქ, დაწყებული მინისტრიდან, დამთავრებული დამლაგებლით, ყველა ჩვენი უფროსია. ახლა საშვები შემოიღეს და 2 საათამდე შენობაში ვერავინ შევა. ჭადრაკი ელიტარულ სახეობებს მიეკუთვნება.

მაია ჩიბურდანიძეს ძირითადად ვეთანხმებით, მაგრამ მან ადრესატი შეარჩია შეცდომით — ამ განცხადებით ფინანსთა სამინისტროსთვის უნდა მიემართა და არა სპორტის დეპარტამენტისთვის. მას იმაშიც ვეთანხმებით, რომ სპორტსმენმა კუთვნილი უნდა მიიღოს. უბრალოდ, საპრეტენზიოდ ხელსაყრელი დრო არ შეარჩია. ბათუმში მას უნდა ეთამაშა. იქ რომ ჩავედი, აზმაიფარაშვილმა მითხრა, მაიამ დამირეკა, ჩამოსვლა მინდა, მაგრამ გზები ჩაკეტილია და ვერ ვახერხებო. არადა, მე იმ დღეს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ჩავედი ბათუმში. არ ვიცი, მას მაყურებლად უნდოდა ბათუმში ჩასვლა თუ მონაწილედ.

ალტერნატიულ ფედერაციებს რაც შეეხება, ისე არაა საქმე, როგორც აქ ითქვა. ფიდე სცნობს იმას, რომელსაც მხარს დაუჭერს დეპარტამენტი. ჩვენთან მართლაც შემოვიდა იმ ოთხი ქალბატონის განცხადება და ახლა ამ წინადადებას განვიხილავთ. დეპარტამენტი იმ ფედერაციას დაუჭერს მხარს, რომელიც უკეთეს პროგრამას წარმოადგენს. საბოლოო გადაწყვეტილებას 23 დეკემბერს მივიღებთ.

ჟურნალისტებს გთხოვთ, ნუ ამბობთ, რომ სპორტი კორუმპირებულია. ქართულ ჭადრაკში მიმდინარე მოვლენებს ნურც პოლიტიკას დაუკავშირებთ. ეს ყველას ძალიან გვაღელვებს.

*დავით გურგენიძე* — მე მართლაც წარვუდგინე ბათუმში აზმაიფარაშვილს განცხადება გადადგომის თაობაზე, მაგრამ ამას ვაპირებდი პირიენული მოსაზრების და არა მასთან დაპირისპირების გამო. ვიდრე ეს უსიამოვნო ამბები არ ჩაცხრება, წასვლაზე არ ვიფიქრებ.

ამით მეორე მოქმედება დასრულდა, მაგრამ მას გაგრძელება უეჭველად ექნება — ზუსტად ერთი კვირის მერე თავის გადაწყვეტილებას სპორტის დეპარტამენტი გამოაცხადებს.

**ირაკლი თავაძე**

## რეფერენდუმი

# საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამი კითხვა ლაურეატს

*1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.*
*2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?*
*3. ვის მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?*

**ნანა იოსელიანი**

**ჭადრაკი**

*დაიბადა 1962 წლის 12 თებერვალს თბილისში. სპორტის დამსახურებული ოსტატი. საერთაშორისო დიდოსტატი (1979) და ვაჟთა საერთაშორისო ოსტატი (1997). სსრკ ოთხგზის (1981, 82, 86, 87) ჩემპიონი, საჭადრაკო ოლიმპიადების 5 ოქროსა და 1 ბრინჯაოს მედლის მფლობელი. მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი (1988, 92)*



1. 1979 წელს რიო დე ჟანეიროში კარიერაში პირველად გამოვედი საზონათშორისო ტურნირში. ყველასთვის მოულოდნელად, 12 პარტია მოვიგე და პირველობა გავინაღდე. ეს იყო ჩემი პირველი დიდი გამარჯვება, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა, როგორც უპრეცედენტო ფაქტს. სიმართლე გითხრათ, ყველაფერი კარგად არცკი მახსოვს, გარდა იმისა, რომ ძალიან ბედნიერი ვიყავი. მერე ეს გამარჯვება ჩემს უფრო დიდ წარმატებებს დაედო საფუძვლად, ამიტომაც ყველაზე კარგად დამამახსოვრდა.

ყველაზე ცუდი მოგონება კი მაინც 1992 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში სიუ ჟუნთან გამართული მატჩია, რომელშიც ჩემთვის მოულოდნელად დავმარცხდი. მომზადებულიც ვიყავი, მაგრამ ასეთი წაგების მიზეზი ვერ ამიხსნია.

2. ქვეყნის ეკონომიკა უნდა გაძლიერდეს. მხოლოდ მაშინ შეიძლება დაფინანსდეს სპორტი. ვიდრე ეს პრობლემა არ გადაიჭრება, მანამდე არც სპორტს უწერია გაძლიერება. საქართველოში არსებული გაჭირვების კვალობაზე, როცა მოსახლეობა ხელფასს და, რაც ყველაზე გაუმართლებელია, პენსიას ვერ იღებს, კიდეც მეუხერხულება ამ თემაზე საუბარი, მაგრამ ყველაფერი ხომ არ უნდა ჩაკვდეს. მოვა დრო და ყოველივე ისევ აღდგება. დანგრეულის აშენება კი ძალიან ძნელია.

3. ვიქტორ სანეევი, გივი კარტოზია, ლევან თედიაშვილი
ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, ნინო სალუქვაძე



###### კრივი

# ტაისონი ფრენსისის წინააღმდეგ
## ოქროს ბიჭიც საჩხუბრად იწევს

**გადაწყდა:** მომავალი წლის 29 იანვარს მაიკ ტაისონი მანჩესტერის არენაზე იკრივებს და მისი მოწინააღმდეგე ბრიტანეთის და თანამეგობრობის ჩემპიონი, 35 წლის ჯულიუს ფრენსისი იქნება.

ცხრა წელიწადია ტაისონს ამერიკის გარეთ არ უჩხუბია და იმ ცხრა წლის წინათაც აბსოლუტური ჩემპიონობა ბასტერ დაგლასს გადაულოცა ტოკიოს რინგზე.

მაგრამ ამჯერად ტაისონის ბანაკი ფიქრობს, რომ საზღვარგარეთ ჩხუბი წაადგება მაიკის შერყეულ სიმშვიდეს და მას დიდი ბრძოლებისთვის ძალას შემატებს.

ტაისონ — ფრენსისის ორთაბრძოლის ბილეთების გაყიდვა უკვე ორშაბათს დაწყებულა და ამ სამ დღეში 21 ათასიდან სამი ათასიღა დარჩენილა გასაყიდი.

თავად ფრენსისს პრობლემა ჰქონია, ბრძოლის თარიღამდე ერთი კვირით ადრე თანამეგობრობის ჩემპიონის ტიტული უნდა დაეცვა, რაშიც 15 ათასი გირვანქა ერგებოდა, მაგრამ ახლა ამ შეხვედრის საკითხი მიჩუმათებულია.

თავად ფრენსისი კი დიდი ვერაფერი მოკრივეა. ბრიტანეთის ჩემპიონის ტიტული კი დაუცავს რამდენჯერმე, მაგრამ ევროპაში ყველა იქაურ გამორჩენილთან წაუგია. მისთვის თავპირი დაუმტვრევიათ ხორვატ ჟელკო მავროვიჩს, გერმანელ აქსელ შულცსა და უკრაინელ ვიტალი კლიჩკოს. ჯამში ფრენსისს 21 ბრძოლა მოუგია და 7 წაუგია. რაც მთავარია, ადრე სულაც არ ყოფილა მოკრივე, არამედ კიკბოქსერი და იატაკქვეშა ჩხუბებშიაც მონაწილეობდა თურმე. ათი წლის წინათ ციხეში მჯდარა, მაგრამ გამოსწორებულა და ახლა ინგლისის სკოლებში დაიარება, სადაც ბავშვებს ნარკოტიკებისა და ციხის უვარგისობაზე ესაუბრება.

REUTERS ლონდონიდან



ჯულიუს ფრენსისი მაიკ ტაისონის პლაკატთან ჩამომჯდარა და მომავალ ბრძოლაზე ფიქრობს

REUTERS ნიუ იორკიდან



დერელ კაული და ოსკარ დე ლა ჰოია

ფრენსისი ამბობს, რომ ჭუჭყიანი ბრძოლის ყველა ილეთი იცის და ტაისონს ყურზე არ აკბენინებს.

თითქოს ყველაფერი დაგეგმილია, მაგრამ ტაისონ — ფრენსისის შერკინებას მაინც აღგას ერთი შავი [illegible] ნის [illegible] რედ სამი დღის წინათ განაცხადა, [illegible] მეტიც [illegible] ბის პირველ პრესკონფერენციას, რომელიც განთქმულმა ბრიტმა პრომოუტერმა ფრენკ უორენმა გამართა.

ამასობაში კი რინგს უბრუნდება 26 წლის „ოქროს ბიჭი“ ოსკარ დე ლა ჰოია. ამერიკელთა საყვარელი მოკრივე და ოთხი წონის ოდინდელი ჩემპიონი, 26 თებერვალს იკრივებს „მედისონ სკვერ გარდენში“. მისი მეტოქე დერელ კაული იქნება.

მოგეხსენებათ, დე ლა ჰოია აღარ არის რაიმეს ჩემპიონი, თავისი ველტერის წონის ჩემპიონის საბჭოს (ვბკ) ქამარი მან პუერტორიკოელ ფელიქს ტრინიდადთან წააგო ამ შემოდგომაზე, მაგრამ კარიერაში პირველ მარცხს ოსკარი არ წაუხდენია. მეტიც, დარწმუნებულია, ტრინიდადთან მსაჯებმა დამჩაგრესო. 31 გამარჯვებითა და ერთადერთი მარცხით ის კვლავ რჩება უპირატესად გამორჩენილ ფიგურად დღევანდელ კრივში. თავის მხრივ არც კაულია ჯაბანი — 34 მოგება და 2 ფრე აქვს, კარიერაში კი ერთადერთხელ წაუგია, ისიც ოთხი წლის წინათ განთქმულ ობი კართან, ისიც მეტად საეჭვო ვითარებაში.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**

###### ჰოკეი

# პინგვინთუხუცესმა საქმე იცის

14 დეკემბერი

**ნიუ ჯერსი — ლოს ანჯელესი 7:1**

3:0 3:1 1:0

1:0 ლემიე 4'16 (8); 2:0 ელიაში 5'04 (2); 3:0 მაკეი 17'47 (10); 3:1 ოდეტი 28'08 (11); 4:1 მედვენი 32'19 (3); 5:1 პანდოლფო 33'68 (2); 6:1 არნოტი 38'02 (8); 7:1 ნემჩინოვი 57'35 (4)

**აილენდერსი — ედმონტონი 2:4**

0:2 1:2 1:0

0:1 გერინი 4'56 (5); 0:2 ფალუნი 12'22 (1); 1:2 ჩერკავსკი 26'46 (12); 1:3 გრირი 36'49 (4); 1:4 ნიინიმაა 39'12 (4); 2:4 ლინდგრენი 53'56 (5)

**პიტსბურგი — ბოსტონი 4:2**

1:0 1:1 2:1

1:0 სტრაკა 13'17 (3); 1:1 კარტერი 29'02 (10); 2:1 ტიტოვი 34'58 (9); 3:1 ბარნაბი 43'13 (3); 3:2 ანდრეიჩუკი 54'34 (6); 4:2 ჰრდინა 59'34 (2)

**ტამპა — ნეშვილი 4:4**

0:1 1:3 3:0 0:0

0:1 ჩელბერგი 13'52 (9); 0:2 ბერეჰოვსკი 23'02 (6); 0:3 რონინგი 28'07 (13); 0:4 ლეგვანდი 31'40 (6); 1:4 სილინჯერი 38'39 (8); 2:4 ლეკავალიე 44'33 (10); 3:4 სილინჯერი 48'59 (9); 4:4 გუოლა 53'52 (3)

**ბუფალო — ფილადელფია 3:1**

1:0 1:0 1:1

1:0 აფინოგენოვი 8'54 (8); 2:0 გროშეკი 39'21 (8); 2:1 რეკი 43'15 (14); 3:1 ვული 44'50 (2)

**სენტ ლუისი — კალგარი 1:1**

0:0 0:1 1:0 0:0

0:1 დომენიჩელი 31'02 (2); 1:1 პრონგერი 59'21 (4)

**სან ხოსე — ჩიკაგო 2:5**

0:3 1:0 1:2

0:1 ნიულანდერი 4'35 (8); 0:2 მაკეიბი 17'33 (2); 0:3 დიუმონი 17'45 (5); 1:3 ფრიზენი 23'39 (14); 1:4 კოლდერი 41'41 (1); 1:5 სალივანი 48'27 (4); 2:5 რიჩი 56'02 (4)

„ვინ თქვა, მცველის წინ წასვლა არ შეიძლებაო. ბიჭებს სულ ვეუბნები, კმარა უკუსრიალი, მეტოქის კარისკენ უნდა ისწრაფოდეთ-მეთქი“ — ეს სიტყვები პიტსბურგის ახალმა მწვრთნელმა ჰერბ ბრუქსმა პირველი ვარჯიშის მერე წარმოთქვა. თითქოსდა უმარტივესი პრინციპია და ნჰლ-ში მოასპარეზე ჰოკეისტებს ეს არ უნდა ესწავლებოდეთ, მაგრამ ფაქტია — ბრუქსის ხუთდღიანი მოღვაწეობისას პიტსბურგმა უკვე იმდენჯერ იმარჯვა, ამდენს წინა თავკაცის, კევინ კონსტანტინის ხელში სამი კვირის განმავლობაში თუ მოახერხებდა. ბოსტონთან გამარჯვება ზედიზედ მესამეა, სულ კი „პინგვინებმა“ ამ მატჩებში 11 გოლი გაიტანეს. შედეგი შედეგად, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი პიტსბურგელთა მომეტებული ძალისხმევა და თავგამოდება გახლავთ. თუ ადრე ისინი უმეტესწილად იარომირ იაგრის ხარჯზე გადიოდნენ ფონს, ახლა მთელი გუნდი თავგამოდებით იბრძვის. ბოსტონის ძლევაში ოთხივე სამეულმა შეიტანა წვლილი, იაგრის მარაგს კი მხოლოდ ერთი შედეგიანი პასი შეემატა. ისიც სათქმელია, რომ პიტსბურგმა სამივე შეხვედრა ძირითადი მეკარის, ოთხი მატჩით დისკვალიფიცირებული ტომ ბარასოს გარეშე მოიგო.

ნიუ ჯერსიში მწვრთნელი არ შეუცვლიათ, რადგან რობი ფტორეკმა წინანდელი შეცდომებისგან სწორი დასკვნები გამოიტანა. თუ ედმონტონთან წაგება პირველ პერიოდში „ეშმაკთა“ უნიათობამ და სამმა გაშვებულმა შაიბამ განაპირობა, ახლა ისინი თავიდანვე შეუდგნენ საქმეს და მეტოქეს ბოლომდე არ მოეშვნენ, საბოლოოდ კი სეზონში ყველაზე დიდი ანგარიშით მოიგეს. თუმცა ნიუჯერსელთა მეტოქე ლოს ანჯელესი იმით უნდა გავამართლოთ, რომ რამდენიმე წამყვანი მოთამაშის გარეშე ასპარეზობდა. სავსებით კმარა ლუკ რობიტაილისა და ზიგმუნდ პალფის დასახელება.

არანაკლებია ედმონტონელთა დანაკარგი. აილენდერსთან შეხვედრის მეორე პერიოდში გუნდის პლეიმეიკერ დუგ უეიტს ნეკნი გაუტყდა. მიუხედავად ამისა, „მენავთობეებმა“ მანამდე მოპოვებული სოლიდური უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვეს, აღარც მეკარე ტომი სალომ მისცა მეტოქეს ამის საშუალება. შვედმა ბოლო მესამედში მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა. აღსანიშნავია, რომ სალო შარშან სწორედ აილენდერსში თამაშობდა და ახლა ერთგვარად სამაგიერო გადაუხადა გუნდის გენერალურ მენეჯერ მაიკ მილბერის, რომელთან გართულებული ურთიერთობის გამოც დატოვა ნიუ იორკი.

ჯერ კიდევ შარშან ტამპას ასეთ გარდაქმნას ვინ წარმოიდგენდა. წლეულს კლუბი უიმედო მაჩანჩალას როლი ჰგავს, თანაც, მატჩების გადარჩენაც უსწავლია. ნეშვილთან შეხვედრაში, მიუხედავად იმისა, რომ უპირატესობას ფლობდნენ, „ელვები“ 0:4 აგებდნენ, მაგრამ ხელი არ ჩაუქნევიათ და მეტოქეს ქულას გამორჩნენ. ამის ხარჯზე მათი წაუგებელი სერია ოთხ თამაშამდე გაგრძელდა, რაც ტამპელებს ბოლო ორი წლის მანძილზე არ გაუკეთებიათ. ბოლო 21 წუთში 4-გოლიან გამორჩევას მაიკ სილინჯერმა უმცირესობაში გატანილი გოლით ჩაუყარა საფუძველი.

ძნელი დრო დაუდგა ფილადელფიას. როგორც კი გუნდმა სასტარტო კრიზისი დასძლია და მძლავრად ათამაშდა, გასაჭირი კვლავ მოეძალა — კლუბის მთავარ მწვრთნელ როჯერ ნეილსონს ძვლის კიბო აღმოაჩნდა და ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდება. მართალია, იგი ჯერჯერობით მხნედაა და პოსტის დატოვებას არ აპირებს, მაგრამ მისი დროებითი არყოფნა გუნდს უმალ დაეტყო. ნეილსონისა და მსუბუქად დაშავებული ერიკ ლინდროსის გარეშე „მფრინავებმა“ „ხმლებთან“ წააგეს.

მიუხედავად იმისა, რომ დარტყმებში ლამის სამმაგი უპირატესობა ჰქონდა (50-17), სენტ ლუისი კალგარისთან შეხვედრაში ქულით დაკმაყოფილდა. ისიც რის ვაი-ვაგლახით მოიპოვა — კრის პრონგერმა პიერ ტარჯონის ჩინებული პასის შემდეგ ბოლო წამებზეღა დალაშქრა დიდებულად მოთამაშე ბრეტ უეიტის კარი.

**სამველ ლარიბიანი**

### კვირის მოთამაშე
#### ოუენ ნოლანი (სან ხოსე)



**სან ხოსეს** ქომაგები ასე იმედიანად არასდროს ყოფილან. მათმა საყვარელმა გუნდმა სეზონი კარგად დაიწყო და, როგორც ჩანს, ასეც გააგრძელებს. კლუბის ერთბაშად სამი ფორვარდი ჩემპიონატის ბომბარდირთა ათეულში შედის. რაც მთავარია, „ზვიგენთა“ კაპიტანი და ლიდერი ოუენ ნოლანი თავისიანთა ჭეშმარიტი წინამძღოლია. მისი თავგამოდება სამაგალითოა. ოთხი-ხუთი წლის წინანდელის არ იყოს, ნოლანს გოლები ახლაც ხშირად გააქვს. სწორედ ამის გამოა, რომ ლიგის საუკეთესო ბომბარდირის, პიტსბურგელი იარომირ იაგრის ბატონობა საგრძნობლად შეირყა. ჯერ კიდევ წინა კვირაში სანხოსელი ჩეხს ჩამორჩებოდა, მაგრამ კონკურენტის შეფერხებით უმალ ისარგებლა და ზედიზედ ორი დუბლის წყალობით, სულ კი 22 გატანილი შაიბით მას დაეწია. 3 მატჩში დაგროვებული 6(4+2) ქულით ნოლანი კვირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, ახლა კი ამას კვირის საუკეთესო მოთამაშის ტიტულიც მიუმატა.

**საუკეთესო ექვსეული 6-12 დეკემბერი**

პატრიკ რუა (კოლორადო, 1); სანდის ოზოლინში (კოლორადო, 1) — ნიკლას ლიდსტრიომი (დეტროიტი, 2); ოუენ ნოლანი (სან ხოსე, 2) — ერიკ ლინდროსი (ფილადელფია, 2) — პაველ ბურე (ფლორიდა, 1)

###### ფიგურული სრიალი

# მურვანიძემ ისრაელში კარგად ისრიალა

გურამ ცაცანაშვილის ფოტო



ვახტანგ მურვანიძე

**ისრაელის** ჩრდილოეთით, ლიბან-ისრაელ-სირიის ურთიერთმოსაზღვრე სამკუთხედში პატარა ქალაქია, მეტულა. აქედან ლიბანის საზღვრამდე სულ რაღაც ხუთიოდე კილომეტრია, იქ კი ჰეზბოლასა და ჰამასის მებრძოლთა ბანაკებია განლაგებული. მათ ხშირად ბომბავს ისრაელის ავიაცია და საპასუხო დარტყმებსაც ყოველ წამს ელის. ვითარება საომარია,. თუმცა ეს სულაც არ უშლის ხელს ქალაქის ხელისუფლებას, შესანიშნავი სპორტული კომპლექსები იქონიოს და დიდ საერთაშორისო ტურნირებსაც უმასპინძლოს. აგერ, ახლაც იქ ქვეყნის თასის ღია გათამაშება გაიმართა ფიგურულ სრიალში. ამ ტურნირში თბილისელი ვახტანგ მურვანიძეც მონაწილეობდა, რომელსაც თბილისის საციგურაო სკოლის დირექტორი, საქართველოს ფიგურული სრიალის ფედერაციის გენერალური მდივანი ირაკლი ჯაფარიძე ახლდა. იმ ბაზის შემხედვარეს თავი ზღაპარში მეგონა, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ვყოფილვარ, მაგრამ მსგავსი საოცრება არსად მინახავსო, გაკვირვებას ვერ მალავდა ჯაფარიძე. ვინ იცის, იქნებ მას თავისი სკოლა ახსენდებოდა, ხან ფრეონი რომ გამოელევა, ხან მილი გაუსკდება და პატარებს ვარჯიში უფერხდებათ.

ახლა კი მთავარზე. წლეულს მეხუთედ გათამაშდა ისრაელის თასი, რომელშიც მურვანიძემ მეორედ იასპარეზა. ის თასის პირველ გათამაშებაშიც გამოვიდა. მაშინ მასპინძლებს ტურნირის რეკლამირება სურდათ და ყველას იღებდნენ, ვინც კი საამისო სურვილს გამოთქვამდა. ახლა კი ნურას უკაცრავად, მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის საუკეთესო ოცეულს პერსონალურად იწვევენ. თუმცა ამჯერად ტურნირში თხუთმეტმა სპორტსმენმა იასპარეზა. ამ კომპანიაში მურვანიძემ მეხუთე ადგილი დაიკავა და როგორც ჯაფარიძემ თქვა, სპეციალისტთა მოწონებაც დაიმსახურა, უფრო რთული ილეთები შეასრულა და მხატვრული მხარეც დახვეწა. გენერალურმა მდივანმა ეს ვახტანგის ახალი მწვრთნელის, ელენე ჩაიკოვსკაიას დამსახურებად მიიჩნია, რომელიც სხვა არაერთ გამორჩენილ სპორტსმენთან ერთად მსოფლიოს ამჟამინდელი ჩემპიონის მარია ბუტირსკაიას აღმზრდელიცაა. მურვანიძე ყველაზე ელეგანტურ მონაწილედაც დაასახელეს, მსგავსი პატივი მას შარშანაც ერგო ერთ-ერთ ტურნირზე.

ვახტანგი იქნებ უფრო მაღალ ადგილზეც გასულიყო, მოკლე სავალდებულო პროგრამაში რომ ეყოჩაღა. მურვანიძემ თავის შესაძლებლობებზე სუსტად იასპარეზა და მეთორმეტე ადგილი დაიკავა. სამაგიეროდ, ჩინებულად ისრიალა ნებისმიერი პროგრამით და სპეციალისტთა ყურადღებაც მაშინ მიიქცია. ახლა ის მოსკოვშია და იქ განაგრძობს ვარჯიშს ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელიც 6-13 თებერვალს ვენაში გაიმართება. ამ ტურნირისთვის ემზადება ალექსანდრ ჩისნიხისა და ევგენია ფილონენკოს სპორტული წყვილიც, რომელიც საქართველოს სახელით ისრიალებს. ისინი ნინა მოზერის მეთვალყურეობით იტალიაში გადიან შეკრებას და დეკემბრის მიწურულს იქაურ საერთაშორისო ტურნირშიც სცდიან ძალას.

ყაზანში კი სპორტული ცეკვების საქართველოს წყვილის ნათლობა შედგა. თორნიკე ტუკვაძემ და მისმა მოსკოველმა მეწყვილე ტატიანა სევიანერმა ახალგაზრდათა რუსეთის თასის გათამაშების III ეტაპზე საქართველოს სახელით იასპარეზეს და თხუთმეტ დუეტში მეთორმეტე ადგილი დაიკავეს. სპეციალისტები შედეგზე უფრო საყურადღებოდ დებიუტს მიიჩნევენ, რომელიც წარუმატებელი ნამდვილად არ ყოფილა. წყვილი მოსკოვშივე აგრძელებს ვარჯიშს მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობისთვის, გერმანულ ობერსდორფში 5-12 მარტს რომ გაიმართება. სავარაუდოდ, ამ ტურნირში გოგონათა ასპარეზობაშიც გვეყოლება მონაწილე. ყოველ შემთხვევაში, საამისოდ შეგულებული კანდიდატები — ნათია ბაქრაძე და ნინო აბაშიძე თბილისში ინტენსიურად ემზადებიან. მართალია, ცოტა ხნის წინ ბაქრაძემ ტრავმა მიიღო, მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა. ფედერაცია მათგან ერთ-ერთს შეარჩევს.

**ირაკლი თავაძე**

# ციდან ჩამოვარდნილი ანტიქრისტე

## საჰაერო ბურთით პირველი ქართველი ჰაერნაოსნის ვლადიმერ გარაყანიძისთვის მკლავი არ მოუჭრიათ, მაგრამ აღარც ბევრი დაუკლიათ, კარგი რატომ აგიგიაო



1927 წელი. ვლადიმერ გარაყანიძე თავისი საჰაერო ბურთის „გონდოლასთან“



1927 წელი. საჰაერო ბურთები მოსკოვის ცაში



1927 წელი. საჰაერო ბურთით ამ წითელარმიელთა მანევრებში გარაყანიძის ხელიც ურევია



1999 წელი. საჰაერო ბურთით პირველი წარმატებული გარსაქვეყნო მოგზაურობის დასასრული გვახსენებს ამ საქმის წინამორბედებსაც, რომელთა შორის გარაყანიძეც იყო

იმ შორეული 1927 წლის ზამთარს, ყინვა ძვალსა და რბილში რომ ატანდა, რუსეთში, ჩრდილოეთ დვინის გუბერნიის სოფელ პენომასთან აეროსტატი დაჯდა. იქიდან დიდი გაჭირვებით გადმოვიდა ჰაერნაოსანი, პირველ ქოხამდე ლასლასით მიაღწია, ბოლოს მუხლებში ძალაგამოცლილი თოვლზე დავარდა და გათოშილს უმალ ღრმად ჩაეძინა. ამ სანახაობით გულგახეთქილმა სოფლელებმა რაიონულ ცენტრს სიტყვასიტყვით ასე შეატყობინეს: „ციდან დაეშვა ანტიქრისტე, თავით ფეხამდე შავია“.

შარშან მოსკოვის ცაზე საჰაერო ბურთით მეც ვიფრინე. ბოლოს ერთ ეზოში, კალათბურთის მოედანზე დავეშვით. ბურთს ადევნებული ბავშვებით გაივსო მოედანი. ფანჯრებსაც მოწყდომოდნენ მოსკოველები. მთელი დუნიის ხალხი შემოგვესია. ისე გვიყურებდნენ, როგორც უცხოპლანეტელებს.

ახლა, წარმოიდგინეთ, იმ შორეულ ზამთარს რა დღეში ჩაცვივდებოდნენ პენომელები, ციდან მოვლენილი, თავით ფეხამდე შავი ანტიქრისტეს დანახვაზე.

ის შავი კაცი, სოფლელებს ანგელოზები რომ დაუფრთხო, გახლდათ ჩვენი თანამემამულე ვლადიმერ გარაყანიძე — საჰაერო ბურთით პირველი ქართველი ჰაერნაოსანი. და უბრალოდ ჰაერნაოსანი კი არა, არამედ მსოფლიოს რეკორდსმენი და უბრალოდ რეკორდსმენი კი არა, არამედ ავიაკონსტრუქტორი, მკვლევარი და „უშიშარი, ვითარცა უხორცო“ გამომცდელი.

ზეცაში პირველად ძმები მონგოლფიეების საჰაერო ბურთებით აიჭრნენ ფრანგები — მარკიზი პილატრ დე როზია და დარლანდი. ეს მოხდა 1783 წლის 12 ნოემბერს. მას შემდეგ კაცობრიობას 216 წელიწადი დასჭირდა, რათა ადამიანს საჰაერო ბურთით ძირსდაუშვებლად დედამიწისთვის შემოეფრინა. ეს მოხდა წლევანდელი ზამთრის მიწურულს, როცა შვეიცარიელმა ფსიქიატრმა ბერტრან პიკარმა და ბრიტანელმა სამხედრო მფრინავმა ბრაიან ჯოუნზმა გარსაქვეყნო მოგზაურობა წარმატებით გაასრულეს. მიზნის მიღწევაში მათ დაეხმარნენ წინამორბედნი, რომლებიც მთელი 216 წლის განმავლობაში საჰაერო ბურთებით ნაბიჯნაბიჯ ფრენის ხანგრძლივობის, სიშორისა და სიმაღლის მსოფლიოს რეკორდებს ამყარებდნენ.

ერთ-ერთი ასეთი წინამორბედი გახლდათ ვლადიმერ გარაყანიძეც. მაშინ, მანამ პენომელებს ციდან მოევლინებოდა, 15 საათზე მეტხანს იფრინა, რაც მცირეგაბარიტიანი აეროსტატით ფრენის ხანგრძლივობაში მსოფლიოს რეკორდი იყო. ამასთან, უკან მოიტოვა ათასი კილომეტრი, რაც ფრენის სიშორეშიც მსოფლიოს რეკორდი გახლდათ.

გარაყანიძემ მანამდე გაუგონარი ეს ოდისეა მოსკოვში დაიწყო. იმ დღეს თურმე ქარის მიმართულება კალეიდოსკოპის ფიგურებივით ნაირგვარად იცვლებოდა. მაგრამ გარაყანიძე მაინც აიჭრა ზეცაში. აიჭრა 1926 წელს მის მიერვე შექმნილ ჰაერნაოსნობის სკოლის მოსწავლეთა მიერ აგებული აეროსტატით. იმ სკოლას ასე ერქვა: „მოსკოვის გარაყანიძის სახელობის ჰაერსანაოსნო სკოლა“.

ის აეროსტატი, რა თქმა უნდა, ისეთი სულაც არ იყო, როგორებითაც დღეს დაფრინავენ, მაგრამ გარაყანიძის იდეით მაინც ისეთი გაკეთდა, რომ ამ საქმეში ყველა მოწინავე ქვეყანამ გაიზიარა ჩვენი თანამემამულის კონსტრუქცია. მეტიც — იმ კონსტრუქციას დღესაც კი იყენებენ. მაშინ კლასიკური ნიმუშების შესაბამის ბურთს თოკის ბადეში აქცევდნენ, მაგრამ ეს აეროსტატს ამძიმებდა და აწევის ძალასაც უმცირებდა. გარაყანიძის კონსტრუქციით კი ბურთს ყულფებიანი სარტყელი შემოავლეს და ზედ გონდოლა დაკიდეს. თუმცა, იმ საცდელი გაფრენისას გარაყანიძემ გონდოლაზე უარი თქვა, რაკი ბურთი პატარა, სულ 300 კუბური მეტრი იყო და ჰაერნაოსანთან ერთად გონდოლის თრევა მეტად გაუჭირდებოდა. ამიტომ გარაყანიძის მითითებით ბურთზე გონდოლის ნაცვლად დაფა დაკიდეს, რომელზეც ჰაერნაოსანი უნდა დამდგარიყო.

ფრენის მარშრუტი განსაზღვრული იყო. მოსკოვი — ლენინსკიე გორკი, სადაც „ავიაქიმიის“ I ყრილობის გახსნასთან დაკავშირებით საავიაციო დღესასწაული იმართებოდა. გარაყანიძე იქ მოსკოვიდან ზეიმის დასასრულს უნდა „გადამხტარიყო“, მის აეროსტატსაც ასე ერქვა — „მხტუნავი ბურთი“.

ასე იყო თუ ისე, გარაყანიძე აფრინდა და გაფრინდა, მაგრამ მალე ქარმა სულ სხვა მიმართულებით გააქანა — სადღაც ჩრდილო-დასავლეთით. შეეძლო დედამიწაზე დაშვებულიყო, მაგრამ მსუბუქად ჩაცმულმა, უკომპასოდ, ურუკებოდ, უალტიმეტროდ 36-გრადუსიან ყინვაში, შინელში თავჩარგულმა უგზოუკვლოდ ფრენა ამჯობინა. და იფრინა კიდეც იმ ფიცარზე, საქანელაზე ჩამომჯდარივით, აეროსტატის თოკებზე ჩაბღაუჭებულმა.

ვინც გარაყანიძეს იცნობდა, მისგან დანებებას არც არავინ ელოდა.

ჰოდა, მერე იყო დვინის გუბერნია, სოფელი პენომე, გულგახეთქილი ხალხი და ერთი გაფრენით ის ორი მსოფლიოს რეკორდი.

ვიღაცას უთქვამს, თუ გარაყანიძეს ეძებ, ცაში წადიო.

იმ ცაში ვლადიმერ გარაყანიძე პირველად 1912 წელს თბილისში აფრინდა, როცა სულ პატარა ბიჭი იყო. მაშინ მზესთან შესახვედრად პირველმა ქართველმა მფრინავმა ბესარიონ ქებურიამ აიყვანა თავისი პატარა, ფახფახა „ბლერიოთი“, რომელიც საფრანგეთში ლუი ბლერიოს საფრენოსნო სკოლაში ლუი ბლერიოსგანვე იყიდა.

იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთები ხშირად ბეჭდავდნენ კარიკატურებს, რომლებზეც გამოსახული იყო აეროპლანში მჯდომი მფრინავი, ზურგზე სიკვდილი რომ ჩაბღაუჭებოდა.

მაგრამ ასეთ საშინელებათა სურათებმა ჩვენი წერილის მთავარი გმირი როდი დააფრთხო — პირიქით, მომავალი გმირობისა და თავგადასავლების საღერღელი აუშალა.

საჰაერო ბურთით პირველად 1924 წელს აფრინდა. სწორედ მაშინ საავიაციო აკადემიაში დაიწყო მუშაობა, მაგრამ ცაში არ უშვებდნენ, უფლება არ გაქვს, რადგან სამხედრო არ ხარ და შენი ნათელი თავი აქ მიწაზე უფრო საჭიროაო. არადა, უკვე ფრენის ორგანიზატორიც და კონსტრუქტორიც.

ერთხელ, როცა აეროსტატი ასაფრენად მზად იყო, გარაყანიძემ მის „გონდოლაში“ დურთა თავი, ვითომ შესამოწმებლად და ზეცაში აიჭრა „შემთხვევით“. მოსკოვიდან სადღაც გაფრინდა, რამდენიმე საათის მერე კი დედაქალაქს უდეპეშა, ყველაფერი რიგზეაო.

თავნებობისთვის გარაყანიძე სასტიკი საყვედურით დასაჯეს და კიდევ ინსტრუქტორ-აერონავტის წოდებით.

ახლა გავიხსენოთ გარაყანიძის დამსახურებათა ნუსხიდან ზოგიერთი.

იმ პირველი გაფრენიდან მალე მან გამოსცადა კოტელნიკოვის პარაშუტი. იგი აეროსტატზე დაკიდებულ დაფაზე მდგომი 1000 მეტრამდე ადიოდა ცაში. იქიდან პარაშუტზე გამობმულ „გონდოლას“ აგდებდა, თავად კი ჰაერში დაკიდებულ, მოქანავე დაფაზე რჩებოდა. მერე, მეორე მსოფლიოს ომი რომ ატყდა და ფაშისტები საბჭოთა მაკორექტირებელ თუ მზვერავ ბურთებს აზიანებდნენ, მეომრები იქიდან პარაშუტიანი გონდოლებით მშვიდობიანად ბრუნდებოდნენ დედამიწაზე.

გარაყანიძე იყო პირველი პილოტი იმ თვითმფრინავისა, რომელიც დიდ აეროდინამიკურ მილში გამოსცადეს. მან ოზეროვთან ერთად იფრინა და მეცნიერული დაკვირვებები აწარმოა მზის დაბნელებისას ჰაერის მასების მოძრაობაზე. იმ დაკვირვებათა საფუძველზე მზის დაბნელებისას ფრენის საგანგებო ინსტრუქციებიც შეიმუშავეს.

1927 წელს, როცა გარაყანიძე ცენტრალურ ავიაჰიდროინსტიტუტში გადავიდა სამუშაოდ, თავისივე აგებული დირიჟაბლებითაც დაიწყო ფრენა. იქ მის მიერ შექმნილი პროექტით აშენდა ახალი, ნახევრად ხისტი ტიპის ოთხბაგირიანი დირიჟაბლი, რომლის კონსტრუქცია მთელს მსოფლიოში მანამდე არ არსებობდა. ამგვარი დირიჟაბლი, რომელსაც „სსრკ-1“ უწოდეს, „დირიჟაბლმშენის“ პირველი საჰაერო ხომალდი იყო.

1932 წლის 9 მაისს „სსრკ-1“ ლენინგრადის ცაში აიჭრა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა კაცმა გამოთქვა იდეა, შეიმუშავა მისი პროექტი, უხელმძღვანელა მშენებლობას, თავადვე აფრინდა თავისი ნახელავით და ფრენასაც თავადვე უმეთაურა.

გარაყანიძე იყო მთელ მსოფლიოში პირველი, ვინც დირიჟაბლი წყალზე დასვა, მგზავრებიც გადმოსვა, ტვირთი აიღო და კვლავ ცაში აიჭრა.

წარმოიდგინეთ, რას იზამდა ეს კაცი, „დირიჟაბლმშენს“ საკონსტრუქტორო ბიურო რომ ჰქონოდა. ამიტომ უამისოდ გარაყანიძე ეულად აპროექტებდა დირიჟაბლებს.

გარაყანიძის ბოლო მოდელის დირიჟაბლი „ვ-12“ 11 წლის განმავლობაში დაფრინავდა. იგი შეუცვლელი აღმოჩნდა მეორე მსოფლიო ომში, როცა მაკორექტირებელი აეროსტატებისთვის ფრონტის ხაზზე აირი მიჰქონდა, უკან კი დაჭრილები გადმოჰყავდა.

დირიჟაბლმშენებლობის საქმეში გარაყანიძის ღვაწლს, იდეებსა და პროექტებს დღემდე არ გასვლია ყავლი და არ დაუკარგავს მნიშვნელობა, რადგან ამგვარი ნესვისმაგვარი ბურთებით ფრენა ბოლო წლებში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, რაკილა იგი ყველაზე ეკონომიურ და უხიფათო ტრანსპორტად აღიარეს შორ მანძილებზე ტვირთის გადასატანად.

ცხადია, გარაყანიძეს დირიჟაბლმშენებლობის პერიოდში არც საჰაერო ბურთები და სტრატოსტატები მიუტოვებია.

1933 წელს აშენდა პირველი სტრატოსტატი „სსრკ-1“. მის სტარტიორად გარაყანიძე დანიშნეს. სტრატოსფეროს შესასწავლად „სსრკ-1“-მა სიმაღლის მსოფლიოს რეკორდი დაამყარა, როცა 19 კილომეტრზე აფრინდა, იქიდან კი მეტად მნიშვნელოვანი მასალა ჩამოიტანა სტრატოსფეროსა და კოსმოსური სხივების მეცნიერული კვლევისთვის.

ამ და სხვა დამსახურებებისთვის გარაყანიძე წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვეს.

მაგრამ როგორც ბევრ საქმეში და ბევრი პიროვნების მიმართ, საბჭოთა მთავრობამ გარაყანიძისადმიც დიდი დაუნახაობა და უმადურობა გამოიჩინა —, მას წოდება ჩამოართვეს, არმიიდან გააძევეს და საერთოდ მოსკოვიდანაც გაასახლეს.

და ეს ყველაფერი მოჰყვა სტრატოსტატ „სსრკ-2“-ს. მისი სტარტის დღეს შედედებული რძესავით სქელი ნისლი ჩამოწვა, სტრატოსტატის გარსი დანესტიანდა და დამძიმდა. გარაყანიძემ მისი აფრენის ბრძანება არ გასცა, ამიტომ იქ, ზემოთ, ზემდგომმა „ამხანაგებმა“ გააფრინეს — იგი სტარტის მეთაურობას ჩამოაშორეს და სხვა დანიშნეს. ცხადია, ის სტრატოსტატი ვერ აფრინდა.

ესეც გარაყანიძეს დაბრალდა.

მაგრამ ვლადიმერ გარაყანიძეს დამფასებლები, კეთილმოსურნენიც მრავლად ჰყავდა, მათ შორის მისი მოსწავლე, შემდგომში რაკეტმშენებლობაში და კოსმონავტიკაში სახელგანთქმული სწავლული და კონსტრუქტორი სერგეი კოროლიოვი, რომელიც გარაყანიძეს ალმერთებდა.

ვლადიმერ გარაყანიძეს საფლავზე, მოსკოვის ოლქის ჟუკოვსკის სასაფლაოზე, ცენტრალური ავიაჰიდროინსტიტუტის მუშებმა საკუთარი ხარჯებით გრანიტის ძეგლი დაუდგეს და ზედ რუსულ-ქართული წარწერაც გაუკეთეს.

სამწუხაროდ, გარაყანიძეს თანამემამულეთაგან მიმდევარნი ვერ გამოუჩნდნენ. ან როგორ გამოუჩნდებოდნენ ამ გაღლეტილ ქართველებს, როცა საჰაერო ბურთებით მილიონერები დაფრინავენ, თანაც სპონსორთა შემწეობით.

არადა, როგორც ვნახეთ, ერთ დროს ჰაერნაოსანთა მსოფლიოს ფერხულში მოწინავე პოზიციებზე ვიყავით.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

# 11 ტური

## საუკეთესო მოთამაშე

### გოჩა წოწელია -თსუ-

*„მაკაბისთან“ შეხვედრის პირველი ნახევარი თსუ-ს კარგს არაფერს უქადდა — სტუდენტებმა იგი თერთმეტი ქულის სხვაობით (30:41) დათმეს. შეცვლაზე შესულმა თსუ-ს ლიდერმა გოჩა წოწელიამ კი თამაშის ბედი შეატრიალა — ჯერ ანგარიშის გათანაბრების დროს ივაჟკაცა, შემდეგ კი თავისიანების გამარჯვებაშიც ლომის წილი დაიდო.*

**— გოჩა, პრესასთან ურთიერთობა ხშირად გიწევთ?**

— არა, „სარბიელი“ პირველი გაზეთია, რომელიც ჩემით დაინტერესდა.

**— არც ტელევიზიასთან ან რადიოსთან გქონიათ ურთიერთობა?**

— თქვენ პირველი ჟურნალისტი ბრძანდებით, ვისაც ინტერვიუს ვაძლევ.

**— ხომ არ ნერვიულობთ?**

— რა მაქვს სანერვიულო, ბავშვი აღარ ვარ და თანაც ტურის საუკეთესო კალათბურთელად მასახელებთ.

**— რადგან პირველად გიწევთ ინტერვიუს მიცემა, მაშინ თქვენი ბიოგრაფიით დავიწყოთ.**

— დავიბადე სამტრედიის რაიონში 1977 წლის 15 სექტემბერს. ერთი წლისაც არ ვყოფილვარ, როდესაც ჩვენი ოჯახი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. წლეულს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი. რვა წლისამ დავიწყე ვარჯიში „დინამოში“ გურამ მეგრელიძის ხელმძღვანელობით. 1994 წელს ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ამის შემდეგ ვთამაშობ თსუ-ში.

**— ვახტანგ და გიგი ნაცვლიშვილები, ირაკლი ხოშტარია, ვახტანგ მინაშვილი, ლევან მგალობლიშვილი და თქვენ წარმოშობით სამტრედიელები ბრძანდებით, თანაც თითქმის ერთი თაობის. როდესაც თქვენ ბურთის ტარებას სწავლობდით, ქართული კალათბურთის ამომავალ ვარსკვლავად ითვლებოდა ასევე სამტრედიელი კახაბერ შენგელია. კახას დამსახურება ხომ არ არის, რომ თქვენი თაობა კალათბურთით დაინტერესდა?**

— მე არ ვიცი, ვისი დამსახურებაა, მაგრამ კალათბურთი სამტრედიაში ახლაც ძალიან პოპულარულია. რაც შეეხება კალათბურთით ჩემს დაინტერესებას, ამას დედაჩემს უნდა ვუმადლოდე. მამაჩემი, როლანდ წოწელია, ფეხბურთელი იყო და სამტრედიის „ლოკომოტივში“ თამაშობდა მეკარედ. თავის მემკვიდრედ მან ჩემი უფროსი ძმა აირჩია, რომელიც ერთი პერიოდი „დინამოში“ ვარჯიშობდა, მაგრამ ტრავმების გამო მამასავით ადრე მოუწია სპორტიდან წასვლა. ახლა მთელი ოჯახი ჩემი გულშემატკივარია.



**— რადგან მუხლის სახვევით თამაშობთ, ტრავმებისაგან არც თქვენ უნდა იყოთ დაზღვეული.**

— სერიოზული არაფერია, სახვევის გარეშეც შემიძლია მოედანზე გასვლა, მაგრამ თავს ასე უფრო კარგად ვგრძნობ. შეიძლება ითქვას, ტრავმა არც მიმიღია, გაყინულ დარბაზში ვარჯიშის შემდეგ მუხლის არეში ვიგრძენი ტკივილი და სასურველია, თამაშის დროს მუხლი თბილად მქონდეს.

**— თქვენ ამბობთ, რომ 1994 წლიდან თსუ-ში თამაშობთ. ერთი წელი რომ „შევარდენში“ გაატარეთ, იმის შესახებ არაფერი გითქვამთ.**

— მაშინ თსუ-მ გადაწყვიტა, სტუდენტურ ლიგაში ეთამაშა. მე სტუდენტურ ლიგაში გამოსვლა ხელს არ მაძლევდა და ერთი წელი, სანამ თსუ კვლავ უმაღლეს ლიგას დაუბრუნდებოდა, გუნდის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, „შევარდენში“ გავატარე.

**— „მაკაბისთან“ შეხვედრაზე რას გვეტყვით, გუნდის ლიდერი სასტარტო ხუთეულში რატომ არ დაგაყენეს?**

— მატჩის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე ჩემთან მოვიდა მთავარი მწვრთნელი ნოდარ ქორქია და მითხრა, მეტოქე ორი ცენტრით (ფერიაშვილი, ნოზაძე) აპირებს ითამაშოს და გადავწყვიტეთ ჩვენც ორი ცენტრით (ბერუაშვილი, არსიაშვილი) დავუპირისპირდეთ, შენ შეცვლაზე ითამაშეო. ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, როდის ჩავერთვები მატჩში, მთავარია, ვითამაშო.

**— როგორ ფიქრობთ, ეს თქვენი საუკეთესო მატჩი იყო?**

— საკუთარი თამაშით არასოდეს ვყოფილვარ კმაყოფილი და ვერც თანაგუნდელებს შევაქებ, გამარჯვება აღარ უნდა გაგვჭირვებოდა.

**— თქვენი აზრით, რატომ დათმო თსუ-მ მოპოვებული უპირატესობა?**

— შარშან, სტუ-სთან დიდი ანგარიშით გამარჯვების შემდეგ გუნდი ზედმეტი თვითდაჯერებით თამაშობს. მოიპოვებს თუ არა უპირატესობას, საქმეს დამთავრებულად თვლის და პოზიციებს თმობს. შემდეგ კი დანაკარგის ასანაზღაურებლად გაცილებით მეტი შრომა გვიწევს. ჯერჯერობით ვერა და ვერ დავძლიეთ ეს პრობლემა.

**— იქნებ ამის ბრალიცაა, თსუ-ს წლეულს ექვსეულში [illegible] რომ უჭირს?**

— თსუ-ს შიდა[illegible] ზურაბ [illegible] ოდისეი დიმიტრიადის და [illegible] ხულაშვილის წასვლა მიმაჩნია. ვერც ლევან მგალობლიშვილი ვარჯიშობდა მთელი დატვირთვით, მან რამდენიმე თვის წინ ოჯახი შექმნა. ახალწვეულებიდან გუნდს კარგად შეეწყო ჭაბუკთა ნაკრების წევრი შიო ხეცურიანი, ახალგაზრდა ცენტრ ზურაბ სანიკიძეს კი ჯერჯერობით გამოცდილება აკლია.

**— პირველი წრის შემდეგ თსუ-ში ცვლილებები ხომ არ არის მოსალოდნელი?**

— წასვლას არავინ აპირებს, დამატებით კი დინამოელი ცენტრი კახა აბულაძე შემოგვიერთდა.

**— გუნდი რა მიზნებს ისახავს მიმდინარე ჩემპიონატში?**

— პროგრამა-მინიმუმი ექვსეულში მოხვედრაა და შემდეგ ვნახოთ.

**— თქვენ მეტად ორიგინალურად ისვრით სამქულიანს, მკერდიდან, ორივე ხელი თანაბრად მონაწილეობს... ეს თქვენი თანდაყოლილი თვისებაა, თუ ვარჯიშის დროს გამოიმუშავეთ?**

— პატარა რომ ვიყავი, ჩემმა ძმამ დიდი ბურთი მიყიდა, ვერ ვერეოდი და ორივე ხელით ვესროდი, ეს ჩვევაც მაშინ გამომიმუშავდა.

**— არ გიცდიათ, ბურთი მარჯვენა, ან მარცხენა ხელით გესროლათ?**

— საშუალო მანძილიდან მარჯვენა ხელით ვისვრი, შორიდან კი ორი ხელით სროლა მირჩევნია, ასე უფრო კარგად გამომდის.

რ0ლანდ ლაგუჩიძე

# ახალ წლამდე ახალიც ვნახეთ

ᲒᲐᲡᲣᲚ უქმეებზე მეცხრე საკალათბურთო ჩემპიონატის პირველი წრე გასრულდა. ახლა, ცოტას მოისვენებს ქართული კალათბურთი, მოიახალწლებენ გუნდებიც და ჩვენში მიღებული შობის დღესასწაულიც რომ გადაივლის, მერედა განახლდება პირველობა.

აქამდე ნანახი და განცდილი კი, ცხადია, დიდ ემოციებს არ უნდა იწვევდეს. წინამორბედთაგან არც მეცხრე ეროვნული განსხვავდება დიდად. ისევ ძველებურად თამაშობენ ჩვენში კალათბურთს, მოსაწონი და დასაიმედებელიც იშვიათად თუ გამოკრთება-ხოლმე.

თუმცა არა, არის რაღაც პროგრესი, წინ გადადგმული ნაბიჯი, მაგალითი გნებავთ? კი ბატონო: პირველი წრე ისე გაილია, რომ თამაში არ ჩაშლილა, არ გადადებულა. ქვეყანაში გამეფებულმა ენერგოკრიზისმაც პატივი სცა ჩვენს კალათბურთს, ბოლოს დაათბუნეს კიდეც ვერის ბაღის კედლები, თქვენ ოღონდ ითამაშეთო...

რაღაც ხელი დაეტყო, თითქოს ყველაფერი უფრო ორგანიზებულიც გახდა, ოღონდ, ცხადია, იდეალურს ვერ ვუწოდებთ, იქამდე ჯერ კიდევ ბევრი გვიკლია.

უნდა ვაღიაროთ, რომ წლევანდელი ჩემპიონატის ყველაზე სასიამოვნო მოვლენა დედაქალაქისგან მოშორებით, კერძოდ, ბათუმში დაფიქსირდა, სადაც უნარიანმა ხალხმა მინავლებული საკალათბურთო კერაააგიზგიზა. მოინდომეს ბათუმელებმა, კალათბურთი გაიხსენეს, ჯერ დარბაზზე იზრუნეს და თავიანთ ქალაქში თანამედროვე ტიპის სარბიელიც გააკეთეს, მერე მოთამაშეებზე დაიწყეს ფიქრი, მიდგნენ, მოდგნენ, თბილისიდან მიიწვიეს კალათბურთელები, დააბინავეს, საცხოვრებლად თუ სავარჯიშოდ კარგი პირობები შეუქმნეს და მეტიც რაღაა საჭირო ნორმალური გუნდის შესაქმნელად. „ბასკო“ კი მართლაც რომ ჩინებული გუნდია, ისეთი, სადებიუტო სეზონშივე მხოლოდ პირველობისთვის რომ იბრძოლებს. ჩემპიონატისთვის კია ეს კლუბი ახალბედა, მაგრამ ბასკოელ მოთამაშეებზე ვერაფრით იტყვი, გამოუცდელნი არიანო. თითქმის ყველა მათგანი ყოფილ გუნდებშიც წამყვან ფუნქციებს ასრულებდა, აბრამიძე და დავითულიანი განსაზღვრავდნენ შვიდგზის ჩემპიონ „ვითას“ უკანა ხაზის თამაშს, კილაძე „დინამოს“ ძირითადი ცენტრი გახლდათ, მაისურაძე ამავე კლუბის გამთამაშებელი, ესტონეთიდან დაბრუნებული ქარაბაკიც „ბასკომ“ გადაიბირა, ისევე როგორც გასულ წელს რუსულ „ურალ გრეიტში“ მყოფი ბეჟანიშვილი. ამას დაუმატეთ გამოცდილი მწვრთნელები. „ბასკოში“ მწვრთნელთა კორპუსშიც სრული ჰარმონიაა, მეორე წრიდან ამ კლუბს ზურაბ ტომარაძე გაუძღვება, „ვითას“ წარმატებების შემოქმედი და სულისჩამდგმელი. მას ვალერი ალთაბაევი და გარი არინინი მიეხმარებიან, რომელთაც დღემდე დაუმარცხებლად მოიყვანეს „ბასკო“, ჯერ არ უწვნევია ამ კლუბს მარცხის სიმწარე.

ერთ კარგ საქმესაც ჩაეყარა წლეულს საფუძველი, გორელებმაც აალაპარაკეს საკალათბურთო საქართველო, ამ ქალაქშიც შეიქმნა გუნდი და ფედერაციამაც დიდსულოვნად გაუღო უმაღლესი ლიგის კარი მოწადინებულ ქართლელებს. მართალია, „გორი“ არ გახლავთ ისეთი მრისხანე და ამბიციური გუნდი, როგორიც გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი „ბასკოა“, მაგრამ ერთი ხელის დაკვრით ვის რა გაუკეთებია? ახლა მთავარია, გული არ აიცრუონ გორელებმა კალათბურთზე, ბოლომდე მიყვნენ დაწყებულ საქმეს და როდესმე იქნებ გორის ვაშლივით, გორულმა კალათბურთმაც სახელი გაითქვას. ისე, მათ ახლავე აქვთ თავის მოსაწონი, ვინ ვინ და „ვითას“ მძლეველის სახელი კიდევ კარგა ხანს გაჰყვება ამ გუნდს. მერედა რა დღეში ჩააგდო „გორმა“ გამარჯვებაში დარწმუნებული ჩემპიონი, არც მეტი, არც ნაკლები, ოცდათორმეტი ქულით მოუგო. პირველი წრის უმთავრესი სენსაციაც ეს იყო, აბა, ამას ვინ წარმოიდგენდა...

სხვათა შორის, ერთი წარმოუდგენელი ამბავიც მოხდა განვლილ თერთმეტ ტურში და ნაწილობრივ ესეც „ვითას“ უკავშირდება. სენსაციის და იქნებ მსოფლიოს რეკორდის ავტორი კი „მაკაბი“ გახდა, რომელმაც მესამე ტურში მოუგო „ვითას“. ამ საქმის მთელი ორიგინალურობა კი იმაში მდგომარეობს, რომ ორი ტაიმის მანძილზე მაკაბელთა მწვრთნელებს მოთამაშე არ გამოუცვლიათ. შეუცვლელად ითამაშა ხუთმა კაცმა ორმოც წუთს და თვით „ვითა“ გააკრეს ბეჭზე.

რატომღაც ისე გამოვიდა, რომ ქვეყნის პირველი გუნდი ორჯერვე უარყოფით კონტექსტში მოვიხსენიეთ. არადა, „ვითა“ ნაღდად არ არის ამის ღირსი. ბარაქალა ვითელებს, კიდევ ბევრი შესძლებიათ. ძველ დროშიც ამ კლუბს მესამე ადგილოსნობა პასივში ჩაეწერებოდა, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ შარშანდელი შემადგენლობიდან „ვითას“ მხოლოდ ხუთი კაცილა შემორჩა, სხვაგვარად ვიფიქრებთ. თუნდაც „აზოტის“ დამარცხება რად ღირს, უშუალო კონკურენტებთანაც ყველა შეხვედრა მოიგეს ვითელებმა. ერთადერთი „ბასკოს“ დანებდნენ ბათუმში, აჭარული გუნდის ძლევა კი არ არის სახუმარო საქმე, დღემდე ეს ვერავის მოუხერხებია და ვერც „ვითამ“ გამოიდო თავი, სხვა მხრივ კარგად ართმევს თავს დაკისრებულ ფუნქციებს „ვითას“ მთავარ მწვრთნელად ნაკურთხი გელა წულაძე. გუნდს აქვს საკუთარი, გამორჩეული ხელწერა და ჩემპიონური შემართება. ოთხეულში მოხვედრა „ვითას“ წესით არ უნდა გაუჭირდეს. დანარჩენს კი დრო გამოაჩენს.

ვერ გეტყვით, რა მიზეზით, მაგრამ ლეგიონერები რომ ნელ-ნელა გვიბრუნდებიან, ფაქტია. მოიზიდა ჩვენმა კალათბურთმა უცხოეთში თამაშს ნაჩვევი ქართველები. ისრაელიდან დაბრუნებულმა რევაზ ჩხეიძემაც რუსთავის „აზოტში“ ამოყო თავი. საერთოდაც, შემადგენლობის მიხედვით „აზოტი“ ერთ-ერთი უძლიერესია ჩვენში, ჩემპიონობის ფავორიტადაც სწორედ ეს გუნდი განიხილება „ბასკოსთან“ ერთად, მაგრამ ვერ აჩვენებენ რუსთაველები ისეთ თამაშს, როგორსაც მათგან ვართ ჩვეულნი. „ვითასთან“ წაგებაზე რომ არაფერი ვთქვათ, შინაურ კედლებში „ბასკოსთან“ წაფორხილებით ქომაგები ნაღდად გააწბილეს. ისე, ეს ყველაზე ღირებული და თვალსასეირო დუელი გამოდგა. თამაში თამაშად ვარგოდა და პირველი წრის ერთადერთი ოვერტაიმიც მაშინ დაინიშნა, ძირითადმა დრომ ვერ გამოავლინა ძლიერი. ვიცე-ჩემპიონები ახლა სწორედ „ბასკოს“ ჩასდგომიან კვალში — მეორე ადგილზე არიან. მათი მიზანი კი, თქმაც არ უნდა, მხოლოდ ჩემპიონობა იქნება, წლეულს მესამედ გაილაშქრებს „აზოტი“ ნანატრ ოქროს მედლებზე, ზედიზედ ორჯერ ფინალში ხელმოცარულებს ახლა გამოცდილებაც მეტი დაჰგროვებიათ. ფინალამდე კი, ალბათ, ამჯერადაც მიაღწევს ოთარ ხმელიძის გუნდი, პირველი წრის გადასახედიდან ასე ჩანს.

არავისზე ნაკლები არ გახლავთ ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი, ლოგიკურია სტუ-ს მეოთხე ადგილოსნობაც, მაგრამ რატომღაც ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ბოლომდე ვერ ამჟღავნებს პოტენციას ნუგზარ ჭეიშვილის გუნდი. კალათბურთელები რიგიანი ჰყავს მწვრთნელს, არჩევანიც დიდი აქვს, მაგრამ... მაინც აკლია რაღაც ამ კლუბს.

დროის ამბავია, ასე თუ ისე ახალდაკომპლექტებული ჰქვია სტუ-ს, ნელნელა შეთამაშდებიან ბიჭები, ბოლოს და ბოლოს ტარვმირებული ზურაბ ჩუბინიძეც გამოჯანმრთელდება, მწვრთნელებიც საბოლოო სახეს მისცემენ ნაფიქრ-ნააზრევს და ზოგიც მერე ვნახოთ. ისე კი, ყველასთან ტოლ-სწორად ჭიდილი ძალუძს სტუ-ს. „ვითას“ მსგავსად მხოლოდ სამჯერ დამარცხდა პირველ წრეში ეს გუნდი, ქულებიც „ვითას“ ტოლი დააგროვა და ოთხეულის ღირსეულ წევრადაც ითვლება.

წლეულს ყველაზე მეტად ალბათ მაინც „დინამომ“ იზარალა. სეზონის წინ გუნდი მთავარმა მწვრთნელმა, ლევან მოსეშვილმა და რიგმა წამყვანმა კალათბურთელებმა დატოვეს. ქართული კალათბურთის ექსფლაგმანიც თავისთვის შეუფერებელ, მერვე ადგილზე დაეშვა. ძალიან გაუჭირდება გაახალგაზრდავებულ „დინამოს“ ექვსეულში მოხვედრა, ეგ კი არა, კლუბის თავკაცებმა რაიმე თუ არ იღონეს, არც ის არის გამორიცხული, გუნდი კიდევ უფრო დაქვეითდეს. არადა, „დინამოა“ ბოლოს და ბოლოს, ჩვენი კალათბურთის ოდინდელი სიამაყე, ნაღდად არ გვემეტება ეს გუნდი საამისოდ.

ექვსეულში მოსახვედრად კი, ალბათ, სამ გუნდს შორის უნდა ველოდეთ ბრძოლას. სასურველ ადგილებზე მოკალათებული სდასუ და თსუ კი არიან ახლა მშვიდად, მაგრამ ელიტაში სათამაშოდაა დაგეშილი „მაკაბიც“ და მეორე წრეში ყველა ღონეს იხმარს ამისთის. თავის მხრივ „მაკაბი“ ადრინდელზე უკეთ გამოიყურება, ეგ არის, სათადარიგოები არ ჰყავს სრულფასოვანი, რაც ამ გუნდს უკან სწევს.

ქართულ ჯარში საშემოდგომო გაწვევებმა არმიულ კლუბს მნიშვნელოვნად უცვალა ნირი. ასკ წვევამდელებით გაივსო, სავალდებულო სამსახურმოხდილები კი სხვა გზას დაადგნენ. ამ მიდი-მოდიმ რაც ასკ-ს დამართა, სახეზეა, ერთადერთხელ მოიგო ჯარისკაცთა გუნდმა, ისიც თავისზე წყალწაღებულ სსუ-სთან, „კოლხას“ სახელით რომ იყო ჩვენში ცნობილი.

სოხუმელებმაც სულგრძელად ანიავეს პირველ წრეში ქულები. თამაში რაა, ისიც არ მოუგია ამ გუნდს. რა ქნას მათმა მწვრთნელმა ვაჟა კვარაცხელიამაც, მოთამაშე აღარ დარჩა, ბუბა ბერიშვილი კი ქრისტე ღმერთი არაა, მარტომ სასწაულები მოახდინოს.

„შევარდენიც“ თავისას ეცდება მეორე წრეში. ამჟამინდელი მეცხრე ადგილი საავიაციო ქარხნელებისთვის ვერაფერი ნუგეშია, მეტი სურს გივი კოშკელოვის გუნდს, სხვების არ იყოს, „შევარდენსაც“ ექვსეულისკენ უჭირავს თვალი და რაც გამოუვა, ამასაც ვნახავთ.

დროა, ცოტა თემას გადავუხვიოთ და ის საკრივო ეპიზოდებიც გავიხსენოთ ვერისბაღურ სარბიელზე რომ შედგა. უამისოდ აბა, როგორ იქნებოდა ჩვენი კალათბურთი, მუშტი-კრივი რახანია ტრადიციად ქცეულა და ქართველი რას ქართველია, წესს თუ გადაუხვევს. ერთხელ არმიელი ზუბიაშვილი და სდასუელი ჩხეიძე შეიბნენ და გვარიანადაც იჩხუბეს. პირველ წრეს კი გორისა და ასკ-ს გუნდურმა ლაკადაკამ დაადგა გვირგვინი. ბუნტის თავებმა, ლაცაბიძემ და მანველიშვილმა თანაგუნდელებიც აიყოლიეს და თამაშზე არანაკლები ენერგია ჩააქსოვეს ბიჭებმა ერთმანეთის ცემაში.

მსაჯობამაც თავისი წილი დაიდო. თუ რამ ცოდნა ჰქონდათ, არბიტრებმა უსაყვედუროდ ჩადეს ქართული კალათბურთის სამსახურში. მსაჯი ისეთი ფიგურაა, რომ რაც არ უნდა კარგი იყოს, მასზე ყოველთვის ნაწყენია ყველა (მით უმეტეს, ჩვენში), მაგრამ უმაგათოდ რომ არაფერი გამოვა, ეგეც ფაქტია.

დროდადრო ჩვენში წამყვანი მსაჯებიც გამოიკვეთნენ. მაჩალაძესა და ბერეკაშვილს სასწავლი ჯერ კიდევ ბევრი აქვთ, მაგრამ ამ მოკლე ხანში იმდენი კი მოასწრეს, ფედერაცია მათიდამი ნდობით რომ აღიჭურვოს. ყველა მეტ-ნაკლებად პრინციპული შეხვედრის განსჯას სწორედ ამ ტანდემს მიანდობენ-ხოლმე, საშარო და სახლაფორთო საქმეც, ბუნებრივია, მაჩალაძესა და ბერეკაშვილს დანარჩენებზე მეტი აქვთ.

ერთადერთხელ აღევსო მოთმინების ფიალა პრინციპულობით განთქმულ ზაზა მაჩალაძეს — „ვითა“ — „აზოტის“ შეხვედრისას ნერვებმა უმტყუნა, თავი დამანებეთ, ვინც გინდათ ის ამსაჯეთო და თამაში მიატოვა. მერე კი მოულბეს გული, მაინც დაიყაბულეს. რას იზამ, ეგეთებიც ხდება, უარესები რა არ გვინახავს?

სხვა მეტიც არაფერი მომხდარა პირველ წრეში ისეთი ყურადღების მიქცევად რომ ღირდეს. ზოგი იგებდა, ზოგი აგებდა, ზოგი კამათობდა და დავობდა, ზოგიც მშვიდად იყო. მავანი კინაღამ მსაჯთა ოთახში მომხდარი მოკლე ჩართვის გამო გაიგუდა, მავანს კი მანქანა ეწვებოდა...

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია ვისურვოთ, რომ საკალათბურთო საქართველოს მოქმედ მოედნებზე მეორე წრიდან ჩვენმა მოთამაშეებმა დაანთონ ცეცხლი...

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევროლიგა

I ჯგუფური ეტაპი. X ტური. 15 დეკემბერი

**A ჯგუფი**

პაოკ 83:87 ბარსელონა

**D ჯგუფი**

ეფესი 69:60 ციბონა

პო ორტეზი 70:78 ფორტიტუდო

## საპორტას თასი

ჯგუფური ეტაპი. X ტური. 14-15 დეკემბერი

**A ჯგუფი**

აეკ (საბერძნეთი) — ავტოდორი (რუსეთი) 83:59, შარლერუა (ბელგია) — ჩერნო მორე (ბულგარეთი) 90:102, ჰონკა (ფინეთი) — ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) 80:102

*საბოლოო მდგომარეობა: აეკ 19 ქულა, ჰაპოელი 16, ჩერნო მორე 15, შარლერუა 15, ჰონკა 13, ავტოდორი 12*

**B ჯგუფი**

ზადარი (ხორვატია) — აქილეასი (კვიპროსი) 103:70, სავინსკი (სლოვენია) — დელტა (ესტონეთი) 84:66, პამესა (ესპანეთი) — არსენალი (რუსეთი) 113:55

*საბოლოო მდგომარეობა: პამესა 19 ქულა, ზადარი 18, აქილეასი 14, სავინსკი 14, არსენალი 14, დელტა 11*

**C ჯგუფი**

ალბაკომპი (უნგრეთი) — რიკო (ჰოლანდია) 64:66, შალონ-საონი (საფრანგეთი) — ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა) 67:72, მაკაბი (რაანანა, ისრაელი) — აპოელი (კვიპროსი) 93:41

*საბოლოო მდგომარეობა: ლიეტუვოს რიტასი 18 ქულა, მაკაბი 16, შალონ-საონი 16, რიკო 15, ალბაკომპი 15, აპოელი 10*

**D ჯგუფი**

პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი) — ბოსნა (ბოსნია) 68:52, ტაუ (ესპანეთი) — პეკაესი (პოლონეთი) 83:92, ილიაბუმი (პორტუგალია) — რაბოტნიჩკი (მაკედონია) 67:68

*საბოლოო მდგომარეობა: პარი სენ ჟერმენი 19 ქულა, პეკაესი 18, ტაუ 17, ბოსნა 14, ილიაბუმი 11, რაბოტნიჩკი 11*

**E ჯგუფი**

პარტიზანი (იუგოსლავია) — ირაკლისი (საბერძნეთი) 54:60, პორტუ (პორტუგალია) — სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) 80:63, ტელეკომი (გერმანია) — სენტ პიოლტენი (ავსტრია) 69:58

*საბოლოო მდგომარეობა: ირაკლისი 19 ქულა, პორტუ 16, სლოვაკოფარმა 15, ტელეკომი 15, პარტიზანი 15, სენტ პიოლტენი 10*

**F ჯგუფი**

კინდერი (იტალია) — ფენერბაჰჩე (თურქეთი) 86:39, ნორჩიოპინგი (შვედეთი) — ვენტსპილსი (ლატვია) 87:91, ცეპტერი (პოლონეთი) — მატავი (უნგრეთი) 74:57

*საბოლოო მდგომარეობა: კინდერი 20 ქულა, ცეპტერი 17, ვენტსპილსი 15, ნორჩიოპინგი 14, ფენერბაჰჩე 13, მატავი 11*

**G ჯგუფი**

ადეკო (იტალია) — სპლიტი (ხორვატია) 72:84, დარუშაფაკა (თურქეთი) — პლანია (შვედეთი) 88:79, ოკაპი (ბელგია) — ლონდონ თაუერზი (ინგლისი) 109:101

*საბოლოო მდგომარეობა: დარუშაფაკა 18 ქულა, სპლიტი 16, პლანია 15, ადეკო 14, ოკაპი 14, ლონდონ თაუერზი 13*

**H ჯგუფი**

კრკა (სლოვენია) — მლეკარნა (ჩეხეთი) 79:72, ტატამი (გერმანია) — ტოპო (ფინეთი) 89:58, საკალაი (ლიტვა) — რადნიჩკი (იუგოსლავია) 100:95

*საბოლოო მდგომარეობა: კრკა 17 ქულა, ტატამი 17, საკალაი 17, რადნიჩკი 14, ტოპო 13, მლეკარნა 12*



ტელეკომი — სენტ პიოლტენი 69:58. ტელეკომელ დეტლეფ მუშს (თეთრ ფორმაში) მიხაილ სოლოვიოვი (№11) და ნიკოლაოს იანოპულოსი ებრძვიან

**მერვედფინალი. 11 და 18 იანვარი**

სავინსკი (სლოვენია) — აეკ (საბერძნეთი)
აქილეასი (კვიპროსი) — ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი)
ჩერნო მორე (ბულგარეთი) — ზადარი (ხორვატია)
შარლერუა (ბელგია) — პამესა (ესპანეთი)
ბოსნა (ბოსნია) — ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა)
ტაუ (ესპანეთი) — მაკაბი (რაანანა, ისრაელი)
შალონ-საონი (საფრანგეთი) — პეკაესი (პოლონეთი)
რიკო (ჰოლანდია) — პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი)
ნორჩიოპინგი (შვედეთი) — ირაკლისი (საბერძნეთი)
ვენტსპილსი (ლატვია) — პორტუ (პორტუგალია)
სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) — ცეპტერი (პოლონეთი)
ტელეკომი (გერმანია) — კინდერი (იტალია)
რადნიჩკი (იუგოსლავია) — დარუშაფაკა (თურქეთი)
საკალაი (ლიტვა) — სპლიტი (ხორვატია)
პლანია (შვედეთი) — ტატამი (გერმანია)
ადეკო (იტალია) — კრკა (სლოვენია)

## რეგულარული ჩემპიონატი

# სამი ქულა მეოთხედში?!



REUTERS ფოტოქრონიკიდან

ფინიქსი — დეტროიტი. ფინიქსელი ჯეისონ კიდი (№32) და კრისტიან ლეიტნერი

14 ნოემბერი

**სიეტლი 109:84 დენვერი**

სიეტლი: პეიტონი (25), ბერი (5), პატერსონი (16), ბეიკერი (13), გრანტი (6); ლუისი (13), მაკოი (9), პერსონი (5), სტეფანია (4), ფოსტერი (4), დევისი (4), მაქსველი (3)

დენვერი: ვან ექსელი (4), ბილაფსი (3), მერსერი (9), მაკდაიესი (14 ქულა, 13 მოხსნა), ლაფრენცი (15 ქულა, 10 მოხსნა); კლარკი (14), ბოუენი (8), როჯერსი (6), სტისი (4), ალექსანდერი (4), პოუზი (3)

როგორც მოსალოდნელი იყო, „სიეტლ სუპერსონიქსსა" და „დენვერ ნაგითსის" შეხვედრას არ ჩაუვლია ჩვენებური ვოვა სტეფანიას გარეშე. ისიც გამართლდა, რომ მასპინძელი გუნდი შედარებით იოლად მოიგებდა. ასეთ შეხვედრებში კი, სადაც „სუპერსონიქსი" ბევრი ქულით იგებს ან პირიქით, აგებს მატჩის ბოლოს, როგორც წესი, ზებგერითთა ქართველი ცენტრი ვოვა სტეფანიაც თამაშობს. რკინის არავინაა, თვით ჯან-ლონით ალსავსე ზანგებიც ილლებიან, შეცვლა, ცოტა ხნით დასვენება და სულის მობრუნება ყველას სჭირდება, ბეიკერსაც, გრანტსაც, პეიტონსაც, ჯორდანსაც და შაკილ ონილსაც. სტეფანიას და „სიეტლის" სათადარიგოთა დიდი ნაწილის ფუნქციაც ძირითადად ესაა. „სიეტლის" გრძელი სათადარიგო სკამიდან მხოლოდ ერთი რიგიანი მოთამაშის ამორჩევა შეიძლება, ეს გამოცდილ ვერნონ მაქსველი გახლავთ, რომელიც ხუთიოდე წლით ახალგაზრდა რომ იყოს, „სიეტლის" სასტარტო ხუთეულში გარანტირებული ექნებოდა ადგილი. სხვები კი (ქართველის ჩათვლით) საშუალო დონის მოთამაშეებიც არ არიან. ეს, რა თქმა უნდა, იქაური მასშტაბით, თორემ სტეფანიას ევროპაში პირადად აქვს ევროლიგის ბევრი თამაში მოგებული და საერთოდ ვეჭვობთ, „სიეტლის" ან სხვა ნბა-ური გუნდის სათადარიგოებს თუნდაც სამმა-ოთხმა ევროპულმა გუნდმა აჯობოს.

ამ შეხვედრაში სტეფანიამ ექვსი წუთი ითამაშა. ვერ ვიტყვით, რომ ეს მისი საუკეთესო მატჩი იყო, მაგრამ ქართველს მაინც არა უშავდა. მატჩის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე, როცა „სიეტლი" უკვე 93:65 იგებდა, სტეფანიამ გრეგ ფოსტერი შეცვალა. ვოვა აქტიურად ჩაერთო თამაშში და დიდი სპორტული ჟინიც გამოამჟღავნა, თუმცა შეცდომებიც ბლომად დაუშვა. ვოვამ ერთხელ ბურთი დაკარგა, ექვს წუთში ოთხჯერ დაჯარიმება მოასწრო და ამასთან შვიდი საჯარიმოდან მხოლოდ ორი ჩააგდო. თუმცა ის ფაქტი, რომ მას შვიდი ჯარიმის სროლა მოუწია, ქართველის დიდ აქტიურობაზე მეტყველებს. სტეფანიამ ოთხი ქულიდან ორი საჯარიმოებით მიითვალა, ორიც — ჩატენვით და ამას თითოთითო მოხსნა-დაფარებაც დაურთო.

სტეფანიამ მატჩის მიწურულს თამაშით გული იჯერა, მისმა გუნდმა კი მორიგი იოლი გამარჯვება მოიპოვა. ერთი შეხედვით მოძლიერებული „დენვერის" დამარცხება „სიეტლს" რომ არ გასჭირვებია, ამას კალათბურთში ჩაუხედავი კაციც მიხვდება, როცა შეხვედრის საბოლოო ანგარიშს დახედავს. „ოქროს ზოდების" რბევა „ზებგერითებმა" უკვე მეორე მეოთხედიდან დაიწყეს. პირველი ტაიმი მასპინძლებმა 12 ქულის სხვაობით — 50:38 მოიგეს და თითქოს ამაზე უნდა გაჩერებულიყვნენ, რადგან მეტოქე უკვე გატეხილი ჩანდა და ვერც დიდ წინააღმდეგობას გასწევდა, მაგრამ დაიწყო თუ არა მეორე ნახევარი, მასპინძელთა დაბალმა ფრთამ, რუბენ პატერსონმა მეტოქის კალათის აწიოკებას მიჰყო ხელი, თავისი 16 ქულიდან ცხრა ამ მონაკვეთში ჩააგდო და „სიეტლს" ტაიმის საწყისი სამი წუთი 14:0 მოაგებინა. ამის შემდეგ ყველაფერი დღესავით ნათელი გახდა. აღარც დაბეჩავებულ მეტოქეს გამოუღვია დიდად თავი, მხოლოდ ბოლო მეოთხედში გაიფაფხურა და იქ უკვე სათადარიგოებმა, მათ შორის სტეფანიამ, არ მისცეს საშუალება, კარი ღირსეულად გაეჯახუნებინა.

**ლეიკერსი 95:68 კლიპერსი**

ლეიკერსი: ონილი (21 ქულა, 19 მოხსნა), ბრაიანტი (18)

კლიპერსი: ნესბი (18)

**გოლდენ სტეიტი 102:97 მაიამი**

გოლდენ სტეიტი: მილზი (23), სტარქსი (21 ქულა, 10 პასი)

მაიამი: მურნინგი (26)

**ფინიქსი 114:104 დეტროიტი**

ფინიქსი: ჩეპმენი (22), კიდი (18 ქულა, 11 პასი, 9 მოხსნა)

დეტროიტი: სტეკჰაუზი (35), ლეიტნერი (26)

**დალასი 93:111 სან ანტონიო**

დალასი: სებალოსი (27 ქულა, 10 მოხსნა)

სან ანტონიო: დანკანი (29 ქულა, 12 მოხსნა)

**ტორონტო 105:97 ინდიანა**

ტორონტო: კარტერი (24), მაკგრეიდი (21)

ინდიანა: როუზი (21)

**ჰიუსტონი 90:101 ნიუ იორკი**

ჰიუსტონი: ფრენსისი (20)

ნიუ იორკი: სპრიუელი (22), ჰიუსტონი (20), იუინგი (20)

**კლივლენდი 115:88 ბოსტონი**

კლივლენდი: სურა (22 ქულა, 10 პასი), მიურეი (20)

ბოსტონი: გრიფინი (16)

**ატლანტა 105:94 მინესოტა**

ატლანტა: მუტომბო (27 ქულა, 29 მოხსნა, 6 დაფარება), ჯეკსონი (23)

მინესოტა: გარნეტი (22 ქულა, 15 მოხსნა, 10 პასი, 7 ჩაჭრა)

**ვაშინგტონი 80:101 იუტა**

ვაშინგტონი: რიჩმონდი (15)

იუტა: მელოუნი (26 ქულა, 10 მოხსნა)

დერბის ყოველთვის დიდი ინტერესით მოელიან. თანაქალაქელთა შეტაქებებს სულ სხვა ეშხი და ელფერი აქვს. მაგრამ თუ გუნდების კლასს შორის უზარმაზარი სხვაობაა, მაშინ ბუნებრივია, ყველაფერს აზრი ეკარგება. ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში დერბი არცთუ ხშირი მოვლენაა, რადგან აქ მხოლოდ მზიურ ლოს ანჯელესს ჰყავს ორი გუნდი. არის კიდევ ერთი შემთხვევა, ნიუ იორკ — ნიუ ჯერსი, მაგრამ ეს უკანასკნელი არც მთლად ნიუიორკული გუნდია, ამიტომაც სუფთა დერბად ისევ „ლეიკერს"-„კლიპერსის" შეხვედრა ჩაითვლება. ისინი ხანგრძლივი სეზონის განმავლობაში ოთხჯერ-ხუთჯერ ხვდებიან ერთმანეთს და გამარჯვებული უმეტესად „ლეიკერსი" გამოდის. ეს არცაა გასაკვირი, რადგან „კლიპერსი" ამ ბოლო წლების ერთი უსუსური რამაა და მძლავრ თანაქალაქელთან კი არა, მასზე გაცილებით სუსტ გუნდთან უჭირს თამაში.

„ლეიკერსმა" სამშაბათს პირწმინდად გააცამტვერა თანაქალაქელი, ისე, რომ თვალიც არ დაუხამხამებია და ხელი არ გაუნძრევინებია მეტოქისთვის. პირველ მეოთხედში სტუმრებს თითქოს არაფერი უშავდათ. მართალია, საკუთარ კალათში 32 ქულა მიიღეს, მაგრამ 16 თვითონაც გაახერხეს. აი, მეორე მეოთხედში კი თავს ნამდვილი კოშმარი დაატყდათ. „კლიპერსი" გამწარებით უტევდა, ბურთი კი არა და არ ჩადიოდა „ლეიკერსის" კალათში. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ „კლიპერსმა" მეორე მეოთხედში სამი ქულა „მოაგროვა" და ნბა-ს ყველა დროის ანტირეკორდი დაამყარა. არც „ლეიკერსი" აკლებდა ხელს ბეჩავ სტუმარს და მესამე მეოთხედის ბოლოს ანგარიში 80:36 იყო. ასეთი რბევა ლიგის ისტორიას არ ახსოვს. იმ თამაშში ყველაფერმა დაკარგა აზრი. „ლეიკერსს" რომ მოენდომებინა, „კლიპერსი" მეოთხედის ანტირეკორდთან ერთად მთელი თამაშის ანტირეკორდსაც გამოჰკრავდა ხელს, მაგრამ დაინდო მეტოქე და მანაც ბოლო მეოთხედში 32 ქულა გააკეთა. მატჩის ბოლოს „ლეიკერსის" უკანახაზელი რონ ჰარპერი თავჩაღუნული იტყვის, ეს საზიზღრობა იყოო. ჰარპერი, სანამ „ჩიკაგოს" რიგებში სამჯერ გაჩემპიონდებოდა, „კლიპერსის" ლიდერი იყო და თამაშში საშუალოდ ოც და მეტ ქულას ახერხებდა. თავის ყოფილ გუნდს მან სულ ოთხი ქულა ჩაუგდო. როგორც ჩანს, მისდამი უდიდეს სიბრალულს განიცდიდა. კლიპერსელებს კი ალბათ სიცოცხლეში არ დაავიწყდებოდათ 14 დეკემბრის ლოსანჯელესური დერბი.

ცუდ დღეშია „მინესოტა ტიმბერვულვზი" და ეს დღითი დღე უფრო თვალსაჩინო ხდება. „მგლები" უკვე ზედიზედ მეექვსედ დაეცნენ ჯორჯიაში, ატლანტელ „ქორებთან", მიუხედავად იმისა, რომ მისმა ლიდერმა კევინ გარნეტმა გაიბრწყინა. გარნეტი იმ დღეს შეუდარებელი იყო და ყველაფერი გამოსდიოდა. მან 22 ქულა, 15 მოხსნა, 10 პასი და 7 დაფარება მიითვალა. როგორც ხედავთ, სულ სამი დაფარება დააკლდა, რომ უიშვიათესი ოთხმაგი დუბლი შეესრულებინა, რაც ლიგის ისტორიაში მხოლოდ ოთხ კაცს გაუკეთებია. მიუხედავად ამისა, გარნეტი მაინც არ გამხდარა მატჩის გმირი, რადგან „მინესოტამ" წააგო, თან, როგორც ითქვა, ზედიზედ მეექვსედ. გმირად ატლანტელი დიკემბე მუტომბო შეირაცხა და სრულიად სამართლიანადაც. მართალია, 29 მოხსნის გაკეთება ახლოს ვერ მივა ოთხმაგ დუბლთან, მაგრამ მაინც დიდად ფასობს, რადგან ასეთი რამ სეზონში სულ რამდენჯერმე ხდება. ამასთან მუტომბომ თამაშში თერთმეტივე სროლა ჩააგდო და სეზონში სარეკორდო — 27 ქულას მოუყარა თავი.

მობრუნდა მხცოვანი პატრიკ იუინგი. „ნიუ იორკის" ცენტრმა მრავალრიცხოვან ტრავმათაგან ბოლოს მიღებული მოირჩინა და იმედი აქვს, ამ სეზონს, მისთვის მეთხუთმეტეს, ისე ჩაამთავრებს, რომ ახალ ტრავმას არ მიიღებს და არც ძველს გაიმიზეზებს. პატრიკის დებიუტი იღბლიანი გამოდგა. იუინგს „ჰიუსტონის" ძველი ბოღმა აქვს, რადგან სწორედ „როკიტსმა" მოუგო მის „ნიუ იორკს" 1994 წელს ნბას-ს ფინალში. ამიტომაც ბებერმა მგელმა ოცი ქულა ჩაუგდო და, ასე თუ ისე, გულიც მოიოხა.

**ირაკლი ფირაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია

XVI ტური

ვოლფსბურგი 1:2 ულმი

0:1, 0:2 ვან დერ ჰაარი (37, 48), 1:2 ბილიშკოვი (62)

ლაუტერნი 0:2 ფრაიბურგი

0:1 რამდანე (57), 0:2 კორელი (86)

უნტერჰახინგი 1:1 ჰამბურგი

0:1 მაჰდავიკია (24), 1:1 ზაიტცი (68)

შალკე 0:0 დორტმუნდი

აინტრახტი 1:2 ლევერკუზენი

1:0 ფიორტოფტი (20), 1:1, 1:2 ბაინლიხი (47, 87)

### II ბუნდესლიგა

XVI ტური

ზანქტ პაული 1:2 კიოლნი

ალემანია 0:0 ობერჰაუზენი

კარლსრუე 0:1 ფიურტი.

ფორტუნა 1:5 ვალდჰოფი

კოტბუსი 5:0 ოფენბახი

მაინცი 0:0 გლადბახი

## ბელგია

გადადებული მატჩი

ბრიუგე — ანდერლეხტი

გადაიდო

## ინგლისი

I დივიზიონი

ნოტინგემი 0:0 ფულემი

III დივიზიონი

დარლინგტონი 3:1 ჩესტერი

ლიგის თასის მერვედფინალი

ლესტერი 4:2 პ. (0:0) ლიდსი

## იტალია

თასის მერვედფინალი

ბოლონია 1:3 ინტერი

პიაჩენცა 0:3 დ.დ. (0:1) რომა

პარმა 2:2 კალიარი

ფიორენტინა 2:0 პერუჯა

უდინეზე 2:0 ვენეცია

ლაციო 4:1 რავენა

### სერია B

ტერნანა 1:0 პისტოიეზე

## თურქეთი

თასის III ეტაპი

ერზურუმი 4:1 დენიზლი

ადანა 1:2 სამსუნი

ტრაბზონი 3:1 გიოზთეფე

## ესპანეთი

თასის II ეტაპი

სპორტინგი 0:3 სელტა

ლას პალმასი 2:2 ატლეტიკო

ოსასუნა 3:0 ვალენსია

სარაგოსა 2:1 რასინგი

ბილბაო 0:1 რაიო ვალეკანო

ლოგრონიესი 3:2 ოვიედო

ალბასეტე 0:0 ესპანიოლი

მერიდა 1:0 ბეტისი

ლეიდა 0:0 ეიბარი

ტენერიფე 2:2 კომპოსტელა

## ჰოლანდია

აიაქსი 1:3 პსვ

ჰერენვენი 4:1 ვალვაიკი

ნაიმეგენი 1:0 მაასტრიხტი

როდა — კამბური

გადაიდო

სპარტა 3:2 დენ ბოსხი

ვიტესი 3:1 ტილბურგი



# ექსპერიმენტი

ამერიკული ბეისბოლის ვარსკვლავი სემი სოსა ტოკიოშია და იქაურ გარეუბან ინაგიში იაპონიის უმცროსთა ლიგის მოთამაშეებს საკეტბურთო გაკვეთილებს უტარებს. განთქმული ჩიკაგოელი მოხლეშელის ვიზიტი ტოკიოში სამომავლო ღონისძიებათა პრომოუციას ემსახურება — მეიჯორ ლიგის მესვეურებს გადაუწყვეტიათ, რომ ახალი სეზონის გახსნითი შეხვედრა „ჩიკაგო კაბზსა“ და „ნიუ იორკ მეთზს“ შორის ამერიკაში კი არა, სწორედ ტოკიოში, იქაურ „დოუმში“ ჩაატარონ. ამგვარი ექსპერიმენტი ბიზნესის ამბავში თუა საინტერესო, იაპონელები ხომ ისედაც ალმერთებენ ბეისბოლს.

# სარეკლამოდ

*ფეხბურთელები გამდიდრდნენო. გამდიდრდებოდნენ, მაშ რა! უმაგათოდ აბა, რომელი რეკლამა ჩაივლის! მორიგი სარეკლამო რაღაცის გადაღება ტურინის დელე ალპის სტადიონზე მიმდინარეობს. ამიტომაც არიან ერთად „იუვენტუსელი“ პიპო ინძაგი და „მანჩესტერელი“ დევიდ ბექემი.*



REUTERS ტურინიდან

# საუკეთესო სტუდენტი

ამ ჯეელს რონ დეინი ჰქვია. ამ პატარა გოგოს კი ჯადა დეინი. ცხადია, მამა-შვილი არიან და კარგ ხასიათზეც ბრძანდებიან. რონი ამერიკული ფეხბურთის სტუდენტური ლიგის უპირველესი ვარსკვლავია ვისკონსინის უნივერსიტეტიდან. მას სწორედ წელს მიულია ჰეისმენის მემორიალური თასი, რომელიც აგერ უკვე 65-ედ გადაეცა სტუდენტთა ფეხბურთის სრულიად გამორჩეულ მობურთალს.



REUTERS



REUTERS ხერესიდან

# სტიუარტის ხალხი

ბრიტანული ფორმულას გუნდ „სტიუარტ ფორდში“ დიდი ძვრებია, ედი ირვინი „ფერარიდან“ სწორედ აქ გადმობარგებულა და თავის ძველ კომპანიონებს „სტიუარტით“ შეუტევს. ხერესის ტრასაზე გახურებული ვარჯიშობა და სეზონის წინა ტესტობია მიმდინარეობს. ირვინის ახალი თანაგუნდელი ჯონი ჰერბერტი კი წამოწოლილა, ამოვისუნთქოთ და მერე მივაწვეთ გაზსაო.







# ვუტონის თასისათვის

*ამ იახტას „ლე დეფი“ ჰქვია. ამ შამპანურის მსმელ კაცს კი კაპიტანი ბერნარდ პეისი, „ლე დეფის“ ეკიპაჟი კი იმიტომ ხარობს, რომ განთქმული ვუტონის თასის ნახევარფინალში გასულა. „ლე დეფი“ მეექვსე და ბოლო იახტაა ამ დიადი შეჯიბრების ნახევარფინალში რომ გააღწია და თვალი მაინც ამერიკის თასისაკენ უჭირავს, რომლისთვისაც შეჯიბრიც მომავალი წლის 19 თებერვალს დაიწყება.*



სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli